ეთიკის კომისიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

ეთიკის კომისიის 2006-2018 წლების გადაწყვეტილებები



თამარ ხუბულური
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის აპარატის
უფროსი იურისტი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

ეთიკის კომისიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიმოხილვა

ეთიკის კომისიის 2006-2018 წლების გადაწყვეტილებები

თამარ ხუბულური
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი

თბილისი
2019

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

შესავალი

ეთიკის კომისია, როგორც კვაზი სასამართლო, წლების განმავლობაში ზრუნავს ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების დამკვიდრებასა და განვითარებაზე. წინამდებარე გამოცემა ემსახურება პრეცედენტულ პროფესიულ ეთიკურ სამართალს, მნიშვნელოვანია კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის შენარჩუნებისათვის და მკითხველს აცნობს კომისიის შეფასებებს ამა თუ იმ პროფესიულ ქცევაზე.

გამოცემა მოიცავს ეთიკის კომისიის 2006-2018 წლების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. აქ განხილულია კომისიის სხვადასხვა სახის გადაწყვეტილება თითოეულ მუხლზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსიდან. ამ გადაწყვეტილებებით კომისიამ პროფესიული ქცევისთვის მნიშვნელოვანი საკითხები განმარტა. გამოცემა ასევე მოიცავს ინფორმაციას ეთიკის კომისიის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა შედეგებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებების შესახებ. კომისიის განხილული 920 საქმიდან პუბლიკაციისთვის შეირჩა 54 გადაწყვეტილება.

გამოცემის სტრუქტურა ასეთია: ტექსტი დაყოფილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლების შესაბამისად. თითოეული მუხლის მიხედვით გამოკვეთილია პროფესიული ქცევის საკითხები და მიმოხილულია მათი შესაბამისი გადაწყვეტილებები.

პუბლიკაცია განკუთვნილია ადვოკატებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დაინტერესებული პირებისათვის.

მადლობა ეკუთვნის ეთიკის კომისიის თითოეულ წევრსა და იურისტს, რომელთა აქტიური მუშაობითაც განვითარდა ეთიკის კომისიის პრეცედენტული სამართალი.

გამოცემაზე პასუხისმგებელი
თამარ ხუბულური - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატის უფროსი იურისტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ტრენერი

საჩჩევი

მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები **9**

მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი **9**
2.1 დამოუკიდებლობის პრინციპისა და კანონიერების პრინციპის ურთიერთმიმართება 9
საქმე №057/10, 2011 წლის 07 მარტი 9
2.2 კლიენტის ინტერესები და დამოუკიდებლობის პრინციპი 11
საქმე №112/11, 2012 წლის 25 მაისი 11
2.3 კლიენტის ნება 13
საქმე №001/10, 2010 წლის 11 აპრილი 13

მუხლი 3. ნდობის პრინციპი **14**
კლიენტის ინტერესები და პროფესიის პრესტიჟი 14
საქმე №3091/11/07, 2007 წლის 29 ნოემბერი *14*
საქმე №3030/07, 2007 წლის 10 ოქტომბერი *15*

მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი **16**
4.1 კონფიდენციალობის ვალდებულების შეზღუდვა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით 17
საქმე №134/12, 2013 წლის 27 მაისი 17
4.2 კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება 18
საქმე №054/13, 2014 წლის 21 მარტი 18
4.3 დისციპლინური წარმოების პროცესში თავდასაცავად წარდგენილი ინფორმაციის
შეფასების ვალდებულება 19
საქმე №029/11, 2011 წლის 09 ივლისი 19
საქმე №001/12, 2012 წლის 27 ივნისი 19

მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი **21**
5.1 კლიენტის ინტერესები და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება 21
საქმე №048/15, 2018 წლის 18 აპრილი 21
5.2 კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან 23
5.2.1 მოწინააღმდეგე მხარესთან საქმიანი ურთიერთობა 23
საქმე №022/11, 2011 წლის 03 ივნისი 23
5.2.2 რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმოება 25
საქმე №034/11, 2011 წლის 27 აგვისტო 25
5.2.3. ფინანსური ინტერესი 26
საქმე №094/11, 2012 წლის 10 აპრილი 26
საქმე №046/11, 2011 წლის 26 ოქტომბერი 28

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება **30**
6.1 ვინ არის კლიენტი? არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი 30
საქმე №027/11, 2011 წლის 20 აგვისტო 30
6.2 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა; ინტერესთა
კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტს შორის 32
საქმე №100/11, 2013 წლის 08 იანვარი 32
საქმე №002/14, 2014 წლის 17 ივლისი 34
6.5 ადვოკატის მოვალეობა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის
დასაცავად: კლიენტის ინფორმირების მოვალეობა; წარმომადგენლობის შეწყვეტა 37
საქმე №015/10, 2011 წლის 20 აპრილი 37
საქმე №079/14, 2015 წლის 06 აგვისტო 39

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი **40**

მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის **41**
8.2 კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება 41
საქმე N049/12, 2014 წლის 13 ივნისი 41
8.3 გარანტიის მიცემის დაუშვებლობა 42
საქმე N044/16, 2016 წლის 19 დეკემბერი 42
8.5 კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება 45
8.5.1 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის კომპონენტები 45
საქმე №096/14, 2015 წლის 22 ოქტომბერი 45
საქმე №061/12, 2014 წლის 14 აპრილი 47
საქმე №080/13, 2014 წლის 25 აპრილი 49
საქმე №007/16, 2016 წლის 25 ოქტომბერი 50
8.5.2 რწმუნებულების მიუხედავად კლიენტის ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება 52
საქმე №054/11, 2011 წლის 21 ოქტომბერი 52
8.5.3 ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც სპეციალიზაცია არ აქვს 54
საქმე №055/12, 2013 წლის 20 თებერვალი 54
8.5.4 კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით ადვოკატის მიერ ხელმოწერის
შესრულების დაუშვებლობა 56
საქმე №157/13, 2013 წლის 20 თებერვალი 56
8.6 კლიენტის ინფორმირების ვალდებულება 57
8.6.1 საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების
კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება 57
საქმე 066/10, 2010 წლის 23 სექტემბერი 57
8.6.2 ინფორმაციის „სათანადოდ“ მიწოდების ვალდებულება 59
საქმე №074/10, 2011 წლის 28 იანვარი 59
8.6.3 კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო
საქმიანობის განხორციელების უფლების შეწყვეტის თაობაზე 61
საქმე №052/13, 2014 წლის 23 ივნისი 61
8.6.4 საადვოკატო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
ხელშეკრულების მხარისათვის (რომელიც არ არის კლიენტი) 61
საქმე №111/13, 2014 წლის 29 მარტი 61
8.8; 8.9 ადვოკატის ჰონორარი; საქმისწარმოებაზე უარის თქმის წესი ჰონორარის გადაუხდელობისას 63
საქმე №032/17, 2017 წლის 20 ოქტომბერი 63
8.10; 8.11 ადვოკატის რეკომენდირებისათვის კომპენსაციის მიღების აკრძალვა დავის მინიმალური
დანახარჯებით წარმოების ვალდებულება 65
საქმე №047/11, 2011 წლის 18 ოქტომბერი 65
8. 12. კლიენტის მიერ გადახდილი საქმისწარმოების ხარჯების სრული და ზუსტი
ჩანაწერების წარმოების ვალდებულება 67
საქმე №133/13, 2015 წლის 02 თებერვალი 67
8. 13. კლიენტის სახსრებისა და ქონების შენახვისა და განკარგვის წესი 69
საქმე №098/17, 2018 წლის 31 მაისი 69
8.15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე 72
8.15.1 საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე
განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის
გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება 72
საქმე №038/16, 2016 წლის 16 სექტემბერი 72
საქმე №057/17, 2018 წლის 22 თებერვალი 74
8.15.2 დოკუმენტების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება 76

საქმე №074/11, 2012 წლის 09 იანვარი 76
მუხლი 9. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან **78**
9.1.1 სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება 79
საქმე №010/10, 2010 წლის 22 ივლისი 79
საქმე №158/13, 2014 წლის 21 ოქტომბერი 80
9.1.2 პროფესიული კრიტიკის ფარგლები 82
საქმე №2317/12/06, 2006 წლის 03 დეკემბერი 82
საქმე №076/10, 2010 წლის 29 ოქტომბერი 83
საქმე №030/14, 2014 წლის 20 აპრილი 84
9.1.3 სასამართლო შენობის გარეთ ადვოკატის ქცევა 85
საქმე №075/11, 2011 წლის 24 იანვარი 85
9.1.4 კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებთან 86
საქმე №114/13, 2014 წლის 02 ივნისი 86
9.4 ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოებისას ქცევის სტანდარტი 87
საქმე №083/14, 2017 წლის 02 თებერვალი 87
საქმე №014/13, 2013 წლის 26 ივლისი 89

მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის **90**
10.1.1 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები 90
საქმე №062/17, 2017 წლის 17 ოქტომბერი 90
10.1.2 კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების
თანხვედრა 92
საქმე №088/12, 2012 წლის 20 აგვისტო 92
საქმე №037/13, 2015 წლის 25 დეკემბერი 93
10.1.3 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები;
ადვოკატის მიერ კოლეგების შეფასება სატელევიზიო გადაცემაში 94
საქმე №069/11, 2011 წლის 05 სექტემბერი 94
10.1.4 ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში კოლეგის შეფასება 97
საქმე №034/14, 2014 წლის 25 ნოემბერი 97

მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები **98**
11.1.1 ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა
და არ ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას 98
საქმე №164/13, 2014 წლის 16 ივლისი 99

მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.

მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი

1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისა ან ზეწოლისაგან, მათ შორის, მისი პირადი ინტერესებისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმებს (08.12.2012).

2. ადვოკატი ვალდებულია, არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ (08.12.2012).

2.1 დამოუკიდებლობის პრინციპისა და კანონიერების პრინციპის ურთიერთმიმართება

საქმე №057/10, 2011 წლის 07 მარტი[1]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: კლიენტის დასაცავად კანონიერ საშუალებათა გამოყენების ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ინტერესთა შეუთავსებლობის დაუშვებლობის პრინციპი, ნდობის პრინციპი, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 თვის ვადით.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატთა ჯგუფმა.

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა ორი კლიენტის ინტერესებს. ერთი კლიენტის დაცვისას ადვოკატი თანამშრომლობდა პროკურატურასთან და მონაწილეობდა მის მიერ დაგეგმილ ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებაში, რაც კლიენტმა არ იცოდა. მეორე კლიენტის საქმეში ადვოკატი და პროკურორი შეთანხმდნენ, რომ გარკვეული ოდენობის თანხის სანაცვლოდ, გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის სასურველი პირობებით. ამისათვის ადვოკატმა პროკურორს ქრთამის სახით თანხა გადასცა. აღნიშნული დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით, რომლითაც პროკურორი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კლიენტის სამართლებრივი დახმარებისას ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა, გამოიყენოს მხოლოდ კანონით დაშვებული დაცვის საშუალებები. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატს არ ანიჭებს უფლებას, მიმართოს კანონით გაუთვალისწინებელ,

[1] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c3c7310120.pdf

კანონსაწინააღმდეგო საშუალებებს, თუნდაც კლიენტს საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით წარმართვა და ამის შესახებ ადვოკატს სთხოვოს.[2]

კომისიის შეფასებით, ადვოკატი უკანონო გზით ცდილობდა შედეგის მიღწევას და კლიენტს სამართლებრივი გზით არ ეხმარებოდა. ქრთამის მიცემით საფრთხე შეექმნა კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატმა პირადად კლიენტი დააყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ.[3]

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის უმთავრესი პრინციპია ადვოკატისადმი ნდობა და განმარტა: ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტის უფლებების სათანადოდ დასაცავად, რაც კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობისას რამდენიმე ასპექტით გამოიხატება: სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტისაგან ინფორმაციის მიღება, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება და უფლებამოსილების მიღება შემდგომი ქმედებების განხორციელებაზე. კლიენტმა უნდა მოიწონოს ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს მის ინტერესებზე გავლენა.

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული. ეს გულისხმობს მათ შორის პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილებას და თანაბარ ჩართულობას კლიენტის საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მას, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას მესამე პირები კლიენტის ნების გამოხატულებად განიხილავენ და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ აყენებენ ადვოკატის საიმედოობასა და კეთილსინდისიერებას.

ეთიკის კომისიამ ასევე განმარტა, რომ კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ადვოკატი ვალდებულია, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია, რათა კლიენტმა შემდეგში გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს. მნიშვნელოვანია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესები დაიცვას დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც ადვოკატს ავალდებულებს, დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის, პირადი ინტერესებისაგან. ეთიკის კომისიამ ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები ოთხ კატეგორიად დაყო: სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის, სასამართლოსა და პროკუ-

---

[2] ევროსასამართლომ საქმეში Brandstetter v Austria (განაცხადი 11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) აღნიშნა, რომ „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ ანიჭებს პირს შეუზღუდავ უფლებას, განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედება და დაუშვებელად მიიჩნევს არაკანონიერ ქმედებათა გამართლებას ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ადვოკატმა დაცვის განხორციელებისას პატივი უნდა სცეს სასამართლოს და სხვა პირთა უფლებებს. ის გარემოება, რომ ადვოკატი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

ევროსასამართლომ საქმეებში X v Sweatzerland (განაცხადი 9/27/80, 1992 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება), და X v The United Kingdom (განაცხადი n7215/75, 1981 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება) დაადგინა ადვოკატის ვალდებულება, დაიცვას პროფესიული პრინციპები. სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ანიჭებს ბრალდებულს უფლებას, მოსთხოვოს თავის ადვოკატს დაცვის ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და, შესაბამისად, არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელებისას.”

[3] ეთიკის კომისიამ დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეში N010/10 განმარტა, რომ კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესები ადვოკატმა უნდა დაიცვას კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

რატურისაგან; დამოუკიდებლობა მესამე პირების ზეგავლენისაგან, მათ შორის, სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან; დამოუკიდებლობა კლიენტისაგან და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე.

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა, დაუმალა რა კლიენტს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობის ამბავი, თავი დაიყენა „კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რეალობის წინაშე". „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი ადვოკატს ავალდებულებდა, კონფიდენციალურად შეენახა ინფორმაცია ამ ტიპის საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. თუმცა, მეორე მხრივ, მას ჰქონდა საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა ეს ვალდებულება დაარღვია. ამ საქმეში ადვოკატის ქმედების შეფასებისას, ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ იგი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის - შიშის - გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. შედეგად, ადვოკატმა საფრთხის ქვეშ დააყენა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, ადვოკატის მიმართ ნდობა და ადვოკატის დამოუკიდებლობა.

ეთიკის კომისიის აზრით, ზოგადად, ადვოკატის მონაწილეობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში არ არის კანონის დარღვევა, თუ დაცულია ორი წინაპირობა: 1. ადვოკატი ამ ტიპის საქმიანობას არ უნდა ახორციელებდეს კონტრაქტის საფუძველზე 2. ამგვარი საქმიანობის პარალელურად კლიენტის დაცვა დასაშვებია მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის არსებობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა შეწყვიტოს კლიენტის დაცვა - თუ ამის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული წინაპირობები არსებობს - და მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მიიღოს მონაწილეობა. სხვაგვარად დაირღვევა ადვოკატთა შესახებ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი (ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება).

კლიენტის კანონსაწინააღმდეგო საშუალებებით მომსახურების შეფასებისას, ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო მისთვის ზიანის მიყენების რეალური ფაქტი. ასევე გაითვალისწინა რისკი, რომ შეირყეოდა კლიენტებისა და საზოგადოების სხვა წევრთა მხრიდან ადვოკატის - როგორც მართლმსაჯულების სისტემის არსებითი შემადგენელი ნაწილის - მიმართ ნდობა.

2.2 კლიენტის ინტერესები და დამოუკიდებლობის პრინციპი

საქმე №112/11, 2012 წლის 25 მაისი[4]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: კლიენტთან ურთიერთობის დაწყების წესი, დამოუკიდებლობის პრინციპი, კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 18 თვის ვადით.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა - მშობელმა.

სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდების მხარის თხოვნით, ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტში, კერძოდ, პროკურორის თხოვნით მივიდა შემთხვევის ადგილზე. ამ დროს საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სავალდებულო დაცვას, ადვოკატი არ იცნობდა

[4] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4729396cddb.pdf

კლიენტს, არ იცოდა მისი პოზიცია წარდგენილ ბრალდებაზე, კავშირი არ ჰქონია არც ბრალდებულთან, არც მის ოჯახთან და არ შეთანხმებულან საადვოკატო მომსახურების გაწევაზე. ადვოკატი არც სისხლის სამართლის საქმის მასალებს გასცნობია. ადვოკატმა საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის შემდეგ შეწყვიტა კლიენტის დაცვა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის განმარტებით, დასაცავი პირი, მისი ნების გათვალისწინებით, ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობა ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას. ნდობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც იგი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე მისი ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში შეიძლება არც იყოს დაცვის მხარისთვის ხელსაყრელი ინფორმაცია და ყველა საყურადღებო დეტალი. ხშირ შემთხვევაში ადვოკატი სწორედ კლიენტისაგან მოიპოვებს მნიშვნელოვან ინფორმაციას. შესაბამისად, კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და კონფიდენციალური ინფორმაციის განდობა შესაძლებლობას აძლევს ადვოკატს, სათანადოდ დაიცვას კლიენტი.

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა, ვინაიდან საგამოძიებო მოქმედებაში ჩართვისას ადვოკატს დამოუკიდებლად არ მიუღია გადაწყვეტილება - იგი საქმეში ბრალდების მხარის მოწვევით ჩაერთო, კლიენტსა ან მის უფლებამოსილ პირთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე დასასწრებად ბრალდების მხარის თხოვნით მივიდა და არა პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად - კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თავად ადვოკატს არ სურდა ბრალდებულის ინტერესების დაცვა და იგი ბრალდების მხარის თხოვნით მოქმედებდა.

ადვოკატმა შემთხვევის ადგილზე მისვლისას აცნობა ბრალდებულს, რომ მისი დამცველი იქნებოდა და მონაწილეობას მიიღებდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში. ეს ქცევა ეთიკის კომისიამ არ მიიჩნია კლიენტთან შეთანხმებად დაცვის განხორციელებაზე. აღნიშნული ადვოკატმა კლიენტს ბრალდების მხარის თხოვნით საქმეში ჩართვისა და ორდერის გამოწერის შემდეგ შეატყობინა. ამდენად, მან დააგვიანა კლიენტის ინფორმირება უფლებამოსილების მიღებაზე. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვალდებულება - ბრალდებულის ინტერესების დაცვა და მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში დაეწყო კლიენტის ან მისი ოჯახის წევრების ნებართვით და მათთან შეთანხმებული წესით.[5]

კომისიის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიციური დაცვის პროცესში ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს დაცვის პოზიცია და ტაქტიკა. აღნიშნული გულისხმობს კლიენტთან გასაუბრებას კონფიდენციალობის პრინციპის დაცვით, სხვა პირთა დასწრების გარეშე, მისგან ინფორმაციის მიღებას და მისი პოზიციის გაგებას. ამის შემდეგ ადვოკატი პროფესიულ რჩევას აძლევს კლიენტს შემდგომ ნაბიჯებზე. შედეგად, ადვოკატი და კლიენტი ერთდროულად შეიმუშავებენ დაცვის ტაქტიკას და პოზიციას, ან ადვოკატი დამოუკიდებლად შეიმუშავებს დაცვის სტარტეგიას და აუცილებლად გააცნობს მას კლიენტს.

[5] „არტიკო იტალიის წინააღმდეგ“ (1980 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, 33-ე პუნქტი), რომელშიც სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა, დაცვის უფლების არასათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ „კონვენცია მოწოდებულია უზრუნველყოს არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ მათი პრაქტიკული და ეფექტიანი განხორციელება. ეს განსაკუთრებით სამართლიანია დაცვის უფლებასთან მიმართებით, რომელსაც საგანგებო ადგილი უკავია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ისევე, როგორც თავად უფლებას სამართლიან სასამართლოზე, რომლიდანაც ის გამომდინარეობს”.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულებაც დაარღვია, ვინაიდან ფორმალურად მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში და კლიენტთან არ შეუთანხმებია დაცვის პოზიცია და ტაქტიკა. თავად ადვოკატმა განმარტა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე გასაუბრებოდა კლიენტს, გასცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ადვოკატს არ გაურკვევია, რამდენად თავისუფლად გამოხატავდა კლიენტი ნებას. ადვოკატის ფორმალური მონაწილეობითა და დაცვის უფლების არასათანადო განხორციელების შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე შეიქმნა საპროცესო დოკუმენტი - საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი - მტკიცებულება, რომლის მიხედვით კლიენტმა აღიარა დანაშაული. ადვოკატი დაინტერესებული არ ყოფილა კლიენტის ინტერესების დაცვით, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის შემდეგ მან შეწყვიტა კლიენტის დაცვა.[6]

2.3 კლიენტის ნება

საქმე №001/10, 2010 წლის 11 აპრილი[7]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ნდობის პრინციპი, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, დამოუკიდებლობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა.

გამთენიისას, რეგიონული დროებითი მოთავსების იზოლატორში, ჩატარდა ორი დაკავებული პირის ამოცნობის საპროცესო ღონისძიებები. ერთი მათგანი სრულწლოვანი, ხოლო მეორე არასრულწლოვანი გახლდათ. ორივეს ჰყავდა შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი, რომელნიც არ დაუშვეს საქმეში. ორივე საპროცესო ღონისძიებაში მონაწილეობდა ბრალდების მხარის მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატი. დაკავებულებმა უარი განაცხადეს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებაზე, რომელმაც ამოცნობის პროცესში გაიგო, რომ მათ შეთანხმებით აყვანილი ადვოკატი ჰყავდათ, თუმცა, მაინც ჩაერთო საგამოძიებო მოქმედებაში. ერთ-ერთი დაკავებულის ამოცნობა ვერ შედგა.

საზოგადოებრივმა ადვოკატმა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოქმს ხელი მოაწერა პროკურორის „მკაცრი ტონით“ მითითების შემდეგ. ოქმის ხელმოწერას დაეთანხმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირიც. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მან გამოხატა სურვილი, დაკავებულები შეთანხმებით მოწვეულ ადვოკატს დაეცვა. თუმცა, ეს ვერ მოხერხდა, რადგან ერთი მხრივ, საგამოძიებო იზოლატორში არ იყო დარეკვის საშუალება. მეორე მხრივ, მას უფლება არ ჰქონდა, უარი ეთქვა არასრულწლოვნის დანიშვნით დაცვაზე, მიუხედავად მისი უარისა საზოგადოებრივ ადვოკატზე.

---

[6] დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დაადგინა კომისიამ მსგავს დისციპლინური საქმეში 061/14, 2016 წლის 29 მარტი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://www.gba.ge/pdf/5c653155c1a52.pdf/061_14_29.03.2016.pdf

[7] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c4ec384b14b6.pdf

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიამ ადვოკატის პროფესიული ქცევის შეფასებისას დარღვევად მიიჩნია საპროცესო ღონისძიებაში მონაწილეობა სრულწლოვანი კლიენტის ნებისა და ინტერესების პრიორიტეტულობის გვერდის ავლით, როცა მან უარი განაცხადა მის მომსახურებაზე. ვინაიდან ამ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა იძულებით დაცვას, დაკავებულის ნების გარეშე დაცვით ადვოკატმა დაარღვია ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები.

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებზე არასრულწლოვან პირთან მიმართებით და განმარტა: იზოლატორში მყოფი ადამიანი, განსაკუთრებით, არასრულწლოვანი, ბუნებრივად დათრგუნულია. თუ მას ემატება ფსიქოლოგიური ზეწოლა ბრალდების მხრიდან, ეს კიდევ აუარესებს პირის ფსიქიკურ მდგომარეობას. ბრალდების მხარის პოზიციის მიუხედავად (პროკურორმა ადვოკატს მკაცრად მიუთითა, ხელი მოეწერა ამოცნობის ოქმზე), ადვოკატის მოვალეობაა დაცვის ქვეშ მყოფ პირს მისცეს ისეთი სამართლებრივი რჩევა, რომელიც გამომდინარეობს კანონისა და დასაცავი პირის ინტერესებიდან.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის პოზიცია იყო „მოკრძალებული“ და არაქმედითი. იგი პროკურორის გავლენის ქვეშ მოექცა. კლიენტიც იმიტომ დაეთანხმა ოქმზე ხელის მოწერას, რომ ადვოკატს პრობლემები არ შექმნოდა. ეთიკის კომისიამ ადვოკატის აღნიშნული ქმედება პროფესიული მოვალეობების სუსტ შესრულებად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მისი არასაკმარისი პროფესიული მომზადება. მეორე მხრივ, ეს შეიძლება მიუთითებდეს ადვოკატურის დამოუკიდებლობის ხარისხის ასამაღლებლად ქმედითი ღონისძიებების გატარების საჭიროებაზე.

მუხლი 3. ნდობის პრინციპი

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენ-ტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (08.12.2012).

კლიენტის ინტერესები და პროფესიის პრესტიჟი

საქმე №3091/11/07, 2007 წლის 29 ნოემბერი[8]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ნდობის პრინციპი, საქმისწარმოება კლიენტის კანონიერი მითითებების მიხედვით.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ორგანიზაციამ გაათავისუფლა იურისტი და გაუუქმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. მიუ-ხედავად ამისა, იგი მარწმუნებლის ინფორმირების გარეშე გამოცხადდა ყოფილი სამსახურის საქმესთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პროცესზე, რომელშიც ადრეც მონაწილეობდა და მოწინააღმდეგე მხარესთან დადო მორიგების აქტი. კლიენტმა გაასაჩივრა მორიგების აქტი და სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ის, რადგან დადგინდა, რომ მორიგების გაფორმებისას ადვოკატს წარმომადგენლობითი უფ-

[8] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c55d5a40cc04.pdf/5c55d5a40cc04.pdf

ლებამოსილება აღარ ჰქონდა. ადვოკატმა იცოდა ამ გარემოების შესახებ, რადგან სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა.

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატმა თავისი ქცევით დაარღვია მისდამი კლიენტის ნდობა, როცა მორიგების საკითხი გადაწყვიტა მასთან შეუთანხმებლად.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ განახორციელოს მოქმედება, რითაც შესაძლებელია ავნოს, როგორც კლიენტის, ისე პროფესიის პრესტიჟს. დაუშვებელია ადვოკატმა გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული ნდობა და მორიგება გააფორმოს მისი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც, მორიგების უფლების შესახებ აღნიშნული იყოს მის მოქმედ რწმუნებაში. ეთიკის კომისიამ აქვე განმარტა, რომ მორიგება ძალაში რჩება მესამე მხარეების მიმართ (თუკი სასამართლო არ გააუქმებს შესაბამისი გადაწყვეტილებით), თუმცა, ადვოკატი პასუხს აგებს მისი კლიენტების წინაშე მორიგების პირობებიდან და შედეგებიდან გამომდინარე... რწმუნებაზე ხელის მოწერით, კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ. ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება მხოლოდ კლიენტის სასარგებლოდ და ნებისმიერ შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია მისი სტრატეგიის და, მით უფრო, ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ, როგორიც მორიგებაა.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა ასევე დაარღვია ვალდებულება, კლიენტის კანონიერი მითითებებით წარემართა საქმე, რადგან მორიგება მისი ნების საწინააღმდეგოდ გააფორმა. ეს დადასტურდა კლიენტის მიერ მორიგების აქტის გასაჩივრებითაც, რასაც სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმება მოჰყვა.

საქმე №3030/07, 2007 წლის 10 ოქტომბერი[9]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ნდობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გამომძიებელმა.

ადვოკატმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კლიენტთან შეხვედრისას გადაყლაპა გაურკვეველი საგანი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერება; იმავე დღეს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ადვოკატი იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ პროფესიული საქმიანობისას, ადვოკატმა გამოავლინა მისი პროფესიისათვის შეუფერებელი ქცევა და შელახა პროფესიული ღირსება.

კომისიამ ხაზი გაუსვა ნდობის პრინციპით განმტკიცებულ პროფესიულ ღირებულებებს: პირად ღირსებასა და პატიოსნებას. ადვოკატის ვალდებულებაა, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი

[9] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c55d73148a7c.pdf/5c55d73148a7c.pdf

სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ დააყენოს პროფესიის ავტორიტეტი.

კომისიის შეფასებით, ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება მხოლოდ ინდივიდუალურად მისი პიროვნული თვისებები როდია, არამედ მნიშვნელობით უფრო ფართო მასშტაბი აქვს. ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის (ნდობის პრინციპი) თანახმად, ადვოკატის ყველა პირადი თვისება მის პროფესიულ ვალდებულებადაც განიხილება. კლიენტის ნდობა კონკრეტული ადვოკატის მიმართ, ამავდროულად, ხელს უწყობს კოდექსში გაცხადებული მიზნის - ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას.[10]

მუხლი 4. კონფიდენციალობის პრინციპი

1. **ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (08.12.2012).**

2. **კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.**

3. **ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:**
   ა) კლიენტის წინააღმდეგ;
   ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს (08.12.2012).

4. **ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:**
   ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
   ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;
   გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის (08.12.2012).

5. **ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა. (08.12.2012).**

---

[10] ეთიკის კომისიამ ნდობის პრინციპთან დაკავშირებით 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეში N077/13 განმარტა, რომ ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის, მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით, კლიენტს უყალიბდება რწმენა, რომ იგი კეთილსინდისიერად მიუდგება მინდობილ საქმეს და მის ინტერესებს დაიცავს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს კლიენტის მისდამი ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს მისი პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. ამას მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის არსი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484a807dbf8.pdf

4.1 კონფიდენციალობის ვალდებულების შეზღუდვა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით

საქმე №134/12, 2013 წლის 27 მაისი[11]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა კლიენტის პრეტენზია ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურების გაწევაზე, თუმცა, ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა დაიწყო. ამის მიზეზი გახდა ხელშეკრულება კლიენტსა და საადვოკატო ბიუროს შორის იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ, რომლის ერთ-ერთი პირობის თანახმად, საადვოკატო ბიუროს ეკისრებოდა კონფიდენციალობის დაცვა შეზღუდული დროის განმავლობაში. კერძოდ, ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, ადვოკატი იღებდა ვალდებულებას, არ გაეხმაურებინა კომერციული და ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდებოდა კლიენტის დოკუმენტაციიდან, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მისი შეწყვეტიდან 10 (ათი) წლის მანძილზე.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად: „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ეკისრება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება კლიენტის საქმესთან დაკავშირებით საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

ეთიკის კომისიის შეფასებით, საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით შეიზღუდა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, რაც ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას, იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და, შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ მართალია ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, მაგრამ აღნიშნული პუნქტის მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნას - კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. დაუშვებელია, კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით ადვოკატმა საკუთარ თავს მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს შეეზღუდა უფლება, განუსაზღვრელი ვადით კონფიდენციალური დარჩენილიყო ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა ადვოკატისთვის.

[11] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c501888895.pdf

4.2 კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება

საქმე №054/13, 2014 წლის 21 მარტი[12]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი, კლიენტისთვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტმა მიმართა ადვოკატს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ დავაზე და გადასცა მის ხელთ არსებული ყველა საბუთი. შეთანხმების თანახმად, ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კლიენტის საქმე ყველა ინსტანციის სასამართლოში. საადვოკატო მომსახურების შეთანხმებული საზღაურის ნახევარი კლიენტმა შეთანხმებისას გადაიხადა.

ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას მისი საქმის მსვლელობის შესახებ. კლიენტის ყოველი მცდელობისას, უფრო დაწვრილებით შეეტყო საქმის გარემოებები, ადვოკატი მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლებოდა და დაიმედებით, რომ ყველაფერი კარგად იყო.

ადვოკატმა კლიენტის საქმისწარმოება მიანდო სხვა ადვოკატს ისე, რომ ამის შესახებ მას არ შეთანხმებია. ასევე, საქმეში ახლად ჩართულ ადვოკატს კლიენტის ინფორმირების გარეშე გადასცა საქმის მასალები და გადახდილი თანხის ნაწილი. აღნიშნულის შესახებ მან კლიენტს შეთანხმებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ შეატყობინა. თან აცნობა, რომ მეორე ადვოკატს საქმისწარმოება ჯერ არ დაეწყო მინდობილობის არქონის გამო. კლიენტმა ისიც გაარკვია, რომ ამ ახალ ადვოკატს ეთიკის კომისიამ 18 თვით შეუჩერა საქმიანობის უფლება. ამდენად, ვერ შეძლებდა მის წარმომადგენლობას ვერცერთი ინსტანციის სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია როგორც ინფორმაციის მიწოდების, ისე ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, როცა საქმისწარმოებისა და საქმის მასალები კლიენტთან შეთანხმების გარეშე მიანდო სხვა ადვოკატს.

კომისიის განმარტებით, საქმის მასალა ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაციაა, მისი სხვისთვის გადაცემით, ადვოკატმა გათქვა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია, მასთან შეთანხმების გარეშე. შედეგად, კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში.

კომისიის განმარტებით, ადვოკატსა და კლიენტს ან უფლებამოსილ პირს შორის შეთანხმება კლიენტს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია მისი დამცველის შესახებ, ჰქონდეს ადვოკატთან კომუნიკაცია და უშუალოდ მისგან შეიტყოს საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.
კომისიამ დაადგინა, რომ დაირღვა საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რადგან ადვოკატი მას არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობის შესახებ. კლიენტის ყოველი მცდელობისას, უფრო დაწვრილებით შეეტყო საქმის გარემოებები, ადვოკატი მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოიფარგლებოდა და დაიმედებით, რომ ყველაფერი კარგად იყო.

[12] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c471fcce4137.pdf

კომისიის შეფასებით, პროფესიული საქმიანობისას კლიენტის ინტერესებისადმი ადვოკატის ამგვარი დამოკიდებულება არის გულგრილობა საქმისადმი.

4.3 დისციპლინური წარმოების პროცესში თავდასაცავად წარდგენილი ინფორმაციის შეფასების ვალდებულება

საქმე №029/11, 2011 წლის 09 ივლისი[13]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

სავარაუდო დარღვევა: კონფიდენციალობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური წარმოების შეწყვეტა ხანდაზმულობის საფუძვლით.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა. მისი თქმით, ადვოკატმა შეტყობინების გარეშე შეუწყვიტა იურიდიული მომსახურება. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განმარტებაში ადვოკატმა ყოფილ კლიენტზე მიუთითა: „მე პირადად დავრწმუნდი, რომ საჩივრის ავტორი უარყოფითი პიროვნებაა. სხვადასხვა გზითა და მეთოდით, მან მრავალგზის ჩაიდინა წინასწარ განზრახ დანაშაული... ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი თაღლითურად მიითვისა თურქეთის მოქალაქისგან. საქმე მქონდა კლასიკურ თაღლითსა და მისი ჯგუფის წევრებთან, რომლებიც მიიმალნენ სასამართლო მსვლელობისას. მე ნამდვილად ვეღარ გავაგრძელებდი საჩივრის ავტორის დაცვას“.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის შეფასებით, კონფიდენციალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს კლიენტისგან პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაციის დაცვას მასთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგაც კი დაუშვებელია ამგვარი ინფორმაციის გამოყენება კლიენტის სუბიექტური შეფასებისას ან მის წინააღმდეგ.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ მის წინაშე წარმოდგენილ განმარტებაში კლიენტის მსგავსი შეფასებით ადვოკატმა დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი, რადგან იგი მოიცავდა კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც. ამასთან, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ კლიენტის ამგვარი შეფასება არ ყოფილა აუცილებელი ადვოკატის მიმართ კომისიაში წაყენებული ბრალდებიდან თავის დასაცავად. ყოფილი კლიენტის „კლასიკურ თაღლითად“ მოხსენიება და მასთან დაკავშირებული პირების დადანაშაულება არ ამართლებს ადვოკატს იმაში, რომ ვალდებულებისდა მიუხედავად, არ აცნობა კლიენტს იურიდიული მომსახურების შეწყვეტის შესახებ.

საქმე №001/12, 2012 წლის 27 ივნისი[14]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი.

---

[13] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c47fbd8450.pdf

[14] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c4eb6027b3bc.pdf

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კომისიამ არ დააკმაყოფილა კლიენტის პრეტენზია ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური მომსახურების გაწევაზე, თუმცა, მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა დაიწყო. ამის მიზეზი გახდა კლიენტის პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება და ეთიკის კომისიაში წარდგენა. კერძოდ: დისციპლინური წარმოებისას ადვოკატმა რეგიონული ნარკოლოგიური ცენტრიდან, მინდობილობის საფუძველზე, გამოითხოვა ინფორმაცია საჩივრის ავტორის - მისი ყოფილი კლიენტის - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამ მომენტისათვის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ შეწყვეტილი იყო, თუმცა, მინდობილობა ძალაში რჩებოდა. ადვოკატმა კარგად იცოდა, რომ კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ წარმომადგენლის სტატუსით ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილება აღარ ჰქონდა. ამგვარად მოპოვებული ინფორმაცია ადვოკატმა ეთიკის კომისიას წარუდგინა თავდაცვის მიზნით.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ კანონიერებისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დარღვევა დაადგინა, რადგან ადვოკატმა ისარგებლა მინდობილობით და ნდობით აღჭურვილი პირის სტატუსით მოიპოვა ინფორმაცია კლიენტთან საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატს უფლება არ აქვს ისარგებლოს კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობით, ორდერითა და სხვა დოკუმენტებით.

ამასთან, ყოფილი კლიენტის ჯანმრთელობის შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, რადგან ასეთად მიიჩნევა პროფესიული საქმიანობისას მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია კლიენტისაგან, თუ სხვა წყაროდან. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, ყოფილი კლიენტის მიერ ეთიკის კომისიაში წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად, ადვოკატი უფლებამოსილია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. თუმცა, ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა თავი უნდა გაიმართლოს ოდენ კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებით.

კომისიის შეფასებით, კლიენტი ადვოკატს მინდობილობას/ორდერს გადასცემს მხოლოდ თავისი ინტერესების დაცვის მიზნით. ადვოკატი არ არის უფლებამოსილი აღნიშნული დოკუმენტები კლიენტის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს, მათ შორის, საკუთარი ინტერსების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, დამცველს არ ჰქონდა უფლება, ესარგებლა კლიენტის მინდობილობით/ორდერით და მისი სახელით გამოეთხოვა ინფორმაცია ეთიკის კომისიის წინაშე ბრალდებისაგან თავის დასაცავად.

ეთიკის კომისიის აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ყოფილი კლიენტის მიერ გაცემული დოკუმენტაციით ისარგებლა. საქმე ისაა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებებს მესამე პირები კლიენტის ნების გამოხატულებად მიიჩნევენ და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ აყენებენ ადვოკატის საიმედოობასა და კეთილსინდისიერებას.

ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ადვოკატის მიერ გამოთხოვილი მონაცემები ადამიანის პირადი, კერძო ინფორმაციაა, რომლის გამჟღავნებისას დაცული უნდა იყოს კანონით განსაზღვრული წესი. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა კლიენტის - საჩივრის ავტორის - წარმომადგენლის სახელით, მისი თანხმობის გარეშე, გამოითხოვა ინფორმაცია მისივე ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რითაც დაარღვია კანონიერებისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპები.

მუხლი 5. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (08.12.2012).

5.1 კლიენტის ინტერესები და კანონიერების პრინციპის ფარგლებში მოქმედების ვალდებულება

საქმე №048/15, 2018 წლის 18 აპრილი[15]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის უფლებამოსილება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს სამოქალაქო დავაში. ადვოკატმა, როგორც კლიენტის წარმომადგენელმა, სასამართლოს მიმართა სარჩელით, რაზეც დადგინდა ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად მხარეს განესაზღვრა ვადა. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ადვოკატმა კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე - რომელიც იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში - გამოწერა ორდერი, ორდერის საფუძველზე მოითხოვა კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის - როგორც უკვე მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის - განაჩენის და განჩინებების ასლები. მოცემული განცხადების საფუძველზე, ადვოკატმა მიიღო კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის საქმის განაჩენისა და განჩინებების ასლები, დამოწმებული სახით. ადვოკატმა მიღებული ინფორმაცია გამოიყენა მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ: გამოასწორა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი, დააზუსტა სარჩელი და მიმართა სასამართლოს, რის შემდეგაც დაიწყო საქმისწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე ორდერის გამოწერით და მოცემული ორდერის საფუძველზე მისი პერსონალური ინფორმაციის მიღებითა და გამოყენებით, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი.

კომისიის განმარტებით, ორდერი კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც ადვოკატს უფლება აქვს, იმოქმედოს კლიენტის სახელით და წარმოადგინოს მისი ინტერესები შესაბამის ორგანოებში, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა წარმოშობს ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვასა

[15] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c471d761168c.pdf

და იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც განსაზღვრულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით.“[16]

კომისიის განმარტებით, ადვოკატი, როგორც წესი, ორდერს გამოწერს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც კლიენტის, დავალების შესასრულებლად და მისი ინტერესების დაცვის მიზნით. სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება ორდერის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სამართლებრივ ბუნებას. ამ შემთხვევაში ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები ირღვევა სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

ეთიკის კომისიის შეფასებით, განხილულ შემთხვევაში კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე გამოწერილი ორდერი ფიქტიური ხასიათისაა, ვინაიდან დადგინდა, რომ ადვოკატმა იგი გამოწერა სამოქალაქო საქმეზე მარწმუნებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო ადვოკატის განმარტებასაც. მისი განცხადებით, იცოდა, რომ არ ჰქონდა ორდერის გამოწერის უფლება და შედეგის მისაღებად შეეძლო სხვა სახის იურიდიული ქმედებების განხორციელება, თუმცა, დროში იყო შეზღუდული და, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, იმ მომენტში მიზანშეწონილად მიიჩნია მსგავსი ქმედება. ადვოკატის შეფასებით, ეს ნაბიჯი საზიანო არ ყოფილა კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგისთვის (ორდერის მიხედვით, მისი კლიენტისთვის), ვინაიდან ორდერის საფუძველზე მხოლოდ განაჩენის ასლი მიიღო.

განსხვავებული აზრი: კოლეგიის ერთ-ერთი წევრი სრულად დაეთანხმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას ადვოკატის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის დადგენის შესახებ, თუმცა მიიჩნია, რომ მას კერძო სარეკომენდაციო ბარათის ნაცვლად გაფრთხილება უნდა დაკისრებოდა: მან ფიქტიური ორდერის საფუძველზე მოითხოვა და მიიღო კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის განაჩენის ბეჭდით დამოწმებული ასლი და განჩინება ამნისტიის შესახებ, რითაც დაარღვია კანონიერების და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპები. გამოყენებული უკანონო საშუალებით ადვოკატმა მიიღო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი და ისინი სასამართლოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე გადასცა. ივარაუდება, რომ ადვოკატმა ეს მონაცემები ხელმისაწვდომი გახადა მისი კლიენტისთვისაც.

ადვოკატმა მიიღო ინფორმაცია კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის თაობაზე, რითიც ისარგებლა კლიენტმა და დაზარალდა კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესი. სხვა შემთხვევაში ადვოკატი ვერ შეძლებდა ხარვეზის გამოსწორებას და სასამართლო მის მიმართ სარჩელს არ მიიღებდა წარმოებაში. ადვოკატის ქმედების შედეგად, კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს ობიექტურად გაუჩნდებოდა იმის აღქმა, რომ ადვოკატებს შეუძლიათ მოტყუებით მიიღონ პირის პირადი ინფორმაცია და გადასცენ ის მესამე პირს. ეს ადვოკატის პროფესიისა და მისდამი ნდობისთვის დიდი ზიანის მომტანია, რადგან საზოგადოების თვალში ადვოკატი უნდა აღიქმებოდეს, როგორც კანონიერების დამცველი, მაღალი პროფესიული ეთიკის პირი, რაც განაპირობებს მისდამი ნდობას. ადვოკატის მოქმედებით, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა არა მარტო კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის კანონით დაცულ სფეროს, ასევე დაზარალდა ადვოკატის პროფესიის აღქმა საზოგადოებაში, რაც იწვევდა უფრო მკაცრი ღონისძიების გამოყენების საჭიროებას.

[16] ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N044/10 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 09.09.2018 https://gba.ge/pdf/5c582e0e25af5.pdf/5c582e0e25af5.pdf

5.2 კლიენტის ინტერესების მიმართება ადვოკატის პირად ინტერესებთან

5.2.1 მოწინააღმდეგე მხარესთან საქმიანი ურთიერთობა

საქმე №022/11, 2011 წლის 03 ივნისი[17]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტმა - სააქციო საზოგადოების დირექტორმა - სამოქალაქო საქმეზე იურიდიული დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ ა-ს. ადვოკატის შეთავაზებით, მის სახელზე გადაფორმდა მეორე, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი სააქციო საზოგადოების აქციების 34%, რადგან მიიჩნევდა, რომ ამ გზით გამარტივდებოდა დაშლილი საწარმოს მართვა მენეჯმენტისა თუ იურიდიული მიმართულებით და დავის დასრულების შემდეგ, ადვოკატი კლიენტს დაუბრუნებდა აქციებს. პროცესებზე სააქციო საზოგადოების ინტერესების დასაცავად გამოდიოდა ამავე ბიუროს სხვა ადვოკატი ბ. საბოლოოდ, სააქციო საზოგადოებამ მოითხოვა ადვოკატ ა-გან აქციების უკან დაბრუნება და ურთიერთობის შეწყვეტა, რაზეც უარი მიიღო. სააქციო საზოგადოების დირექტორმა სასამართლოს მიმართა სასარჩელო განცხადებით, სადაც აქციების დაბრუნებას ითხოვდა. ადვოკატ ა-ს აქციების 34% წილს ყადაღა დაედო. მეორე ადვოკატმა ბ-მ, რომელიც მანამდე თვეების განმავლობაში წარმოადგენდა სააქციო საზოგადოების ინტერესებს, და რომლის მინდობილობასაც - როგორც სააქციო საზოგადოების წარმომადგენლისა - ადვოკატ ა-თან დავის დაწყების შემდეგ აღარ ჰქონდა იურიდიული ძალა, თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილობით მიმართა სააქციო საზოგადოების სახელით. მან ეს მარწმუნებელთან შეუთანხმებლად გააკეთა და მოითხოვა საქმისწარმოების შეწყვეტა და უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება. ადვოკატმა ბ-მ განცხადებას დაურთო კლიენტის მიერ სხვა საქმის (ბანკთან დავის გამო) საწარმოებლად გაცემული მინდობილობა.

სასამართლოს ყადაღის გაუქმების მოთხოვნით წერილობით მიმართა მოცემულ დავაში მოპასუხე ადვოკატმა ა-მაც, რომელსაც ედავებოდა სააქციო საზოგადოება აქციების 34%-ს. დაინიშნა სასამართლო სხდომა. შესაბამისი შეტყობინება ჩაბარდა ადვოკატ ბ-ს, მაგრამ მან კლიენტს არ შეატყობინა სხდომის ჩანიშვნის ამბავი. სხდომაზე ადვოკატმა ბ-მ, როგორც სააქციო საზოგადოების წარმომადგენელმა, მხარი დაუჭირა მის მიერ წერილობით განცხადებაში დაყენებულ მოთხოვნას, კვლავ უარი თქვა სარჩელზე და მოითხოვა როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, ისე საქმისწარმოების შეწყვეტა. თუმცა, მოსამართლე დაეჭვდა, სხდომა გადადო და თავად კლიენტს დაუკავშირდა. მხოლოდ ამ მომენტში შეიტყო კლიენტმა, თუ რას აკეთებდა ადვოკატი ბ მასთან შეუთანხმებლად და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. იგი მოქმედებდა მოპასუხე ადვოკატის და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მუშაობდა მოპასუხე ადვოკატის ბიუროში და მასთან სხვაგვარი საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებდა - სააქციო საზოგადოებაში ადვოკატი იყო სამეთვალყურეო საბჭოს იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი, ხოლო სამოქალაქო დავის მოპასუხე ადვოკატი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

[17] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 https://gba.ge/uploads/publications/5c4eb0365ba17.pdf

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მის ინტერესებს.

საქმისწარმოებისას საქმესთან დაკავშირებულ არსებით გადაწყვეტილებებს კლიენტი უნდა იღებდეს. ეს შეიძლება იყოს: სასამართლოში სარჩელის შეტანა ან მასზე უარი, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება და ა.შ., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტისათვის მიცემული რეკომენდაციები და განხორციელებული საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს კლიენტის ინტერესებს და მათ დაცვას ემსახურებოდეს. ეთიკის კომისიის აზრით, ადვოკატს მინდობილობაც რომ ჰქონდეს, მან ერთპიროვნულად არ უნდა გადაწყვიტოს კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები და აუცილებლად უნდა უთანხმდებოდეს მას.

ეთიკის კომისიის შეფასებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვოკატის მიერ კლიენტის თანხმობის გარეშე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც კლიენტს უზღუდავს სასამართლოს გზით ინტერესების დაცვის საშუალებას (სარჩელზე უარის თქმა, საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნა და ა.შ.). ასევე საფრთხის ქვეშ აყენებს კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას (უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა).

ეთიკის კომისიის განმარტებით, კლიენტის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს ადვოკატის მიმართ ნდობაზე, შედეგად კი შემდგომ ურთიერთობაზე. ადვოკატის/წარმომადგენლის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივი ძალა აქვს. ამიტომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის მოქმედება კლიენტთან შეთანხმების გარეშე. კერძოდ, სხვა საქმეზე გაცემული მინდობილობის გამოყენება იმ საქმეში, რომელზეც კლიენტს ადვოკატისთვის მინდობილობა გაუქმებული ჰქონდა; ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომაში მონაწილეობა და განცხადება საქმისწარმოების შეწყვეტისა და ყადაღის გაუქმების თაობაზე. ეთიკის კომისიის აზრით, ადვოკატის ქმედება ეწინააღმდეგებოდა კლიენტის ინტერესებს, რადგან ის მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებისა და მისი ინფორმირების გარეშე. ამასთან, კლიენტი დაინტერესებული იყო სწორედ საქმის განხილვითა და სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებით, ადვოკატმა კი ამის სრულიად საპირისპირო რამ მოითხოვა სასამართლოში.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის საქმიანი ურთიერთობა და ვალდებულებები წარმოშობს რისკს, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენებს პირად ან კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესს. განსახილველ საქმეში ასეც მოხდა: ადვოკატმა უპირატესობა მიანიჭა კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. მან კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მასთან შეუთანხმებლად მოითხოვა საქმისწარმოების შეწყვეტა და ყადაღის გაუქმება, რაც უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებში შედიოდა. შესაბამისად, საქმე გვაქვს ინტერესთა კონფლიქტთან: კლიენტის ინტერესების დამცველ ადვოკატს მეორე მხრივ უნდა ეზრუნა საქმიანი პარტნიორის საჭიროებაზე. ადვოკატმა თავი არ აარიდა აღნიშნულ ინტერესთა კონფლიქტს და განაგრძო კლიენტის ინტერესების დაცვა. შესაძლოა, სწორედ ეს გახდა წინაპირობა ისეთი გადაწყვეტილების მიღებისა, რაც სასურველი იყო მოწინააღმდეგე მხარისთვის და ეწინააღმდეგებოდა კლიენტის ინტერესებს.

5.2.2 რამდენიმე საქმის ერთდროულად წარმოება

საქმე №034/11, 2011 წლის 27 აგვისტო[18]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, ნდობის პრინციპი, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის გამოც სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. ადვოკატის განმარტებით, სხდომის დღეს იგი აუცილებლად უნდა წასულიყო სამსახურებრივ მივლინებაში რაიონში და წაეღო მნიშვნელოვანი საბუთები, რის გამოც ვერ გამოცხადდებოდა სხდომაზე. ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეიტანა განცხადება პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ, ამასთან კლიენტს არ აცნობა სხდომის თარიღი, არც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ადვოკატის თქმით, საქმეში საკმარისი მტკიცებულებები იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის და დარწმუნებული იყო, რომ ამას შეძლებდა. ურთიერთობის დასაწყისში ადვოკატმა კლიენტს ასევე არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქმისწარმოების ყველა ეტაპზე შესაბამისი სახელმწიფო ბაჟი ექნებოდა გადასახდელი. ამდენად, კლიენტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, როცა ადვოკატმა სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოსთხოვა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის შეფასებით, კლიენტის ინტერესებზე მაღლა სამსახურებრივი ინტერესის დაყენებით, ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და ნდობის პრინციპები.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საქმეთა პარალელურად წარმოებისას, ორ და მეტ სამუშაო ადგილზე საქმიანობისას, მნიშვნელოვანია ადვოკატმა საკუთარ თავზე აიღოს რამდენიმე ადგილას მუშაობის ტვირთი, რადგან ადვოკატის პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგი კონკრეტულ პირთა ინტერესებს ეხება.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის დაადგინოს, თუ რა სამართლებრივ სტრატეგიას დასახავს ადვოკატი საქმისწარმოებისას. თუმცა, კომისიის აზრით, ადვოკატს მოეთხოვება საქმის გარემოებათა ფრთხილი და გონივრული შეფასება, მიუხედავად საადვოკატო საქმიანობის გამოცდილებისა. მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ყველა საქმე თავისებურად სპეციფიკურია. კანონის ძალით, სასამართლოსთვის საქმეში არსებულ არცერთ მტკიცებულებას არ აქვს დადგენილი იურიდიული ძალა. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს განჭვრიტოს, რა საფრთხე შეიძლება შეექმნას კლიენტის ინეტერესებს.

კომისიის შეფასებით, ადვოკატს უნდა ეცნობებინა კლიენტისთვის სასამართლო სხდომის თარიღი, იმისდა მიუხედავად, იცოდა თუ არა მან სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე

[18] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c49d8062a4dc.pdf

საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. ადვოკატი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო საქმის კლიენტის ინტერესისათვის ყველაზე ცუდი შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც კი, პროცესუალური კანონით დაიცავდა მის ინტერესებს და უარყოფითი შედეგის გაუქმებას შეძლებდა.

კომისიის განმარტებით, კლიენტის კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა ნიშნავს, რომ ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, შემდეგ კი მასთან ერთად მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები. კლიენტმა არ იცოდა სააპელაციო საჩივრისთვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თაობაზე. კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის კანონისმიერი ვალდებულებაა, აცნობოს კლიენტს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ფინანსური ხარჯი - მან წინასწარ უნდა იცოდეს ყველა შესაძლო დანახარჯი, რომლის გაღებაც შეიძლება მოუხდეს.

ნდობის პრინციპთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპია ნდობის პრინციპი. კოდექსი ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებად მიიჩნევს კლიენტთან იმგვარ დამოკიდებულებას, რომ ეს პრინციპი ეჭვქვეშ არ დადგეს. ადვოკატთან ურთიერთობა მისთვის საკუთარი პრობლემის განდობით იწყება. დაცვის ყოველი შემდგომი ნაბიჯი სათანადოდ უნდა განემარტოს კლიენტს და შეთანხმდეს მასთან. ადვოკატი, ფლობს რა სპეციალურ ცოდნას, ვალდებულია, კლიენტს მიაწოდოს კანონიერი რჩევა, სრული და ამომწურავი ინფორმაცია გასაგებ ენაზე.

5.2.3. ფინანსური ინტერესი

საქმე №094/11, 2012 წლის 10 აპრილი[19]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების პრინციპი, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის, როგორც მოსარჩელის ინტერესებს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. საქმეში კლიენტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მოვალე ა-ს დაეკისრა მისთვის თანხის გადახდა. ა-ს ასევე ჰქონდა კრედიტორ ბ-ს ვალი. თანხობრივად კრედიტორ ბ-ს სესხი კლიენტის სესხთან შედარებით მცირე იყო, თუმცა, ა-ს ქონება კრედიტორ ბ-ს სასარგებლოდ იყო უზრუნველყოფილი, განსხვავებით ადვოკატის კლიენტისაგან.

ადვოკატის კლიენტს სურდა კრედიტორ ბ-თან მორიგება. ამისთვის მას თანხა გადაუხადა და შეუთანხმდა, რომ გარკვეული პერიოდი არ დაეწყო სააღსრულებო წარმოება მოვალის მიმართ. ამასთან, მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომ კლიენტს მოვალე ა-ს ნაცვლად გაესტუმრებინა კრედიტორ ბ-ს ვალი, რომელიც მის სესხთან შედარებით მცირე იყო, ამასთან მოვალის ქონებით

[19] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c47284380180.pdf

უზრუნველყოფილი და შემდეგ დაეწყო წარმოება საკუთარ მოთხოვნაზე. კლიენტი ვარაუდობდა, რომ არაუზრუნველყოფილი სესხის პირობებში ა-გან ვალს ვერ ამოიღებდა და თუ კრედიტორ ბ-თვის ვალის გადახდით მოვალე ა-ს ქონებით უზრუნველყოფის უფლება მასზე გადავიდოდა, მაშინ ა-ს უძრავი ქონება მაინც დარჩებოდა. ადვოკატმა კონკურენცია გაუწია კლიენტს - მისთვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე, იპოთეკარ ბ-თან გააფორმა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, გადაუხადა თანხა და თავად გახდა მოვალე ა-ს კრედიტორი. ამის შემდეგ კრედიტორმა ბ-მ უარი უთხრა ადვოკატის კლიენტს შეთანხმებაზე. ამასთან, ადვოკატი იპოთეკარ ბ-ს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე და მიიღო მინდობილობა მისი სახელით წარმომადგენლობაზე. კლიენტმა შემთხვევით გაიგო, რომ კრედიტორი ბ ადვოკატმა ჩაანაცვლა. მოგვიანებით, თვეების შემდეგ, როდესაც სესხის თანხას პროცენტი დაემატა, ადვოკატმა კლიენტს მოსთხოვა კრედიტორ ბ-თვის გადახდილი თანხა ზედმეტი ოდენობით, სანაცვლოდ, მოთხოვნის უფლებას მას დაუთმობდა. კლიენტისთვის ადვოკატის ეს შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან მისი შეფასებით, ადვოკატმა პირადი ფინანსური ინტერესის გამო ხელი შეუშალა კლიენტსა და კრედიტორ ბ-ს შორის მიმდინარე მოლაპარაკებას, ხოლო სესხის თანხის გაზრდის პირობებში ჩანაცვლება მისთვის მისაღები აღარ იყო.

ადვოკატმა განმარტა, რომ კრედიტორ ბ-ს მოთხოვნის დაკმაყოფილების, მასთან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმებისა და მისგან მინდობილობის მიღების მოტივი კლიენტთან შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საზღაურის მიღება იყო, რომელსაც მისი კლიენტი ვერ გადაუხდიდა, თუ სასამართლო გადაწყვეტილება არ აღსრულდებოდა. ადვოკატის ინტერესში არ შედიოდა კრედიტორ ბ-ს მოვალე ა-ს ქონების გასხვისებით დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა. ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმება მოთხოვნის დათმობის შესახებ ვერ შედგა.

სამართლებრივი შეფასება

კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა და კლიენტის საქმიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება ეთიკის კომისიამ საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების მოვალეობას დაუკავშირა და განმარტა: მნიშვნელოვანია, ადვოკატმა კლიენტის ინტერესები დაიცვას დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით. ეს ადვოკატს ავალდებულებს, იყოს დამოუკიდებელი გარეშე გავლენისაგან, მათ შორის, პირადი ინტერესებისაგან. წარმომადგენლობის განხორციელებისას კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულების დასაცავად, ადვოკატმა უპირატესობა ყოველთვის კლიენტის ინტერესებს უნდა მიანიჭოს სხვა პირთა ან მის პირად ინტერესებთან შედარებით. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად თუ სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ადვოკატს, რომელიც კლიენტის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას ფლობს, უზღუდავს საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებას.

კომისიის განმარტებით, კლიენტის, როგორც ა-ს კრედიტორის ინტერესს წარმოადგენდა, რომ ა-თვის გადაცემული თანხა დაებრუნებინა. ადვოკატიც გახდა ა-ს კრედიტორი და, კლიენტის მსგავსად, ისიც დაინტერესდა, რომ ა-თვის ვალდებულების შესრულება მოეთხოვა. ადვოკატს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუჩნდა პირადი დაინტერესება, თავად მიეღო ა-თან ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა და დარიცხული პროცენტები. კრედიტორ ბ-თან მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმებით, ადვოკატს დამატებითი უპირატესობა გაუჩნდა კლიენტთან შედარებით, რადგან კლიენტს ა-თვის სესხი უზრუნველყოფის გარეშე ჰქონდა მიცემული, ბ-ს სესხი კი უძრავი ქონებით იყო უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ადვოკატს წამოეშვა უფლება, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიემართა აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის და ქონება აუქციონის წესით გასხვისდებოდა. ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატს წარმოეშვა

შესაძლებლობა, რომ ა-ს ქონებაზე მიექცია აღსრულება. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ადვოკატის პირადი ინტერესი კლიენტის ინტერესთან მოვიდა წინააღმდეგობაში - ადვოკატსა და კლიენტს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა. ამასთან, ინტერესთა კონფლიქტი გაჩნდა სხვა მხრივაც, კერძოდ, ადვოკატმა წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიიღო კრედიტორ ბ-განაც.[20]

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატს არ ჰქონდა უფლებამოსილება, გაეფორმებინა რწმუნებულება იპოთეკართან, ასევე არ უნდა ემოქმედა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ ბ-თან ხელშეკრულების გაფორმებისას. ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა, რითიც დაარღვია ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა მხოლოდ ინფორმაციის გასაჯაროებას არ კრძალავს. ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა ეს ვალდებულება არ შეასრულა.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას, გამოიყენოს მხარეების მორიგების შესაძლებლობა, რათა დავის მინიმალური დანახარჯებით აწარმოოს კლიენტის საქმე. ადვოკატმა იცოდა, რომ მის კლიენტს კრედიტორ ბ-თან სურდა მოლაპარაკება. მას ევალებოდა, ამაში დახმარებოდა კლიენტს. ამის სანაცვლოდ, ადვოკატი თავად მოელაპარაკა ბ-ს პირადი ინტერესიდან გამომდინარე, რითაც ადვოკატმა კონკურენცია გაუწია კლიენტს და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა.

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა ასევე დაარღვია საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რადგან კლიენტს დაუმალა ინფორმაცია კრედიტორ ბ-თან ხელშეკრულების გაფორმებისა და მისგან მინდობილობის მიღების თაობაზე.

საქმე №046/11, 2011 წლის 26 ოქტომბერი[21]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა - ამხანაგობამ.

---

[20] ეთიკის კომისია აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაეყრდნო 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებაში 015/10 მოცემულ განმარტებას, რომლის თანახმად, „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.“ .... „ადვოკატი ვალდებულია, შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმისწარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“
https://gba.ge/uploads/publications/5c4ed126de587.pdf

[21] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c4f6a3b30e.pdf

ადვოკატი თავადაც ამხანაგობის წევრი იყო. იგი საწევრო შენატანის სანაცვლოდ საადვოკატო მომსახურებას უწევდა ამხანაგობას. ამხანაგობის პარალელურად ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევდა მეზობელი მიწის ნაკვეთით მოსარგებლე პირს, რომელსაც სურდა ამ ნაკვეთის რეგისტრაცია და მასზე უკანონოდ აშენებული შენობის დაკანონება. საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდა ამხანაგობის მიწისა და იმ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ნაწილის ზედდება, კერძოდ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე აშენებული უკანონო ნაგებობა კვეთდა ამხანაგობის საკადასტრო საზღვარს. ადვოკატი დაეხმარა მომიჯნავე მიწის ნაკვეთით მოსარგებლეს მიწის ნაკვეთის რეაგისტრაციაში. ასევე თავად შეისყიდა კლიენტისგან ამხანაგობის კუთვნილი მიწის მომიჯნავე მონაკვეთის ნაწილი (ამხანაგობის ინფორმირების გარეშე) და დაიწყო საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა. ადვოკატმა იცოდა, რომ აზომვითი ნახაზის მიხედვით, მისი ორივე კლიენტის მიწის ნაკვეთებს შორის იყო ზედდება. იცოდა ისიც, რომ ამხანაგობა ამ საკითხზე სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებდა და ადვოკატისგან ითხოვდა მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას. ამხანაგობამ გაიგო რა, რომ ადვოკატმა შეიძინა მიწის ის ნაწილი, რომელზეც მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან ზედდება იყო, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომლის დაკმაყოფილების შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეჩერდა ადვოკატის განცხადებაზე უძრავი ქონების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სარეგისტრაციო წარმოების დასრულება. საბოლოოდ, ამხანაგობასთან შექმნილი კონფლიქტის გამო, ადვოკატმა მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გააუქმა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ამხანაგობასა და ადვოკატს შორის ურთიერთობა კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობად შეაფასა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი იღებდა ვალდებულებას, თავისი პროფესიული მოვალეობის განხორციელებით - იურიდიული მომსახურების გაწევით - აენაზღაურებინა ამხანაგობაში შენატანი. ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საადვოკატო საქმიანობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიულ ვალდებულებას და არა აქვს მნიშვნელობა, ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევდა ამხანაგობაში შენატანის სახით, თუ ფულადი საზღაურის სანაცვლოდ. საადვოკატო მომსახურების პროცესში ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში ასევე არა აქვს მნიშვნელობა, საკუთარი ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას, თუ ამხანაგობას - ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატს საქმე აქვს მის კლიენტებთან და, შესაბამისად, უნდა იმოქმედოს პროფესიული ვალდებულებებისა და კანონის ფარგლებში.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ამხანაგობის მომიჯნავე უძრავი ქონების ნაწილის შეძენით, ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა. კერძოდ, ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას ადვოკატი ჯერ კიდევ წარმოადგენდა ამხანაგობას და რწმუნებულება მხარეებს შორის ძალაში იყო. შესაბამისად, ადვოკატს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის რისკი, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა თან, რადგან მომიჯნავე უძრავი ქონების ნაწილი დაემთხვა ამხანაგობის უძრავ ქონებას. ამასთან, მომიჯნავე მიწის ნაკვეთით დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმომადგენლობას თავად ადვოკატი ახორციელებდა. შესაბამისად, აზომვითი ნახაზის მიხედვით, მას უნდა სცოდნოდა მიწის ნაკვეთების გადაფარვის ფაქტი. ვინაიდან ადვოკატი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, მისი პირადი ინტერესები დაუპირისპირდა ამხანაგობის ინტერესებს. კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადვოკატს წარმოეშვა საკუთრების უფლება, რომელიც დაუპირისპირდა ამხანაგობის საკუთრების უფლების დაცვას. ადვოკატმა თავად დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირადი ინტერესების სასარგებლოდ გააკეთა, როცა სადავო მიწის ნაკვეთი შეიძინა. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის ინტერესების დაცვას და სათუო

გახადა ვალდებულება, კანონის ყველა საშუალების გამოყენებით დაეცვა კლიენტი. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ადვოკატებმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის, თავიანთი პირადი ინტერესების, სხვა კლიენტებისა და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული. ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის ინტერესთა კონფლიქტი უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა, რომ ამხანაგობამ თავად აიცილა ზიანი და არა ადვოკატის მოქმედებით. ამხანაგობამ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, არ მისცა შესაძლებლობა ადვოკატს, საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება. ადვოკატმა ნასყიდობის ხელშეკრულება მხოლოდ მას შემდეგ გააუქმა, რაც ამხანაგობამ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენა მის მიმართ.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა იურიდიული დახმარება გაუწია ამხანაგობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთით დაინტერესებულ პირს, რითაც შექმნა საკუთარი კლიენტის (ამხანაგობის) მიერ განდობილი ინფორმაციის გამჟღავნების და ამ ინფორმაციის მის საწინააღმდეგოდ გამოყენების რისკი. ეს რისკი ადვოკატს მანამდე უნდა გაეთვალა, სანამ ამხანაგობის მომიჯნავე მიწის ნაკვეთით დაინტერესებულ პირს იურიდიულ მომსახურებას გაუწევდა. ორი ურთიერთდაპირისპირებული კლიენტის წარმომადგენლობით ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებაც.

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება

6.1 ვინ არის კლიენტი? არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი

საქმე №027/11, 2011 წლის 20 აგვისტო[22]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი ემსახურებოდა ორ კლიენტს, მათივე თანხმობით და მათი ინტერესის საერთო ობიექტის – სამკვიდრო ქონების მიღებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების თანაბარწილად რეგისტრაციის მიზნით. მოგვიანებით, ადვოკატმა „პირველ“ კლიენტს უარი უთხრა საადვოკატო მომსახურების გაგრძელებაზე საქმის არაპერსპექტიულობის საფუძვლით, დაუბრუნა მომსახურების ჰონორარი და დოკუმენტაცია, რომელიც მას კლიენტისაგან ჰქონდა მიღებული. თან დასძინა, რომ „მეორე“ კლიენტმა თავად უთხრა უარი საადვოკატო მომსახურებაზე და წაიღო დოკუმენტაცია.

[22] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4837a7a52f3.pdf

მოგვიანებით, „პირველმა“ კლიენტმა აღმოაჩინა, რომ „მეორე“ კლიენტს საკუთრების უფლება უკვე მთლიანად საკუთარ სახელზე დაურეგისტრირებია.

„პირველმა“ კლიენტმა მიიჩნია, რომ ადვოკატმა გამოიყენა მის მიერ გადაცემული უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და „მეორე“ კლიენტს დაეხმარა საკუთრების უფლების სრულად რეგისტრაციაში - ანუ „მეორეს“ სასარგებლოდ გამოიყენა „პირველის“ მიერ მიწოდებული ინფორმაცია. ადვოკატის განმარტებით, მას „პირველ“ კლიენტთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ დაუმყარებია. მან „პირველ“ კლიენტს სულ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა, როცა ის „მეორე“ კლიენტთან ერთად მივიდა და გარკვეული საბუთები დაიტოვა. მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ საქმეს პერსპექტივა არ ჰქონდა, „პირველ“ კლიენტს მისთვის მიმართვიდან ერთი წლის შემდეგ საბუთები უკან დაუბრუნა, გადახდილ ჰონორართან ერთად.

„პირველმა“ კლიენტმა სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მოთხოვნით „მეორე“ კლიენტის წინააღმდეგ. გადაწყვეტილების გამოცხადების ეტაპზე სასამართლო პროცესზე, „მეორე“ კლიენტის რწმუნებული პირის სტატუსით, მოცემული ადვოკატი გამოცხადდა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია, რომელიც ასაბუთებდა, რომ „პირველ“ კლიენტთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა და განმარტა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობად მიიჩნევა, „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი)“. ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უთითებს: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთსა და იმავე საქმეზე...“. კომისიის შეფასებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობისათვის მნიშვნელობას იძენს კლიენტის დამოკიდებულება, რომელიც ადვოკატს აღიქვამს მისი ინტერესების დამცველად. ადვოკატ-კლიენტის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა კი გულისხმობს, რომ კლიენტს აქვს ადვოკატისაგან დამოუკიდებელი რჩევის მიღების მოლოდინი. როცა ადვოკატი პირს სამართლებრივ მომსახურებას სთავაზობს, კონსულტაციის გაწევის მომენტიდანვე მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ითვლება და ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება ევალება. ადვოკატმა მხარეებს სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია და წარმოადგენდა საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, ვინაიდან კლიენტთა ინტერესების დასაცავად მოაწესრიგა დოკუმენტაცია, საჯარო რეესტრიდან ამოიღო საინვენტარიზაციო გეგმა, ცნობა-დახასიათება, გააკეთებინა აზომვითი ნახაზები და ა.შ. კომისიის შეფასებით, კონსულტაციის გაწევისა და საქმის მასალების დატოვების შემდეგ კლიენტს ჩამოუყალიბდა ნდობა ადვოკატის მიმართ, რომ ის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განახორციელებდა წარმომადგენლობას, დაიცავდა ეთიკის ნორმებს.

კომისიის შეფასებით, შესაძლებელია ადვოკატი და პოტენციური კლიენტი კონსულტაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ვერ შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობებზე, მაგრამ ადვოკატს კონსულტაციის შემდეგ - იღებს რა კონფიდენციალურ ინფორმაციას - ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება.

კომისიამ განმარტა, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შესრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი კლიენტს ინფორმაციას დროულად აწვდის, მისი საქმის მიმდინარეობის პარალელურად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტის დროული ინფორმირება, თუ საქმე არაპერსპექტიულია და ამ მიზეზით ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობას წყვეტს. მით უფრო,

თუ კლიენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, სამართლებრივი მოქმედების განხორციელება შეზღუდულია კონკრეტული ვადით და არსებობს საფრთხე, რომ ამ ვადების გასვლის შემდეგ კლიენტი ვეღარ მოახდენს საკუთარი უფლებების რეალიზაციას. ადვოკატმა კლიენტს ინფორმაცია მისი საქმის უპერსპექტივობისა და ამ საფუძვლით მომსახურების შეწყვეტის შესახებ არაგონივრულ ვადაში მიაწოდა, კერძოდ, დოკუმენტების დატოვებიდან ერთ წელში, რა დროსაც გასული იყო კლიენტის უფლებების რეალიზაციის ვადა. მოცემული ქცევით ადვოკატმა დაარღვია კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, არ მისცა მას საშუალება, დროულად მიემართა სხვა ადვოკატისთვის.

ეთიკის კომისიის განმარტებით, თუ ადვოკატის საქმიანობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს მისი პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ, წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს თავი უნდა აარიდოს და კლიენტი ისე წარმოადგინოს, როგორც თვითონ იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისთვის შესაბამისი ცოდნა, უნარი და დრო რომ ჰქონოდა. ადვოკატი მოქმედებდა როგორც „მეორე“ კლიენტის წარმომადგენელი, კერძოდ, გაუწია მას საადვოკატო მომსახურება უძრავ ქონებაზე რეგისტრაციის მიზნით. ასევე, მისი რწმუნებულის სტატუსით გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სადაც მოსარჩელე „პირველი“ კლიენტი გახლდათ. ამ პროცესში მას, ერთი მხრივ, ევალებოდა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვა „მეორე“ კლიენტის, როგორც არსებული კლიენტის მიმართ, ხოლო ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება „პირველი“ კლიენტის, როგორც ყოფილი კლიენტის მიმართ. კომისიის შეფასებით, კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემდეგ, ადვოკატს უნდა შეეწყვიტა ორივე მათგანის მომსახურება. მან კი არჩევანი ერთ კლიენტზე გააკეთა, გაუწია მას იურიდიული დახმარება, ხოლო მეორეს ურთიერთობის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ უთხრა უარი მომსახურებაზე ისე, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მისი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებდა. შესაბამისად, ადვოკატი „მეორე“ კლიენტს წარმოადგენდა ინტერესთა კონფლიქტის ფონზე.

6.2 ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა; ინტერესთა კონფლიქტი არსებულ და ყოფილ კლიენტს შორის

საქმე №100/11, 2013 წლის 08 იანვარი[23]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების შეზღუდვა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი 2009 წლიდან უწევდა კლიენტს, მეორე რიგის იპოთეკარს, იურიდიულ მომსახურებას სამართლებრივი კონსულტაციებით. ამავე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით პირველი რიგის იპოთეკარს წარმოადგენდა ადვოკატის მეუღლე.

ადვოკატი ასრულებდა არბიტრაჟის თავმჯდომარის მოვალეობას საქმის განხილვაში (დავის საგანი – თანხის დაკისრება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია) და შემდეგ ამავე საქმეზე გადაწყვეტილების

[23] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4728f4799c9.pdf

აღსრულებისას განაგრძო საადვოკატო მომსახურება პრეტედენტის - მეორე რიგის იპოთეკარის - სასარგებლოდ.

იპოთეკის საფუძველზე უძრავ ქონებაში მცხოვრები პირის სარჩელის გამო წარმოებულ დავაში ადვოკატი იცავდა კლიენტის, მეორე რიგის იპოთეკარის ინტერესებს იმავე უძრავ ქონებაზე და დაეხმარა მას, რომ გაუქმებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება აღსრულებულიყო.

ამის შემდეგ ადვოკატმა იმოქმედა მეორე რიგის იპოთეკარის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მან თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში იმავე უძრავ ქონებაზე, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით, წარმოადგინა პირველი რიგის იპოთეკარის, საკუთარი მეუღლის, ინტერესები. ადვოკატის მეუღლის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ფუნქციების შესრულების დაუშვებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპები.

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებით, ფართოდ განმარტა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი და მიიჩნია, რომ ადვოკატს ეზღუდება პროფესიული საქმიანობა, თუ საქმეში ჯერ არბიტრის სახით მონაწილეობს, ხოლო შემდეგ იმავე საქმეში რომელიმე მხარის ადვოკატობა სურს, რადგან „საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა და, შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ მოსამართლეს უნდა გაუთანაბრდეს.“[24]

ეთიკის კომისიის შეფასებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება და მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა ერთიანი პროცესია, რისი მიზანიცაა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტული პრეტედენტისათვის სამართლებრივი შედეგის მიღება - გადაწყვეტილების აღსრულება. არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - სააღსრულებო ფურცლის გაცემა ვერ განიხილება სააღსრულებო წარმოებისაგან განცალკევებულად; საარბიტრაჟო პრეტენზიაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღესვე კლიენტისაგან მინდობილობის მიღებით, ადვოკატმა დაადასტურა თანხმობა, ადვოკატის სტატუსით ჩართულიყო იმ საქმეში, რომელშიც მონაწილეობდა როგორც არბიტრი. შესაბამისად, მან დაარღვია ვალდებულება, უარი თქვას პროფესიული ფუნქციების შესრულებაზე, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.[25]

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/10 ფართოდ განმარტა „ერთი და იგივე“ საქმის ცნება და ასეთად მიიჩნია არსობრივად ურთიერთდაკავშირებული საქმეებიც. ასეთ შემთხვევებში ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ასევე წარმოიშობა ობიექტური საფრთხე, რომ ადვოკატი დაარღვევს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, ან რისკის ქვეშ დადგება მის მიერ კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.[26]

---

[24] ეთიკის კომისიამ გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქმეზე„ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (1996 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/1/10).

[25] ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილებით საქმეზე №026/11, დაადგინა, რომ ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელსაც უკავშირდება მის მიერ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება (მოსამართლის, პროკურორის და ა.შ) და კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c4ce2b0dce.pdf

[26] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c47281d2769c.pdf

თავდაპირველად ადვოკატი იცავდა კლიენტის (ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორი) ინტერესებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავაში, მასში მცხოვრები პირის წინააღმდეგ. ადვოკატი კლიენტს სამართლებრივ კონსულტაციებს უწევდა, მოამზადა კონკრეტული მასალები და მონაწილეობდა სასამართლო პროცესში. კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატი საკუთარი მეუღლის დამცველი გახდა, რომელიც იმავე უძრავი ქონების პირველი რიგის იპოთეკარი გახლდათ. ადვოკატი საკუთარ მეუღლეს წარმოადგენდა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. აღნიშნული დავა მისი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ შეეხებოდა სესხის თანხის დაკისრებასა და იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციას.

ეთიკის კომისიის განმარტებით, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით ადვოკატის წარმოებული საქმეები სხვადასხვა იყო და განსხვავებული ფორმალურ-იურიდიული საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ადვოკატის პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის თვალსაზრისით, არსებითად ერთმანეთს უკავშირდებოდა. ადვოკატს არ ჰქონდა უფლება, წარმოედგინა მეუღლის - პირველი რიგის იპოთეკარის - ინტერესები, რადგან ეს გულისხმობდა ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო პოზიციის დაცვას. ამასთან, ეს საფრთხეს უქმნიდა ყოფილი კლიენტისაგან იმავე საქმეზე ადვოკატობისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას. ასევე, რისკი ექმნებოდა ადვოკატის შესაძლებლობას, ყველა კანონიერი საშუალება გამოეყენებინა კლიენტის დასაცავად.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ აკრძალულია იმ კლიენტის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია აქვს იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა დაარღვია ეთიკური ვალდებულება, თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ყოფილ და არსებულ კლიენტებს შორის.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-13, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.[27]

საქმე №002/14, 2014 წლის 17 ივლისი[28]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა - ბანკმა.

ადვოკატი 2008-2012 წლებში ბანკში იურისტის თანამდებობაზე მუშაობდა. მას განუსაზღვრელი ვადით მიენიჭა უფლებამოსილება, წარმოედგინა ბანკი სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ და შეეძლო მხარისათვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით სარგებლობა.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/3-13; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c048023217.pdf

[28] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c55cb7510c3d.pdf/5c55cb7510c3d.pdf

ბანკის პოზიციით, ადვოკატი ბანკში მუშაობისას აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს ამხანაგობის - ბანკის მსესხებლის – წინააღმდეგ, დავალიანების დაკისრების მოთხოვნით. საქმე მორიგებით დასრულდა, 2009 წლის 31 ივლისის სასამართლოს განჩინების თანახმად. მორიგება ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფმა გაასაჩივრა. საჩივარი დაკმაყოფილდა, საქმე განახლდა და დავა გაგრძელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ადვოკატი ბანკში იურისტის პოზიციაზე აღარ მუშაობდა. ამასთან, ბანკში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, მან ამხანაგობის მშენებარე შენობაში შეიძინა ფართი, ხოლო მოგვიანებით დაინიშნა ამხანაგობის თავმჯდომარედ. საპროცესო შეზღუდვების გამო, ადვოკატი, როგორც ფართის მესაკუთრე, მიმდინარე პროცესზე არ დაუშვეს. რწმუნების წარდგენის შემდეგ კი იგი საქმეში ამხანაგობის წარმომადგენლად ჩაერთო. საქმის განხილვის დასრულებამდე ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა კრების ოქმი თავისი ამხანაგობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ. ბანკის შეფასებით, მიუხედავად ადვოკატის ფორმალური მონაწილეობისა, იგი მაინც ჩართული იყო საქმეში და მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენდა. მან სასამართლო სხდომაზე ბანკში ხელშეკრულებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული შიდა სისტემების თავისებურებათა შემცველი ინფორმაცია გაამჟღავნა, რაც შესაძლოა, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს ბანკის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა. ბანკის შეფასებით, ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარედ ჩაერთო საქმეში, რომელშიც ადრე ბანკის ინტერესებს წარმოადგენდა და ეს საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ ადვოკატის ქმედება ეთიკის კოდექსის დარღვევად ჩათვლილიყო.

ადვოკატის განმარტებით, მისი მუშაობა ბანკის იურისტის თანამდებობაზე საადვოკატო მომსახურების გაწევას არ ითვალისწინებდა. შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას იგი ადვოკატი არ ყოფილა და ამ სტატუსის ფლობა მისი სამუშაოს შესრულების წინაპირობა არ გამხდარა. ბანკის წარმომადგენლობის უფლებამოსილება ჰქონდა ნებისმიერ თანამშრომელს, მიუხედავად მისი პროფესიისა.

ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ ამხანაგობის საქმე მის წარმოებაში არ ყოფილა. ამ საქმეს ბანკის სხვა იურისტი აწარმოებდა, ხოლო იგი, ბანკის ინტერესების გათვალისწინებით, მხოლოდ ერთხელ ჩაერთო საქმეში და იშუამდგომლა სხდომის გადადებისთვის, ასევე ერთხელ სასამართლოში ყოფნისას ჩაიბარა განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეში მის სახელზე გაცემულ მინდობილობას, ადვოკატის განმარტებით, ბანკი ყველა იურისტზე გასცემდა მინდობილობას, გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამორიცხვის მიზნით.

ადვოკატის განცხადებით, სააპელაციო ინსტანციაში დავისას იგი აღარ მუშაობდა ბანკში, ამხანაგობაში უძრავ ქონებას ფლობდა და, საკუთარი ქონებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სურდა სააპელაციო სასამართლო პროცესში აპელანტად ჩართვა. ამაზე სასამართლოსგან უარი მიიღო იმ საფუძვლით, რომ ასეთ პროცესუალურ ფორმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს. შემდეგ ამხანაგობის წარმომადგენლად ჩართვის თაობაზე იშუამდგომლა. ამაზე ბანკის წარმომადგენელს საწინააღმდეგო პოზიცია არ დაუფიქსირებია და სასამართლომ მისი შუამდგომლობა დააკმაყოფილა. მოგვიანებით კი, ამხანაგობის წევრებმა ამხანაგობის თავმჯდომარედ აირჩიეს და შესაბამისი კრების ოქმი მან სასამართლოში წარადგინა.

ადვოკატის მტკიცებით, მას ბანკში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გაუმჟღავნებია. სააპელაციო სასამართლოში იგი მოსარჩელის მიერ პირველ ინსტანციაში დაფიქსირებულ პოზიციას დაეთანხმა. მითითებული მტკიცებულებები კი ბანკმა წარმოდგინა. მთელი პროცესის განმავლობაში დავობდნენ ამხანაგობის საბანკო ამონაწერზე, რომლის მოპოვების უფლება ამხანაგობის ნებისმიერ წევრს აქვს, მით უმეტეს, თავმჯდომარეს. შესაბამისად, ეს არ იყო ინფორმაცია, რომლის მოპოვებასაც რაიმე მანიპულაცია დასჭირდებოდა. ადვოკატის განცხადებით, ასევე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტობრივი გარემოებაც: იგი, როგორც ბანკის თანამშრომელი, მარტივად ვერ აიღებდა ამ ამონაწერს,

რადგან უნდა დაესაბუთებინა, რისთვის სჭირდებოდა ეს დოკუმენტი. ამასთან, აღნიშნული საბანკო ამონაწერი თვითონ ბანკმა დაურთო თავის სარჩელს, შესაბამისად, მისი გაცნობა აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყო. აქედან გამომდინარე, ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მას კონფიდენციალობა არ დაურღვევია, რადგან რეალურად არ ფლობდა რაიმე ისეთ ინფორმაციას, რაც შეიძლებოდა ბანკის წინააღმდეგ გამოეყენებინა სასამართლო პროცესზე.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ინტერესთა კონფლიქტზე. კერძოდ, ბანკის წინააღმდეგ მიმდინარე ამხანაგობის საქმეში ამხანაგობის წარმომადგენლად ჩართვით, ადვოკატმა რამდენად დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი და კონფიდენციალობის ვალდებულება, ანუ გამოიყენა თუ არა ძველი კლიენტის საადვოკატო მომსახურებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ახალი კლიენტის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში კომისიამ გადაცდომა არ დაადგინა.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს, არ დაუშვას ინტერესთა შეუთავსებლობა. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზნებისათვის, ეს დებულება ასე უნდა განიმარტოს: ადვოკატთა ასოციაციის ნებისმიერ წევრს სტატუსი ბოჭავს პროფესიული სტანდარტით, არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის, არამედ ზოგადად პროფესიის წინაშე. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ საზოგადოების მხრიდან პროფესიისადმი პატივისცემისა და სანდოობის მოპოვებას (იხ. ეთიკის კოდექსის პრეამბულა). ადვოკატის სტატუსის მქონე პირის მიმართ საზოგადოების მოლოდინი და პროფესიისადმი სანდოობა გულისხმობს ეთიკურ ვალდებულებათა გააზრებას და კარგად გაცნობიერებას, რომ ადვოკატს პროფესიული პასუხისმგებლობა აქვს არა მხოლოდ მარწმუნებლის (ან ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე. აქედან გამომდინარე, კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის განმარტება, რომ ის ბანკს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა და, შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობას არ ახორციელებდა. ადვოკატის თქმით, ლიცენზია არ გამხდარა მისი დასაქმების წინაპირობა. მიუხედავად ამისა, კომისიამ ჩათვალა, რომ ის - როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრი - სასამართლო პროცესში მონაწილეობისას, შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების გარდა, იზღუდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებითაც.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეზე ვარაუდი ყოველთვის არსებობს, თუ ადვოკატის საქმიანობა ერთდროულად მის ყოფილ და არსებულ კლიენტს უკავშირდება, თუმცა, არა იმგვარად, როგორც ამას ბანკი აღნიშნავდა: „მოწინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტი საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ადვოკატის ქმედება ეთიკის კოდექსის დარღვევად ჩაითვალოს“. მოწინააღმდეგე მხარედ ჩართვის ფაქტმა შეიძლება წარმოშვას ვარაუდი ინტერესთა კონფლიქტზე, ან ამგვარის წარმოშობის საფრთხე. თუმცა, ზოგადად, ყოფილი კლიენტის (მარწმუნებლის) წინააღმდეგ საადვოკატო საქმიანობა უპირობოდ არ ნიშნავს, რომ დაირღვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის ან ასეთის საფრთხის დასადგენად მნიშვნელოვანია, რამდენად გამოიყენა ადვოკატმა ყოფილი კლიენტისგან (მარწმუნებლისაგან) მიღებული, განდობილი ან საქმისწარმოებისას ნებისმიერი სხვა წყაროთი მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ეთიკის კომისიისათვის მნიშვნელოვანია იმ ინფორმაციის შეფასება, რასაც ადვოკატი ფლობდა და რაც გამოიყენა ბანკის, როგორც ყოფილი მარწმუნებლის, წინააღმდეგ.

კომისიის განმარტებით, ადვოკატმა საკუთარი ნებით, კეთილსინდისიერად დააყენა სასამართლოს წინაშე საკითხი ინტერესთა შესაძლო კონფლიქტზე. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის

სახელზე დაწერილ განცხადებაში მან მიუთითა, რომ ბანკში მსახურობისას აღნიშნულ დავაზე არ უმუშავია, თუმცა, ერთხელ მარწმუნებლის (ბანკის) მითითებით მონაწილეობა მიიღო მასში. ამასთან, იგი საქმის არსებით განხილვაში არ ჩართულა, რადგან პროცესი, რომელშიც მონაწილეობდა, გადაიდო. აღნიშნულ საქმესთან კიდევ ის აკავშირებდა, რომ მან ჩაიბარა ერთ-ერთი განჩინება. საჩივრის ავტორიც ადასტურებს, რომ ამხანაგობის საქმეში ადვოკატი ფორმალურად იყო ჩართული და მას რეალური მონაწილეობა არ მიუღია. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე ადვოკატის ამხანაგობის წარმომადგენლად ჩართვაზე ბანკის წარმომადგენელს პროტესტი არ განუცხადებია. მოწინააღმდეგე მხარის დუმილი შესაძლებელია ჩაითვალოს თანხმობად საქმეში ადვოკატის მეორე მხარის სასარგებლოდ მონაწილეობაზე. ამდენად, არსებობს ყოფილი კლიენტის ინფორმირებული თანხმობა საქმეში ადვოკატის მეორე მხარის სასარგებლოდ ჩართვაზე, შესაბამისად, ეს შემთხვევა ვერ ჩაითვლება ინტერესთა კონფლიქტად.

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა მომჩივანის მითითება, რომ ადვოკატმა ბანკში მუშაობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენა ყოფილი მარწმუნებლის საწინააღმდეგოდ. ადვოკატის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში იგი მოსარჩელის მიერ პირველ ინსტანციაში დაფიქსირებულ პოზიციას დაეთანხმა. მითითებული მტკიცებულებები კი ბანკმა წარმოადგინა. აღნიშნული ფაქტები სასამართლო სხდომის ოქმებითაც დასტურდება. მთელი პროცესის განმავლობაში დავობდნენ ამხანაგობის საბანკო ამონაწერზე, რომლის მოპოვების უფლება ამხანაგობის ნებისმიერ წევრს აქვს, მითუმეტეს, თავმჯდომარეს. შესაბამისად, ეს არ იყო ინფორმაცია, რომლის მოპოვება ხელმისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ ბანკის თანამშრომლის - მარწმუნებლის წარმომდგენლისთვის. კომისიამ გაიზიარა ადვოკატის განმარტება, რომ ბანკის თანამშრომელი მარტივად ვერ აიღებდა ხსენებულ ამონაწერს, რადგან მას მოუწევდა დასაბუთება, თუ რისთვის სჭირდებოდა დოკუმენტი. ამასთან, ეს ამონაწერი ბანკმა დაურთო თავის სარჩელს, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარე მარტივად გაეცნობოდა მას, როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებას საქმეში. საჩივრის ავტორმა დასაბუთებულად ვერ დაადასტურა, კონკრეტულად რომელი ინფორმაცია გამოიყენა მის წინააღმდეგ ადვოკატმა და რამდენად მიიღო მან ეს ინფორმაცია ბანკისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას.

6.5 ადვოკატის მოვალეობა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დასაცავად: კლიენტის ინფორმირების მოვალეობა; წარმომადგენლობის შეწყვეტა

საქმე №015/10, 2011 წლის 20 აპრილი[29]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა სამი ბრალდებულის ინტერესებს. აქედან ერთ-ერთმა ბრალდებულმა გამოძიებას მისცა აღიარებითი ჩვენება, რომლითაც ორ დანარჩენს ბრალი დასდო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. ამ ორმა ბრალდებულმა კი პირიქით მიუთითა ჩვენებებში, თითქოს პირველმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო საქმეში. ადვოკატმა უარი თქვა ამ ორი ბრალდებულის დაცვაზე და განაგრძო პირველის დაცვა. დაცვის გარეშე დარჩენილ ორ ბრალდებულს დაენიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი.

[29] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 https://gba.ge/uploads/publications/5c4ed126de587.pdf

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატის გადაწყვეტილება, სამიდან მხოლოდ ერთი კლიენტისთვის გაეწია საადვოკატო მომსახურება მას შემდეგ, რაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვა. კომისიამ განმარტა, რომ ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის საქმიანობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს მისი პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის თუ მესამე პირის მიმართ. სისხლის სამართლის საქმეში, კლიენტების ინტერესებს შორის კონფლიქტი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი კლიენტი დაადანაშაულებს სხვა კლიენტს საქმის მსვლელობის პროცესში ან მის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სხვა კლიენტების მიერ წარმოდგენილ გარემოებებს.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტი დაიცვას იმგვარად, როგორც ამას იზამდა თვითონ საკუთარი ინტერესებისათვის, შესაბამისი ცოდნა, უნარი და დრო რომ ჰქონოდა; ხოლო თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმისწარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა.

ეთიკის კომისიამ ასევე შეაფასა, რამდენად შეძლებდა ადვოკატი ყველა კანონონიერი საშუალების გამოყენებას კლიენტის დასაცავად. რამდენიმე კლიენტის დაცვის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისას, მხოლოდ ერთი კლიენტის ინტერესების დაცვის გაგრძელება ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, ერთი მხრივ, დაიცვას ყოფილი კლიენტების მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხოლო მეორე მხრივ, დარჩენილი კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება. აღნიშნული ვალდებულებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და თავს იჩენს ერთ-ერთი ვალდებულების დარღვევის საფრთხე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს ყოფილი ან არსებული კლიენტის ინტერესებზე.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ორივე პრინციპი (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როცა რომელიმე მათგანს საფრთხე ემუქრება.

კომისიის შეფასებით, სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვა იმ დროიდან, როდესაც მისმა კლიენტებმა გამოძიებას განსხვავებული ჩვენებები მისცეს. კერძოდ, ერთ-ერთმა კლიენტმა აღიარებით ჩვენებაში დაადანაშაულა მისი ორი კლიენტი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში. მეორე მხრივ, ორი კლიენტის მიერ მიცემული ჩვენებების მიხედვით, პირველმა კლიენტმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და ისინი მოტყუებით ჩართო აღნიშნულ საქმეში. ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი, როცა კლიენტებს შორის დაპირისპირების წარმოშობის შემდეგ შეწყვიტა ორი მათგანის დაცვა და მხოლოდ ერთის დამცველად დარჩა. რამდენადაც კონფლიქტის დაწყებამდე ადვოკატი სამივე ბრალდებულს იცავდა, ის სამივესგან მიღებულ ინფორმაციას ფლობდა, კერძოდ, იცნობდა მათ პოზიციებს, არგუმენტებს თუ მტკიცებულებებს. ერთ-ერთი კლიენტის ადვოკატად დარჩენით, შეიქმნა დანარჩენი ორის მიერ მინდობილი ინფორმაციის გამჟღავნების ანუ კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე. მეორე მხრივ, სათუო გახდა დარჩენილი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა. ამდენად, ასეთ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა სამივე კლიენტის დაცვაზე უარის თქმა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა ადვოკატის არგუმენტი, რომ იგი მოქმედებდა არსებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, რაც მას აძლევდა შესაძლებლობას, გაეგრძელებინა ერთი კლიენტის დაცვა, თუ მასსა და სხვა კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტი წარმოიქმნებოდა. კომისიამ განმარტა, რომ კლიენტთან ურთიერთობისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას კი არ დაეყრდნოს რაიმე სახის პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება პროფესიულ სტანდარტებს.

საქმე №079/14, 2015 წლის 06 აგვისტო[30]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მოწინააღმდეგე მხარემ.

საჩივრის ავტორმა სარჩელი აღძრა თავისი მეუღლის წინააღმდეგ, თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნით. ამ დავაში ადვოკატი მეუღლის ინტერესებს წარმოადგენდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და საჩივრის ავტორი ცნეს მოპასუხის - მისი ცოლისა და ადვოკატის კლიენტის - საკუთრებაში აღრიცხული ქონების ½ წილის მესაკუთრედ.

ამის შემდეგ ადვოკატის კლიენტის დეიდაშვილმა ითხოვა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველ-ყოფის ღონისძიების გამოყენება, რაც 2010 წლის 11 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხის (ადვოკატის კლიენტის) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. დეიდაშვილის სარჩელი ეხებოდა მასსა და ადვოკატის კლიენტს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმებას. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმებული იყო იმავე მიწის ნაკვეთზე, რომლის ½-წილიც, სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორს მიაკუთვნეს. მოცემულ დავაში ადვოკატი წარმოადგენდა შეგებებული სარჩელით მოპასუხის ინტერესებს, შეგებებული სარჩელით მოსარჩელეები იყვნენ - კლიენტის დეიდაშვილი და ყოფილი მეუღლე.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას დადგინდა, რომ ადვოკატმა კლიენტის (მიმდინარე დავაში მოპასუხის) დეიდაშვილს (მიმდინარე დავაში მოსარჩელეს) 2010 წლის 10 აგვისტოს გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება. ხოლო 2010 წლის 09 სექტემბერს იმავე დავაში ჩაერთო მოსარჩელის მოწინააღმდეგის წარმომადგენლად, ანუ შეგებებული სარჩელით ერთ-ერთი მოპასუხის დამცველად. ადვოკატმა განმარტა, რომ კლიენტის დეიდაშვილისთვის იურიდიული მომსახურების გაწევისას იგი მოქმედებდა კლიენტის (მიმდინარე დავაში მოპასუხის) ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ინფორმირებული თანხმობით. აღნიშნულ დავაში მოსარჩელესა და მოპასუხეს საერთო სამართლებრივი ინტერესი ამოძრავებდათ - კლიენტის ყოფილ მეუღლეს საკუთრებაში ვერ დაერეგისტრირებინა სადავო მიწის ნაკვეთის ½-წილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ადვოკატს, როგორც მოპასუხის წარმომადგენელს, ჩამოართვა საქმის განხილვაში მონაწილეობის უფლება მიმდინარე დავაში ინტერესთა კონფლიქტის დადგენის საფუძველზე.

[30] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c484ee82d4cd.pdf

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევა კლიენ-ტებისათვის, რომელთაც არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ იმავე ან დაკავშირებულ დავაში. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას, თუ ისინი პროცესუალური მოწინააღმდეგეები არიან.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობად ითვლება „ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემა იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); ... მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენა.“ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი კი უთითებს: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთსა და იმავე საქმეზე...“.

კომისიის განმარტებით, ადვოკატ-კლიენტის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა გულისხმობს, რომ კლიენტს აქვს ადვოკატისაგან დამოუკიდებელი რჩევის მიღების მოლოდინი. როცა ადვოკატი პირს მომსახურებას სთავაზობს, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდანვე მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მყარდება და ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება ევალება.[31]

ადვოკატმა მოსარჩელე მხარეს საადვოკატო მომსახურება მიაწოდა. კერძოდ: 1. გაუწია სამარ-თლებრივი კონსულტაცია, 2. შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება და 3. შეიტანა განცხა-დება სასამართლოში. ამასთან, ადვოკატმა იმავე დავაში წარმოადგინა მოპასუხე მხარის ინტერესები.

ეთიკის კომისიის განმარტებით, საქართველოში მოქმედი პროფესიული ეთიკის ნორმები არ ითვა-ლისწინებს ინტერესთა კონფლიქტისას წარმომადგენლობის გაგრძელების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ინფორმირებული თანხმობა - ეს კლიენტებს საშუალებას მისცემდა, თავად შეეფასებინათ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული რისკები. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება არ არის დამოკიდებული კლიენტის ნებაზე. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა იმპე-რატიული ნორმაა და უკრძალავს ადვოკატს კლიენტის წარმომადგენლობას, თუ იგივე ან დაკავშირებულ საქმეზე მანამდე მის მოწინააღმდეგე(ებ)ს გაუწია საადვოკატო მომსახურება. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის მსჯელობა, რომ ინტერესთა კონფლიქტი გამორიცხულია, რადგან ის მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით და მის დეიდაშვილს იმავე საქმეზე მხოლოდ მისი თანხმობით გაუწია საადვოკატო მომსახურება. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ ივარაუდა, რომ სინამდვილეში მოცემულ დავაში მოსარჩელესა და მოპასუხეს საერთო სამართლებრივი ინტერესი ამოძრავებდათ - კლიენტის ყოფილ მეუღლეს საკუთრებაში ვერ დაერეგისტრირებინა სადავო მიწის ნაკვეთის ½-წილი.

მუხლი 7. კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

კოლეგიალობის პრინციპზე გადაწყვეტილებები განხილულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის თავში, ვინაიდან კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლები აწესრიგებს ადვოკატებს შორის ურთიერთობის ქცევის სტანდარტებს.

[31] ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში საქმეზე N027/11 განმარტა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან იწყება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4837a7a52f3.pdf

მუხლი 8. ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

1. ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.[32]

8.2 კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება

2. ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში.

საქმე №049/12, 2014 წლის 13 ივნისი[33]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულების ვალდებულება, საქმის მიმდინარეობაზე კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი კლიენტს, როგორც ბრალდებულს, იცავდა მის მეუღლესთან დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, გამოძიების და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. ადვოკატს კლიენტთან მისი დაკავებისა და ბრალის წაყენების შემდეგ ურთიერთობა არ ჰქონია. ადვოკატმა კლიენტის მეუღლესა და დაზარალებულს შორის ისე გააფორმა ხელშეკრულება მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომ კლიენტთან ამ ხელშეკრულების პირობები არ შეუთანხმებია. შეთანხმების თანახმად, საჩივარზე უარის თქმის სანაცვლოდ, ბრალდებულს დაზარალებულისთვის გარკვეულ ვადაში უნდა გადაეხადა თანხა. ადვოკატი კლიენტს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის შემდეგ შეხვდა. იმის გამო, რომ მათ შორის კომუნიკაცია არ ყოფილა, ამ მომენტისათვის კლიენტს ადვოკატის აცილებაზე განცხადება შესაბამის ორგანოებში უკვე გაეგზავნა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ კლიენტი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და არ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება. იგი დაინტერესებული იყო საქმის არსებითი განხილვით, რომ ადვოკატს მისი გამამართლებელი ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა, შესაბამისი შუამდგომლობები დაეყენებინა. მას არ სურდა დაზარალებულთან მოცემული შინაარსის ხელშეკრულების დადება და მსგავსი მითითება ადვოკატისთვის არ მიუცია.

---

[32] მოცემული მუხლის დარღვევაზე კომისიის განმარტება ხელმისაწვდომია 2012 წლის 25 მაისის დისციპლინური საქმის N112/11 მიმოხილვაში, დამოუკიდებლობის პრინციპის თავი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c4729396cddb.pdf

[33] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484a17effe2.pdf

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურებისას ადვოკატი ვალდებულია, შეასრულოს კლიენტის კანონშესაბამისი მითითებები და იმოქმედოს მასთან შეთანხმებით, მისი ინტერესების დასაცავად.

ეთიკის კომისიის განმარტებით, კეთილსინდისიერ საქმიანობად ვერ შეფასდება ადვოკატის მიერ დამოუკიდებლად, კლიენტთან კომუნიკაციის გარეშე, მიღებული გადაწყვეტილებები, როდესაც ასეთი შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, კომისიამ დაადგინა კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულებისა და კლიენტთან შეთანხმებულად მოქმედების ვალდებულებათა დარღვევა, როცა ადვოკატმა მასთან შეთანხმებისა და მისი მითითების გარეშე გააფორმა კლიენტის მეუღლესა და დაზარალებულს შორის ზარალის ანაზღაურების ხელშეკრულება.

კომისიის განმარტებით, ზარალის ანაზღაურების ხელშეკრულების გაფორმებისას, ადვოკატი შესაძლებელია მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ იგი ვალდებული იყო, შეხვედროდა კლიენტს ხელშეკრულების დადებამდე, დაეზუსტებინა მისი ნება და ემოქმედა მითითებების შესაბამისად. ადვოკატის არასათანადო კომუნიკაციამ კლიენტს ფაქტობრივად შეუზღუდა შესაძლებლობა, მიეღო სამართლებრივი რჩევა, განეხილა საკუთარ საქმესთან დაკავშირებული შესაძლო სამართლებრივი გზები და მისულიყო გადაწყვეტილებამდე ადვოკატის რჩევითა და დახმარებით.[34]

8.3 გარანტიის მიცემის დაუშვებლობა

3. ადვოკატს უფლება არა აქვს, კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.

საქმე №044/16, 2016 წლის 19 დეკემბერი[35]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ნდობის პრინციპი, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება, მინდობილი ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ვალდებულება, გამოუმუშავებელი საზღაურის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

---

[34] ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N026/10 განმარტა, რომ „ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. თუმცა, კვალიფიციურ და კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატოს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა, ამ დროსაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N096/11 დაადგინა: „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება, გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4838a722edb.pdf

[35] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4ab61b3a4ab.PDF

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტსა და ადვოკატს შორის წერილობით გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს იურიდიული დახმარება უნდა გაეწია დაზარალებულისთვის. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მის სასარგებლოდ მსჯავრდებულს თანხა უნდა გადაეხადა. სასამართლო წესით სამოქალაქო საქმის განხილვა დასრულებული იყო კლიენტის სასარგებლოდ და მიმდინარეობდა აღსრულების პროცესი. კლიენტმა სამოქალაქო დავაზე სხვა ადვოკატისგან მიიღო მომსახურება.

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ადვოკატმა აიღო ვალდებულება, დაეცვა კლიენტის ინტერესები (სისხლის თუ სამოქალაქო) სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სახის სადავო პროცესში, მონაწილეობა მიეღო ყველა ინსტანციის სასამართლო განხილვაში. ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატის მომსახურება განისაზღვრა შემდეგნაირად: „ადვოკატი ვალდებულია, კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს კლიენტს თანხა, რომელიც მას თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ეკუთვნის. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კლიენტის ინტერესები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიაში. ადვოკატი ვალდებულია, საქმიდან გამომდინარე ჩაატაროს „ბრიფინგები“ და შეხვედრები, რაც ტელეკომპანიებში გაშუქდება.“

ხელშეკრულებით ადვოკატის ანაზღაურება განისაზღვრა შემდეგნაირად: კლიენტი ადვოკატს თანხას სამ ეტაპად გადაუხდიდა: პირველ შენატანს კლიენტი იხდიდა ხელშეკრულების ხელმოწერისას; მეორე შენატანს - პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ხოლო ბოლო, მესამე შენატანს - მეორე შენატანიდან ერთი თვის შემდეგ, წინა ორი ეტაპის წარმატებით დამთავრებისას. საქმის წარმატებით დამთავრებისას კლიენტი ასევე ვალდებული იყო საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით ადვოკატისთვის გადაეხადა დაბრუნებული თანხის 20 (ოცი) პროცენტი. შეთანხმებული სამი გადახდა მოხდებოდა ნაღდი ანგარიშსწორებით, ნოტარიუსის დამოწმებით. გადახდების საერთო ჯამი გამოაკლდებოდა წარმატების ჰონორარის თანხას. კლიენტმა ადვოკატს თანხა ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით გადაუხადა, რაც დადასტურდა მიღება-ჩაბარების აქტებით.

ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის მიეცა ვადა: მინიმალური - 06 (ექვსი) თვე, მაქსიმალური - 09 (ცხრა) თვე. ხელშეკრულებით, ადვოკატი მთლიანად დააბრუნებდა აღებულ ჰონორარს, კლიენტის მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ ის სრულად არ მოაგვარებდა კლიენტის სამართლებრივ პრობლემას.

ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით შემდეგი იურიდიული მოქმედებები განახორციელა: განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორს; საქართველოს მთავარ პროკურორს; ქალაქ თბილისის პროკურატურას.

საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმების საგნით გათვალისწინებული შედეგი კლიენტმა ვერ მიიღო. ადვოკატმა შეწყვიტა კლიენტთან კომუნიკაცია და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნა მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაური, რისი ვალდებულებაც აიღო ხელშეკრულებით, თუ ვერ უზრუნველყოფდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა ორ გარემოებაზე: ა) კლიენტს ადვოკატმა არ განუმარტა, რა გზით დაიცავდა მის უფლებებს, არამედ დაპირდა, რომ კანონისმიერი პროცედურების გვერდის ავლით მიიღებდა შედეგს. სწორედ ამ დაპირების გამო დაიქირავა იგი კლიენტმა; ბ) ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა, განუმარტოს კლიენტს სამართალწარმოების შესახებ.

კომისიის განმარტებით, ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის კომპონენტია, თავად განსაზღვროს კლიენტის ინტერესების დაცვის გზა თუ სტრატეგია და გამოიყენოს თავისუფალი დისკრეცია. მაღალი ალბათობით, მოცემულ შემთხვევაში კლიენტი ელოდა, რომ მიიღებდა ფულად ანაზღაურებას ადვოკატის კერძო ურთიერთობების გამოყენებით, თანაც, სამართალწარმოების საჯარო უწყებებთან (პროკურატურა, საკონსტიტუციო სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია). სწორედ ეს გახდა მათი შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი.

კლიენტს ფულადი თანხების მიღება სურდა. ნიშანდობლივია, რომ ქონებრივი ზიანისა და მისი ანაზღაურების საკითხები კერძო სამართალწარმოების საგანია და არა სისხლის სამართალწარმოების. ადვოკატმა სხვა სტრატეგია აირჩია. კლიენტის დასაცავად იგი არ მიჰყვა კერძო (სამოქალაქო) სამართალწარმოებას, არამედ სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოება არჩია. კომისიის შეფასებით, ასეთი შეთანხმება და კლიენტისთვის არასწორი მოლოდინის შექმნა, ასევე მოცემულ შემთხვევაში არჩეული საქმიანობის ფორმა არყევს ადვოკატის პროფესიულ ავტორიტეტს, ქმნის არაკვალიფიციურობის განცდას და აზიანებს ნდობას ადვოკატის მიმართ.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების ხელშეკრულებით გაწერილ წესზე, კერძოდ, საზღაურის დანიშნულებაზე. მომჩივანთან შეთანხმების დადებისას ადვოკატმა განახორციელა გარკვეული იურიდიული მოქმედებები. თუმცა, გამოიკვეთა, რომ ჰონორარის გადახდა შედეგს უკავშირდებოდა და არა მის საქმიანობას: კლიენტი ელოდა, რომ დაპირებისამებრ, ადვოკატი არაოფიციალური მოქმედებებით მოახერხებდა მისთვის თანხის დაბრუნებას, რის სანაცვლოდაც ჰონორარს მიიღებდა. კომისიის განმარტებით, საადვოკატო საქმიანობაა: იურიდიული მოქმედებების განხორციელება (კლიენტისათვის რჩევის მიცემა, ასევე ნებისმიერი იურიდიული საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით და რეგულირდება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით), ასევე ყველა სახის სამართალწარმოებაში ჩართვა და კლიენტის ინტერესების წარმოდგენა. კომისიის შეფასებით, ადვოკატს კლიენტისათვის ცხადად უნდა აეხსნა, თუ რისთვის იღებდა საზღაურს და რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა მისგან, გასაგებად განემარტა ხელშეკრულების შინაარსი - იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტმა არ იცოდა სამართალი და არ ფლობდა ქართულ ენას. ამ ვითარებაში ადვოკატს ჰქონდა მომეტებული პასუხისმგებლობა, რომ არ დაერღვია საქმის შედეგზე დაპირების მიცემის დაუშვებლობის პრინციპი. ამგვარი შეთანხმებით, ადვოკატმა კლიენტს დაუტოვა პროფესიული საქმიანობის არაოფიციალურობის განცდა, შეუქმნა მოლოდინი, რომ ასე მიაღწევდა შედეგს. ამ საქციელით მან საფრთხე შეუქმნა პროფესიისადმი ნდობას. ადვოკატები მხარს უჭერენ კლიენტის ინტერესებს, ადვოკატირებენ ნებისმიერ უწყებასთან, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვეტილებათა მიღებაზე, თავად არჩევენ დაცვის გზასა და საპროცესო საშუალებებს, აქვთ შეხვედრები კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე... ნებისმიერი ასეთი მოქმედება უნდა გამომდინარეობდეს კანონიერების პრინციპიდან და შინაარსითა თუ არსით ექცეოდეს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

კომისიის მოსაზრებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები შეიცავდა გარანტიის ელემენტებს. მსგავსი შეთანხმებით ადვოკატმა დაარღვია საქმის შედეგზე დაპირების მიცემის

დაუშვებლობის პრინციპი. კერძოდ: 1. ადვოკატმა აიღო ვალდებულება, კანონით გათვალისწინებული პროცესებით დაებრუნებინა კლიენტისთვის თანხა, რომელიც მას ადვოკატთან ხელშეკრულების დადებამდე 5 წლით ადრე მიღებული გადაწყვეტილებით ეკუთვნოდა. 2. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ადვოკატმა გარკვეული ვადით შეზღუდა, კერძოდ, მინიმალური 06 (ექვსი) და მაქსიმალური 09 (ცხრა) თვით. 3. ადვოკატმა აიღო ვალდებულება, კლიენტისთვის სრულად დაებრუნებინა მის მიერ გადახდილი ჰონორარი მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ ის სრულად არ მოაგვარებდა კლიენტის სამართლებრივ პრობლემას. კომისიის შეფასებით, ადვოკატს ჰქონდა მატერიალური ინტერესი, კერძოდ, მან წინასწარ მიიღო თანხა იმისდა მიუხედავად, როგორი შედეგი დადგებოდა საქმეზე. შესაძლებელია, საქმე ისე წასულიყო, რომ ხელშეკრულების თანახმად, თანხა კლიენტისათვის დასაბრუნებელი გახდომოდა. ფაქტობრივად, ადვოკატმა აიძულა კლიენტი, მიეცა მისთვის სესხი და ვალდებულების შესრულებისთვის კონკრეტული ვადა დაუთქვა.

კომისიამ განმარტა, რომ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატს კლიენტისთვის თანხა უნდა დაებრუნებინა, რადგან ვერ შეასრულა ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული დავალება ამისთვის გამოყოფილ 9 თვეში. იმ დროიდან, როცა ადვოკატმა თანხა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაიტოვა, კომისიამ იგი მიბარებულ თანხას გაუთანაბრა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული რეგულაციები გაავრცელა. ადვოკატს ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტისათვის უნდა დაებრუნებინა მისგან მიღებული ფულადი სახსრები, თუმცა, მას უფლება ჰქონდა კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოექვითა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურების გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.[36]

8.5 კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება

5. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

8.5.1 კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის კომპონენტები

საქმე №096/14, 2015 წლის 22 ოქტომბერი[37]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულება, საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

---

[36] ერთმანეთისგან განსხვავდება დაპირება საქმის წარმატებით დასრულების შესახებ (რაც აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით) და დაპირება კვალიფიციურ წარმომადგენლობაზე. კვალიფიციური წარმომადგენლობის შესახებ დაპირება არ ნიშნავს საქმის შედეგის გარანტიის მიცემას და ასეთი დაპირება დასაშვებია. ამ საკითხზე იხილეთ ეთიკის კომისიის 16.09.2011 წლის 037/11 გადაწყვეტილება.
https://www.gba.ge/pdf/5c582a2e4a337.pdf/5c582a2e4a337.pdf

21.10.2011 წლის დისციპლინურ საქმეში 054/11 კომისიამ გარანტიის მიცემად ჩათვალა ადვოკატის შემდეგი განცხადება: „მან მკითხა, დარწმუნებული თუ ვიყავი იმაში, რომ თანხას მიიღებდა. მე ვუპასუხე, რომ 100%-ით დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ამ თანხას არც ერთი თეთრი არ დააკლდებოდა.“
https://www.gba.ge/pdf/5c4722ed9b6ef.pdf/5c4722ed9b6ef.pdf

[37] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.09.2018
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484f5ad6ba2.pdf

ადვოკატი კლიენტს წარმოადგენდა სასამართლოში დავაზე, რომელიც შეეხებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრების ოქმის ბათილად ცნობას. კერძოდ, მიმდინარე დავის ფარგლებში მას უნდა მოემზადებინა შესაგებელი, დაეწერა შეგებებული სარჩელი (დავის საგანი - მოსარჩელის მიერ უკანონოდ მიტაცებული საერთო სარგებლობის ფართების გამოთხოვა, ხელისშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება) და ყოფილიყო წარმომადგენელი ყველა ინსტანციის სასამართლოში.

ადვოკატმა მოამზადა შესაგებელი, თუმცა, არ დაურთო მტკიცებულებები და არც მოსამზადებელ სხდომაზე წარადგინა, არ გამოცხადდა სასამართლოს მთავარ სხდომაზე და არ წარადგინა მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთი, სხდომის ჩანიშვნის შესახებ არ აცნობა კლიენტს, სააპელაციო სასამართლოში არ გადაიხადა კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული სახელმწიფო ბაჟი, არ აცნობა კლიენტს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის მომენტში მინდობილობას ვადა ჰქონდა გასული და უფლებამოსილი არ იყო, საკუთარი ხელმოწერით შეეტანა სააპელაციო საჩივარი; ადვოკატი კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობაზე ინფორმაციას აწვდიდა არასრულად, ხშირ შემთხვევაში, დაგვიანებით და ზოგჯერ მცდარად. მაგალითად, აცნობა, რომ პირველი ინსტანციით საქმისწარმოებისას ელოდებოდა სხდომის ჩანიშვნას, როდესაც სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება; ასევე შეატყობინა, რომ სასამართლომ წარმოებაში მიიღო სააპელაციო საჩივარი და კლიენტი უნდა დალოდებოდა სხდომის ჩანიშვნას. ამ დროს კლიენტს ჩაბარდა სასამართლოს მიერ გაგზავნილი განჩინება ხარვეზის დადგენასთან დაკავშირებით. განჩინების თანახმად, არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, დასაზუსტებელი იყო საჩივრის მოთხოვნა, ასევე საჩივარს არ ერთვოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარს წარმომადგენელი აწერდა ხელს. ამასთან, კლიენტმა სასამართლოსგან შეიტყო, რომ ადვოკატმა სასამართლოს მიმართა განცხადებით კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ. ადვოკატს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული შეგებებული სარჩელიც არ შეუდგენია.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა მოცემულ საქმეზე ფორმალური წარმომადგენლობა გასწია. კომისიამ განმარტა: თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას. კლიენტი სწორედ იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას თავად არ აქვს სპეციალური ცოდნა და უნარები ამისათვის.[38]

---

[38] ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N035/10 განმარტა, რომ კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. ადვოკატი ვალდებულია, კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. მათ შორის, ადვოკატის ეს ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ადვოკატს ევალება „მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.02.2019
https://www.gba.ge/pdf/5c58286826332.pdf/5c58286826332.pdf

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N096/11 განმარტა, რომ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი დაცვის ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება საქმის მასალების ფორმალური გაცნობა, თუმცა, თავად გაცნობის ხარისხი არ ექვემდებარება ეთიკის კოდექსის რეგულირებას.

მოცემულ გადაწყვეტილებაში კომისიამ ასევე განმარტა, რომ კლიენტთა მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალ- ▶

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა კლიენტმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. ადვოკატს წერილობითი ხელშეკრულებითა და რწმუნებულებით ევალებოდა კლიენტის საქმის წარმოება. ადვოკატს კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით ევალება, კეთილსინიდიერად, კვალიფიციურად განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, დროულად და გასაგებ ენაზე მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ადვოკატმა იცოდა, რომ ვერ ცხადდებოდა სხდომაზე, თუმცა, ეს კლიენტს არ შეატყობინა და არც სხდომის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ამასთან განმარტა, რომ მოცემული საქმისწარმოებისას მონაწილეობდა არჩევნებში და საქმისა ან კლიენტთან კომუნიკაციისთვის მცირე დრო რჩებოდა. არჩევნებში მონაწილეობის გამო დროის სიმცირის მიუხედავად, ადვოკატმა მაინც აიღო საქმის-წარმოების ვალდებულება, თან არ გააფრთხილა კლიენტი, რომ მის საქმეს კვალიფიციურად ვერ წარმართავდა - ამგვარი ქცევა კომისიამ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დარღვევად შეაფასა.

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა კლიენტს სრულად, ამომწურავად, დროულად და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა მიაწოდოს საქმის მიმდინარეობის შესაბამისი ინფორმაცია. ამ პრინციპით მუშაობა ხელს უწყობს ადვოკატის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

ადვოკატი საქმისწარმოების სხვადასხვა ეტაპზე კლიენტს არ აწვდიდა ან არასწორად აწვდიდა ინ-ფორმაციას, რაც კომისიამ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევად შეაფასა.

საქმე №061/12, 2014 წლის 14 აპრილი[39]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება, საქმის მიმდი-ნარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

დებულება ეკისრება საზოგადოებრივ ადვოკატს. სავალდებულო დაცვისას სახეზე არ არის ადვოკატ–კლიენტის „კლასი-კური“ ურთიერთობა. საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებაც განსაკუთრებულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობა შეიძლება გაკონტროლოს თავად იურიდიული დახმარების სამსახურმა მათი კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, ასევე, ეთიკის კომისიამ პროფესიული ეთიკის საკითხების კუთხით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.09.2018
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4838a722edb.pdf

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N024/12 კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევად შეაფასა ადვოკატის ქცევა, როდესაც მან წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე ბრალდების მხარეს და სასამართლოს არ გადასცა ინფორმაცია, რომ მას წარდგენილი ჰქონდა ექსპერტიზის ბიუროში მოთხოვნა ექსპერტიზის ჩატარებაზე. ამ პრო-ცესუალური შეცდომის გამო, დაცვის მხარეს წაერთვა სასამართლო პროცესზე ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად გა-მოყენების შესაძლებლობა. კომისიამ აღნიშნა: „ადვოკატმა უნდა განახორციელოს საპროცესო კანონმდებლობით განსა-ზღვრული ქმედებები, რათა ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების სახით წარადგინოს სასამართლოში და დაურთოს საქმეს“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.09.2018
http://www.gba.ge/uploads/publications/5c471ca263011.pdf

[39] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.09.2018
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484a3fa4a48.pdf

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა სამემკვიდრეო დავაში. ადვოკატი არ მოემზადა სასამართლო სხდომებზე კლიენტის წარმოსადგენად, რაც გამოიხატა მასთან პოზიციათა შეუთანხმებლობაში. ასევე მან წინასწარ არ შეაფასა, რამდენად ფლობდნენ კლიენტის ინტერესისათვის სასარგებლო ინფორმაციას მოწმეების სახით წარდგენილი პირები.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის განმარტებით, ადვოკატმა კლიენტთან უნდა შეათანხმოს მოქმედებები ამ უკანასკნელის საქმეზე. ეს გულისხმობს კლიენტისგან ინფორმაციის მიღებას, მისი პოზიციის, მოთხოვნის გაგებას და შემდეგ პროფესიული რჩევის მიცემას, მომავალში განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე; ადვოკატი და კლიენტი ერთდროულად შეიმუშავებენ საადვოკატო მომსახურების ტაქტიკას, ან ადვოკატი დამოუკიდებლად ადგენს საქმეზე წარმომადგენლობის სტრატეგიას, თან რეგულარულად აწვდის ინფორმაციას კლიენტს და მისგან იღებს უფლებამოსილებას საპროცესო მოქმედებათა განსახორციელებლად.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმებისას კომისია სამართლებრივად ვერ შეაფასებს მის საპროცესო ქმედებებსა და ტაქტიკას, რაც საადვოკატო საქმიანობის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპის მაღალი სტანდარტით განხორციელების საწინდარია. ეთიკის კომისიის კომპეტენციას სცდება იმის შეფასება, თუ რამდენად დასაბუთებული იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა, მის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები, შუამდგომლობები ან კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით დამატებით რისი გაკეთება შეეძლო ადვოკატს. მაგრამ კომისიას შეუძლია განაცხადოს, რომ წარმომადგენლობა ვერ იქნება კვალიფიციური, თუ ადვოკატი არ შეაფასებს მოწმეების ხელთ არსებული ინფორმაციის მნიშვნელობას კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რაც საბოლოოდ სასამართლომ უნდა განსაჯოს სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ...ადვოკატი იურიდიული მომსახურების გაწევისას დაწვრილებით უნდა ეცნობოდეს საქმის თითოეულ გარემოებას და აფასებდეს სავარაუდო საფრთხეებს, ვინაიდან შესაძლებელია, აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს კლიენტის ინტერესებისა და სასამართლო საქმის შედეგისათვის. საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატი ვალდებულია, დაცვის პოზიცია და წარმომადგენლობის ტაქტიკა შეათანხმოს კლიენტთან. ამასთან, სამართლებრივად შეაფასოს და კლიენტთან ერთად გადაწყვიტოს სხდომაზე წარსადგენ მოწმეთა განმარტებების მნიშვნელობა კლიენტის საუკეთესო ინტერესებისათვის, კანონით მინიჭებული შესაძლებლობის ფარგლებში. კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამემკვიდრეო ქონების ფაქტობრივი ფლობის დასადგენად, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, მნიშვნელოვანია მოწმეთა ახსნა-განმარტებები. შესაბამისად, ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტთან შეთანხმებით, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, შეაფასოს მოწმის ხელთ არსებული ინფორმაცია და ამის მიხედვით ურჩიოს კლიენტს, მისი სადავო საკითხისათვის სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანი იქნება კონკრეტული მოწმის წარდგენა სასამართლო სხდომაზე, გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებათა დასადასტურებლად. მხოლოდ ამგვარი შეფასების საფუძველზე უნდა გადაწყდეს, წარადგინოს თუ არა შუამდგომლობა კონკრეტული მოწმის მოწვევაზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ადვოკატმა წინასწარ არ მიაწოდა იურიდიული რჩევა კლიენტს, თუ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად რომელი მოწმის განმარტებას ექნებოდა მნიშვნელობა მისი ინტერესების საუკეთესოდ წარმოსაჩენად, მან დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება. ეს ვალდებულება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოიცავს იმ სამართლებრივი რისკების შეფასებას, რაც კონკრეტულ მტკიცებულებათა გამოკვლევას და კლიენტის კანონიერ ინტერესებთან მათ შემხებლობას უკავშირდება.

საქმე №080/13, 2014 წლის 25 აპრილი[40]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, საქმის მიმდინარეობაზე კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ან ერთ–ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლამდე. ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში და ნებისმიერ მესამე პირთან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებთან. სარჩელი შეეხებოდა ზიანის ანაზღაურებას, რომელიც კლიენტს ერთ-ერთმა შპს-მ მიაყენა სამთო სამუშაოების შედეგად. ადვოკატმა კლიენტს გაუწია საადვოკატო მომსახურება როგორც რაიონულ, ასევე სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაიბარა კლიენტმა და იმავე დღეს გადასცა ადვოკატს შემდგომი რეაგირებისათვის. ადვოკატმა საკასაციო საჩივარი თავად შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თუმცა სასამართლომ იგი განუხილველად დატოვა, საჩივრის შეტანისთვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო.

ადვოკატმა კლიენტს მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა. კერძოდ, მან თქვა, რომ გაეცნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების ელექტრონულ ვერსიას, რომლის მიხედვითაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი განაპირობა იმან, რომ „საქმე არ იყო საინტერესო უზენაესი სასამართლოსთვის.“ თუმცა, განუმარტა, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან გასაჩივრების ეს ეტაპი გავლილად ითვლებოდა და შეეძლოთ საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მოემზადებინათ, რადგან ის ძალიან საინტერესო იქნებოდა სტრასბურგის სასამართლოსთვის. კლიენტმა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ადვოკატისაგან ვერ მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, რათა დაებრუნებინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და თავად მიმართა სასამართლოს. საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების რეალური საფუძველი კლიენტმა სასამართლოს განჩინების პირადად ჩაბარების შემდეგ გაიგო.

ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკასაციო საჩივარი ადვოკატმა მოამზადა და წარადგინა სასამართლოში, თუმცა, როცა „საადვოკატო ბიუროში კლიენტმა ადვოკატთან მიიტანა გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება, გასაჩივრების ვადა ერთად გამოითვალეს და ამ დროს დაუშვეს შეცდომა,“ რაც საჩივრის განუხილველად დატოვების მიზეზი გახდა. ადვოკატის განცხადებით, საკასაციო საჩივრის დაგვიანებით შეტანით არ შელახულა კლიენტის კანონით გათვალისწინებული უფლებები, ვინაიდან, დიდი ალბათობით, საკასაციო საჩივარს სასამართლო დაუშვებლად ცნობდა. ამასთან, მხარეთა ზეპირი შეთანხმებით, მას მხოლოდ საჩივრის დაწერა ევალებოდა და არა გაგზავნა. ამიტომ საჩივრის ვადის დარღვევით წარდგენის გამო მას არ უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა; არ უთხრა კლიენტს სიმართლე და არ აცნობა საკასაციო საჩივრის მიღებაზე უარის თქმის სწორი საფუძველი, ასევე არ განუმარტა, რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა საკასაციო საჩივრის საპროცესო ვადებში წარუდგენლობას.

[40] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.09.2018
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484a9f4631c.pdf

სამართლებრივი შეფასება

კომისიის თქმით, ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს საჩივრის ავტორს ყველა ინფორმაცია, განუმარტოს მისთვის მინდობილი საქმის მსვლელობა და დამდგარი შედეგები. თუ ადვოკატი დროულად არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს მისთვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა.

კომისიის განმარტებით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის გამოთვლა, საკასაციო საჩივრის მომზადება და დადგენილი წესით სასამართლოში შეტანა იურიდიული მომსახურების ის ელემენტებია, რომლებსაც მხარეთა შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება მოიცავდა. ადვოკატმა იცოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამასთან, კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ეკისრა ვალდებულება, წარმოედგინა კლიენტი საქართველოს საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში. ამდენად, მას თავად უნდა ეზრუნა გადაწყვეტილების ჩაბარებასა და კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრებაზე, ან/და სწორად გამოეთვალა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და საკასაციო საჩივარიც დადგენილი წესით შეეტანა. საჩივრის დაგვიანებით წარდგენა და ვადის დაუცველობა ვერ ჩაითვლება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობად. ადვოკატმა იცოდა, როდის ჩაბარდა კლიენტს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაიწყო საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის ათვლა. მისი უყურადღებობით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ადვოკატი ფაქტობრივად მხოლოდ ფორმალურადღა იყო კლიენტის წარმომადგენელი.

კომისიის შეფასებით, ადვოკატის ვარაუდი, რომ საჩივრის დადგენილ ვადაში შეტანით იგივე შედეგი დადგებოდა, ვერ ცვლის მის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას, რასაც აღნიშნული შედეგი მოჰყვა. კომისიამ განმარტა, რომ ქმედების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციისას არსებითი არ არის, მიადგა თუ არა ზიანი კლიენტს ადვოკატის ქმედებით. თუმცა, პასუხისმგებლობის დაკისრებისას კომისია ითვალისწინებს იმ ზიანს, რაც კლიენტს ადვოკატის ქცევამ მიაყენა. ამ შემთხვევაში საჩივრის ავტორს მიადგა ზიანი, რადგან რადგან მისი საქმე ადვოკატის ბრალეული ქმედების გამო ვერ განიხილა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.[41]

საქმე №007/16, 2016 წლის 25 ოქტომბერი[42]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესისა და კლიენტისთვის განაკვეთის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის მიერ გადახდილი საქმისწარმოების ხარჯების სრული და ზუსტი ჩანაწერის წარმოების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

---

[41] ეთიკის კომისიამ 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N090/13 ადვოკატის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქცევად ჩათვალა მოქმედება, როდესაც ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ, როდესაც კლიენტი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და ეს ადვოკატმა იცოდა. ადვოკატმა სარჩელში სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების საფუძვლად ფორმალურად მიუთითა სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.02.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484abdbcdb9.pdf

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე 047/11 დაადგინა, რომ: „ზედმეტია კვალიფიციურობაზე ლაპარაკი, როცა ადვოკატი ვერ გაწევს სათანადო წარმომადგენლობას, რაც შეესაბამება ადვოკატის მიერ თუნდაც საშუალო კომპეტენციით გაწეულ მომსახურებას. ამ დროს ადვოკატს მოეთხოვება დააკმაყოფილოს კონკრეტული სპეციალიზაციის ან დამატებითი ცოდნის საშუალო სტანდარტები. კვალიფიციურად მიიჩნევა ადვოკატი, რომელმაც სამართლის ცოდნასთან ერთად იცის, თუ როგორ იპოვოს პასუხები სამართალთან დაკავშირებულ კითხვებზე, შეუძლია სათანადო ხარისხით დაასრულოს კლიენტის საქმე და ვისთვისაც დამახასიათებელია კეთილსინდისიერება კლიენტის სამუშაოს შესრულებისას.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c54547df21.pdf

[42] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.02.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4ab641e8fd7.PDF

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატმა სამოქალაქო სარჩელში კლიენტთან შეთანხმებით დააყენა შუამდგომლობა, რომ მისი მომსახურების ხარჯი დაკისრებოდა მეორე მხარეს, თუმცა სარჩელს მტკიცებულების სახით არ დაურთო ხელშეკრულება და საადვოკატო მომსახურებაში გადახდილი თანხის ქვითარი. სარჩელი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, თუმცა, შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

ადვოკატი არ აღრიცხავდა კლიენტის მიერ გადახდილი საქმისწარმოების თანხებს. კლიენტმა არ იცოდა მის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხის მიზნობრიობა. თანაც, წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ ადვოკატმა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებიდან და თანხის მიღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სამოქალაქო სარჩელის შეტანის წინ გააფორმა. მათ შორის შეიქნა დავა ადვოკატის მიერ მიღებული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით. კლიენტი განმარტავდა, რომ გადაცემული თანხიდან ნაწილი მომსახურების საზღაურს შეადგენდა, ხოლო ნაწილი - სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად იყო გამიზნული. მოგვიანებით კი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გაიგო, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ ერგებოდა და ადვოკატს ამისთვის თანხა არ უნდა აეღო. ადვოკატის თქმით კი, მან თანხა მიიღო ჰონორარის სახით და ხარჯებისთვის, ხოლო სახელმწიფო ბაჟისთვის არ აუღია, რადგან კლიენტი მისი გადახდისგან გათავისუფლებული იყო და ეს მან თავიდანვე განუმარტა კლიენტს.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის განმარტებით, კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და გაუწიოს წარმომადგენლობა კანონმდებლობის შესაბამისად.

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევა არაკვალიფიციურ მომსახურებად შეაფასა. კერძოდ ის, რომ მან სარჩელში დაყენებულ შუამდგომლობას - სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურების ანაზღაურება დაკისრებოდა მოპასუხეს - არ დაურთო შესაბამისი მტკიცებულებები (საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და კლიენტის მიერ საზღაურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი). კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს ევალებოდა სარჩელისათვის მტკიცებულების დართვა.

კომისიის განმარტებით, კლიენტმა წინასწარ უნდა იცოდეს იმ თანხის მიზნობრიობა, რასაც ადვოკატს გადასცემს. ადვოკატმა სრულად და ზუსტად უნდა აღრიცხოს კლიენტის გადაცემული ყველა თანხა. საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ფინანსურ საკითხებზე. „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს ფინანსური ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და ა.შ.) სკრუპულოზურ წარმოებას (მაგ. საგადასახადო დავალებაში გადამხდელის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებას, გადახდის დანიშნულების მკაფიოდ აღნიშვნას: სახელმწიფო ბაჟი კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის სარჩელისათვის, და სხვა); აგრეთვე, მოთხოვნისთანავე კლიენტისთვის ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდებას.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით, დს-შ/1-17 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.[43]

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/1-17; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c0f4db075e.pdf

8.5.2 რწმუნებულების მიუხედავად კლიენტის ინფორმირებული თანხმობის ვალდებულება

საქმე №054/11, 2011 წლის 21 ოქტომბერი[44]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინდობილი ფულადი სახსრების ადვოკატის პირადი ფულადი სახსრებისგან დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - საქმიანობის უფლების 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევა

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი იცავდა კლიენტის ინტერესებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ასევე სააღსრულებო წარმოებისას. შეთანხმების თანახმად, კლიენტის მიერ თანხის მიღების შემთხვევაში ადვოკატს წარმატების ჰონორარის სახით ჰონორარის სახით დამატებით უნდა მიეღო თანხა. სამოქალაქო წესით განსახილველ დავაში ადვოკატმა კლიენტი დაარწმუნა, რომ მორიგება 100 %-ით შესრულდებოდა. ადვოკატმა განმარტა: „მან მკითხა, დარწმუნებული თუ ვიყავი იმაში, რომ თანხას მიიღებდა. მე ვუპასუხე, რომ 100%-ით ვიყავი დარწმუნებული, ამ თანხას ისე მივიღებდით, თეთრი არ დააკლდებოდა. დარწმუნებული ვარ-მეთქი ვუთხარი არა იმიტომ, რომ სხვა გარიგებებიც მქონდა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებით ორი უძრავი ქონება იყო ამ პიროვნებაზე აღსარიცხი.“ მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატმა ისე გააფორმა მორიგების აქტი, რომ პირობები ხელმოწერამდე არ გააცნო კლიენტს. ასევე კლიენტს წინასწარ არ წაკითხა ხელმოწერილი ტექსტი და მისი მხრიდან პირობების მოწონების გარეშე შეუდგა მორიგების აქტის შესრულებას. მორიგების პირობების თანახმად, ადვოკატმა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისგან შეთანხმებული თანხიდან ხელზე მიიღო თანხის ნაწილი კლიენტისთვის გადასაცემად და სანაცვლოდ სააღსრულებო ბიუროდან გამოიხმო სააღსრულებო ფურცელი. მოწინააღმდეგე მხარემ მორიგების პირობების თანახმად ნაკისრი ვალდებულება - თანხის მეორე ნაწილის გადახდა - არ შეასრულა, სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვის შემდეგ საკუთრების უფლება დაირეგისტრირა უძრავი ქონების ½ წილზე და იმავე დღეს აღნიშნული უძრავი ქონება დატვირთა იპოთეკით. კლიენტმა, გაიგო რა, რომ ადვოკატმა მორიგების აქტი მასთან შეთანხმების გარეშე დადო და აღსრულებაც დაიწყო, შეექმნა კონფლიქტი, შეწყვიტა ადვოკატთან ურთიერთობა და გაუუქმა მინდობილობა. საპასუხოდ, ადვოკატმა პროცესუალური მოწინააღმდეგისგან მიღებული თანხა, რომელიც რამდენიმე დღე მასთან ინახებოდა, არ ჩარიცხა კლიენტის საბანკო ანგარიშზე და მოგვიანებით, კლიენტთან შეთანხმების გარეშე, დაუბრუნა მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის პოზიციით, თანხა კლიენტს კი ეკუთვნოდა, მაგრამ მან თანხის მიღებაზე უარი თქვა და ადვოკატს რწმუნებულება გაუუქმა. შედეგად, მას აღარ ეკისრებოდა თანხის კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება და მართლზომიერი იყო თანხის პროცესუალური მოწინააღმდეგისთვის დაბრუნება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია, კლიენტთან შეათანხმოს მისი მოქმედებები საქმისწარმოებისას.

ადვოკატმა ისე დადო მორიგების აქტი მოწინააღმდეგე მხარესთან, რომ მორიგების ხელმოწერამდე

[44] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.09.2018 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4722ed9b6ef.pdf

კონკრეტული პირობები არ გააცნო თავის კლიენტს. მორიგება კი ისე აღასრულა, რომ ხელმოწერილი ტექსტი წინასწარ არ წააკითხა და კლიენტს მისი პირობები არ მოუწონებია. ეთიკის კომისიამ მორიგების აღსრულება, კერძოდ, თბილისის სააღსრულებო ბიუროდან სააღსრულებო ფურცლის გამოტანა, შეაფასა, როგორც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედება, რადგან აღნიშნული არ იყო კლიენტთან შეთანხმებული და მის მიერ მოწონებული. ადვოკატი კლიენტის მიერ მინიჭებული რწმუნებულების საფუძველზე უფლებამოსილი იყო, მორიგება გაეფორმებინა მეორე მხარესთან, მაგრამ ეს არ გულისხმობდა აქტის დადებას კლიენტთან პირობების დეტალურად შეთანხმების გარეშე და შემდეგ აღსრულების დაწყებას მისი თანხმობის გარეშე.

ეთიკის კომისიის მსჯელობით, ადვოკატისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო რისკი, რომ სააღსრულებლო ფურცლის გამოტანის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს შეეძლო მოეთხოვა ქონებაზე საკუთრების უფლების დაჩქარებული რეგისტრაცია, შემდეგ კი გაესხვისებინა ან დაეტვირთა მისთვის მიკუთვნებული ქონება და არ გადაეხადა მორიგების აქტით განსაზღვრული თანხა, მიუხედავად ამისა, ის შეთანხმების გარეშე შეუდგა მორიგების აღსრულებას, რითაც დაარღვია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი. კომისიის შეფასებით, რისკების თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა და სანაცვლოდ კლიენტის დარწმუნება, რომ მორიგება 100%-ით შესრულდებოდა, განაპირობა დავის დასრულებისა და კლიენტის მიერ მორიგებით მისაღები თანხიდან წარმატების ჰონორარის მიღების სურვილმა. სააღსრულებო ფურცლის გამოტანით, მოწინააღმდეგე მხარის მიმართ მორიგება სრულად, ხოლო კლიენტის მიმართ მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კლიენტის ინტერესებს. ნაწილობრივი შესრულების შედეგიც - მოწინააღმდეგე მხარისგან მისაღები თანხიდან მიღებული ნაწილი ადვოკატმა კლიენტთან კონფლიქტის შემდეგ კვლავ მოწინააღმდეგე მხარეს დაუბრუნა.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის ქცევა ეწინააღმდეგებოდა კლიენტისათვის გარანტიის მიცემის აკრძალვის პრინციპს. ადვოკატი კლიენტს საქმის 100%–იანი წარმატებით დასრულებას დაპირდა, რაც განსხვავდება აღნიშნული შედეგის მისაღწევად კვალიფიციური სამართლებრივი მომსახურების გაწევის დაპირებისგან. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის სიტყვები, რომ ის დარწმუნებული იყო მოწინააღმდეგე მხარისგან თანხას მიიღებდა და მისაღებ თანხას თეთრიც არ დააკლდებოდა, შეფასდა კლიენტისათვის გარანტიის მიცემად და არა საადვოკატო მომსახურების კვალიფიციურად წარმართვის დაპირებად. კომისიის განმარტებით, საქმეზე გარანტიის მიცემა კლიენტისთვის, იქნება ეს სასამართლო პროცესი თუ ადმინისტრაციული საქმისწარმოება, მაშინ, როდესაც ადვოკატის პირობები არ სრულდება, იწვევს ნდობის დაკარგვას პროფესიისადმი და, დამატებით, მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციას. ამიტომ ეს აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით. ადვოკატებმა მკაცრად უნდა დაიცვან ეს აკრძალვა, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატებმა არ გაუზიარონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული ესა თუ ის რისკი ან მათი ხედვა პროცესის სავარაუდო დასრულებასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისიამ ფართოდ განმარტა კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება. ამ განმარტებით, იგი მოიცავს ვალდებულებასაც, რომ მესამე პირის მიერ კლიენტისათვის გადასაცემი თანხა ადვოკატმა საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შეინახოს, კეთილსინდისიერად მართოს და კლიენტს დაუბრუნოს.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატისათვის რწმუნებულების გაუქმება არ გულისხმობდა თანხის მესაკუთრის შეცვლას. ადვოკატმა თანხა მოწინააღმდეგე მხარისგან მიიღო მორიგების აქტით განსაზღვრული ერთ–ერთი ვალდებულების შესრულების მიზნით და იგი ეკუთვნოდა მის კლიენტს, როგორც მორიგების აქტის მხარეს და ამ ვალდებულების შესრულების ბენეფიციარს. კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტა ადვოკატს არ ათავისუფლებდა იმ ვალდებულებისაგან, რომელიც წარმო-

ეშვა რწმუნებულების გაუქმებამდე - მორიგების აქტის პირობების თანახმად მიღებული თანხის კეთილსინდისიერად შენახვა და მისი კლიენტისათვის გადაცემა. ადვოკატმა მეორე მხარის მიმართ მორიგება შეასრულა, თუმცა, არასწორად მოიქცა კლიენტის მიმართ: თანხის პირველი ნაწილის მიღებისას ადვოკატს ევალებოდა, შეეთანხმებინა კლიენტთან თანხის ხელზე მიღების გარემოება, ასევე დაეზუსტებინა, იღებდა თუ არა თანხას; უარის შემთხვევაში კი მიემართა სსკ–ს 434–ე მუხლით გათვალისწინებული დეპონირებით ვალდებულების შეწყვეტისათვის. კომისიის შეფასებით, ადვოკატს კლიენტის მისთვის ცნობილ ანგარიშზე უნდა გადაერიცხა კუთვნილი თანხა, ან შეეტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც გაათავისუფლებდა მის მიმართ არსებული ვალდებულებისაგან. ადვოკატს არცერთ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლებამოსილება, მოწინააღმდეგე მხარისათვის დაებრუნებინა კლიენტის კუთვნილი თანხა მისი თანხმობის გარეშე, მით უმეტეს, რომ ადვოკატს მორიგების აქტი მისი კლიენტის ვალდებულებების ნაწილში სრულად შეესრულებინა. ამ მოქმედებით, ადვოკატმა, გარდა იმისა, რომ დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსი, კლიენტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალიც მიაყენა.[45]

8.5.3 ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევა იმ სფეროში, რომელშიც სპეციალიზაცია არ აქვს

საქმე №055/12, 2013 წლის 20 თებერვალი[46]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - საქმიანობის უფლების შეწყვეტა.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა აიღო ვალდებულება, წარმოედგინა კლიენტის, როგორც მოპასუხე მხარის, ინტერესები სამოქალაქო საქმეზე სასამართლოში, ადვოკატის სტატუსით. მომსახურების დაწყებამდე მან არ განუმარტა კლიენტს, რომ სპეციალიზაცია სისხლის სამართალში ჰქონდა. მიმდინარე სამოქალაქო დავის ფარგლებში, ადვოკატმა შესაგებელში ჩაწერა შეგებებული სარჩელით დასაყენებელი მოთხოვნები. სასამართლომ ვერ იმსჯელა სადავო სამართლებრივ საკითხზე, რადგან ადვოკატს არ წარუდგენია შეგებებული სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. არადა, კლიენტს სწორედ ამ საკითხის მიმართ ჰქონდა იურიდიული ინტერესი და ამ მიზეზით მიმართა მას საადვოკატო მომსახურებისთვის. ადვოკატმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი და კლიენტს კვლავ შეუქმნა მოლოდინი, რომ სააპელაციო სასამართლო განიხილავდა მის მოთხოვნებს. ადვოკატმა არც ამჯერად განუმარტა კლიენტს, რომ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ქონის გამო ვერ შეძლებდა მისი ინტერესების წარმოდგენას სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი წარმოებაში

---

[45] ეთიკის კომისიამ 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე 092/11 უფრო კონკრეტული დამატებითი განმარტება გააკეთა, რწმუნებულებაში მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, ინფორმირებული თანხმობის ვალდებულებაზე. ადვოკატმა მიმართა სასამართლოს სარჩელის გამოხმობის შუამდგომლობით მაშინ, როდესაც ამაზე თანხმობა კლიენტს არ განუცხადებია. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, ადვოკატი ვალდებულია წინასწარ მიიღოს ნებართვა კლიენტისგან, „თუნდაც რწმუნებულებით კლიენტს თავის დროზე გაცემული ჰქონდეს თანხმობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე, სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის/შემცირების და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98–ე მუხლით დადგენილი რწმუნებულისთვის გადაცემული სხვა უფლებამოსილების თაობაზე.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c47281d2769c.pdf

[46] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4729d428e1f.pdf

მიიღო, თუმცა, ადვოკატი სხდომაზე არ დაუშვა მხარის წარმომადგენლის სტატუსით, რადგან იგი არ გახლდათ სპეციალიზებული სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. ამდენად, კლიენტი სასამართლო სხდომაზე საადვოკატო მომსახურების გარეშე დარჩა. ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია და არწმუნებდა, გაეგრძელებინათ დავა და ის ახალი ხელშეკრულების საფუძველზე მოუმზადებდა საკასაციო საჩივარს. კლიენტმა ადვოკატთან ურთიერთობა შეწყვიტა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევა იმ მიმართულებით, რომლითაც არ ყოფილა სპეციალიზებული, არღვევს კლიენტის კვალიფიციურად წარმომადგენლობის ვალდებულებას, ვინაიდან ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა, აქვს შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.“ მოთხოვნებს ადვოკატისთვის ადგენს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით სავალდებულოა კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე ადვოკატს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, რასაც აღრიცხავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. ადვოკატთა შესახებ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების იმპერატიული მოთხოვნები მიზნად ისახავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა გაწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება. აღნიშნული დებულებები ერთ-ერთი მაკონტროლებელი ინსტრუმენტია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, რათა უზრუნველყოს მისი წევრების მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების კვალიფიკაციის სტანდარტთან შესაბამისობა, რაც იქნება პოტენციურ კლიენტთა ინტერესების კვალიფიციურად დაცვის გარანტი სამივე ინსტანციის სასამართლოში.

ადვოკატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტებით დადგინდა, რომ ადვოკატი საქმეს აწარმოებდა არა როგორც წარმომადგენელი, არამედ როგორც ადვოკატი. შესაგებელში შევსებული იყო ადვოკატისათვის დათმობილი ველი, კერძოდ, აღინიშნებოდა ადვოკატის სიითი ნომერი, ხოლო სააპელაციო საჩივარში სიითი ნომრის ნაცვლად - კავშირის დასახელება, რომელიც მის მიერ იყო დაფუძნებული. ორივე საპროცესო დოკუმენტს ხელს მხოლოდ ადვოკატი აწერდა.

ორი წლის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო წარმოების ფარგლებში კლიენტი მოელოდა, რომ მისი მოთხოვნები იხილებოდა. ამ დროს მისი მოთხოვნები საპროცესო კანონდებლობით დადგენილი წესით დაყენებული არ ყოფილა. კლიენტს მიადგა მატერიალური ზიანი, ვინაიდან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ასევე ადვოკატს გადასცა გარკვეული თანხა სასამართლო ხარჯებისათვის, ხოლო გაწეულ მატერიალურ ხარჯს დაემატა ახალი ადვოკატისა და საქმის თავიდან წარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯები. კომისიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის არაკეთილსინდისიერი პროფესიული ქცევით კლიენტისა და თავად პროფესიისთვის მიყენებულ ზიანზე, რადგან კომისიის განმარტებით, ეთიკურ ვალდებულებათა დაცვა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის ინტერესებს ემსახურება, არამედ საადვოკატო საქმიანობისა და, ზოგადად, ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობითა და პატივისცემით განმსჭვალავს საზოგადოებას.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დს-შ/15-13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.[47]

8.5.4 კლიენტის სახელისა და გვარის მითითებით ადვოკატის მიერ ხელმოწერის შესრულების დაუშვებლობა

საქმე №157/13, 2013 წლის 20 თებერვალი[48]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ.

ადვოკატმა მოსამზადებელ სხდომაზე შეადგინა განცხადება სარჩელის გამოხმობის შესახებ, განმცხადებლად აღნიშნა კლიენტი, მიუთითა მისი სახელი და გვარი და კლიენტის სახელით ხელიც თვითონ მოაწერა. მოწინააღმდეგე მხარემ, რომელმაც ნახა, რომ სხდომას კლიენტი არ ესწრებოდა, სადავო გახადა ადვოკატის ქცევა.

სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადებაზე კლიენტის ნაცვლად ხელმოწერასთან დაკავშირებით ადვოკატმა აღნიშნა, რომ ხელმოწერის ნამდვილობა მხოლოდ კლიენტს შეეძლო გაეხადა სადავოდ. ის კი არათუ სადავოს ხდიდა ამ ფაქტს, არამედ იწონებდა კიდეც და პრეტენზიას არ აცხადებდა. ადვოკატს ჰქონდა მინდობილობა საქმის წარმოებაზე, ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას კლიენტთან წინასწარი შეთანხმებით და მისი ნებართვით ახორციელებდა, მათ შორის, სარჩელი გამოიხმო მისი თანხმობით და კანონის სრული დაცვით. მოწინააღმდეგე მხარე არ იყო უფლებამოსილი, ედავა, რომ ადვოკატმა განცხადებას სხვის ნაცვლად მოაწერა ხელი.

სამართლებრივი შეფასება:
ეთიკის კომისიამ სამართლებრივ დოკუმენტებზე კლიენტის სახელისა და გვარის მითითება და მის ნაცვლად ხელმოწერა კლიენტის დასაცავად კანონით აკრძალული საშუალებების გამოყენებად შეაფასა.

კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტაცია, რომ პროცესუალური მოწინააღმდეგე არ იყო უფლებამოსილი, ედავა ადვოკატის მიერ კლიენტის დასაცავად უკანონო საშუალების გამოყენებაზე, ვინაიდან მისი კლიენტი იწონებდა ადვოკატის მსგავს ქცევას და აღნიშნა, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება, იმოქმედოს ეთიკური ვალდებულების საწინააღმდეგოდ, კონკრეტული შედეგის

[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/15-13; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c05bfcbd2f.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „ადვოკატს გააჩნდა თმენის ვალდებულება და იგი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), დაიცვას და პატივი სცეს მოქმედ ქცევის წესებს, ამასთანავე, ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟსა და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულების ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი).“

[48] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c471f6612b5a.pdf

მიღწევისათვის გამოიჩინოს დაუდევრობა, რაც ხელყოფს კანონიერების პრინციპსა და ადვოკატთა კორპუსისადმი ნდობას. კომისიის შეფასებით, კლიენტის ინტერესების დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტმა შესაძლოა მოიწონოს ადვოკატის ქცევა, ადვოკატს აღნიშნული არ აძლევს უფლებას, კლიენტისათვის სასურველ შედეგს არაკანონიერი საშუალების გამოყენების გზით მიაღწიოს.[49]

8.6 კლიენტის ინფორმირების ვალდებულება

6. ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

8.6.1 საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულების კლიენტისთვის გადაცემის ვალდებულება

საქმე №066/10, 2010 წლის 23 სექტემბერი[50]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ანაზღაურების გამოთვლის წესისა და განაკვეთის კლიენტთან წინასწარ შეთანხმების ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, საქმეზე უარი თქმის წესის დარღვევა, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი.

---

[49] ეთიკის კომისია მოცემულ გადაწყვეტილებაში დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება), რომლის თანახმად: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერ ქმედებათა ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას, განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედება და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერ ქმედებათა გამართლებას ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №010/10 დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c59bf53684a9.pdf/010_10_22.07.2010%20kerdzo%20sarekomendacio%20barati.pdf

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაში, საქმეზე №106/12 აღნიშნა: „... ხელმოწერის გრაფაში ნიმუშად დოკუმენტის ნამდვილი ავტორის ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია; ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს, როგორც ხელმომწერი პირისათვის, ასევე იმ პირისათვის, ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა... ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ გონივრულ ფარგლებში წინდახედულების საზომით მოქმედება ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეა და ამ საკითხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება მოეთხოვება ადვოკატს.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c4c373385822.pdf/5c4c373385822.pdf

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე №025/13 ასევე დაადგინა ადვოკატის მიერ შესაგებელზე კლიენტის სახელით ხელმოწერის შესრულება იმ დროს, როდესაც მასზე ამ კლიენტის მიერ გაცემული არ იყო მინდობილობა. კომისიამ აღნიშნა, რომ შესაგებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელისა და გვარის დაფიქსირებით ხელმოწერა და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენა კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენებაა, თუნდაც ეს მარწმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარეობდეს და არ ეწინააღმდეგებოდეს კლიენტის ინტერესებს. ადვოკატის ქმედება - კლიენტის ნაცვლად შესაგებელზე ხელმოწერა მისი ინტერესების დაცვის მიზნით - ეწინააღმდეგება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c471f8dd24b6.pdf/5c471f8dd24b6.pdf

[50] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c49d7dedf601.pdf

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს კლიენტებმა.

ადვოკატი ორ კლიენტს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების გაწევაზე. კლიენტების განმარტებით, ერთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საქმეში არსებული დოკუმენტების სამართლებრივი ანალიზი და სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა, ხოლო მეორე ხელშეკრულების საგანს - სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება და უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლობა.

ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეთანხმებისას არ შეადგინა, არ გადასცა ერთი ეგზემპლარი კლიენტებს. ადვოკატი 8 დღე სწავლობდა საქმეს; ადვოკატმა კლიენტს წარუდგინა დასკვნა საკასაციო ინსტანციის სავარაუდო შედეგის შესახებ, რაშიც მან აიღო ანაზღაურება. კლიენტისთვის საკასაციო საჩივრის ვადის გასვლამდე სამი დღით ადრე გახდა ცნობილი, რომ ხელშეკრულება ითვალისწინებდა ადვოკატის მიერ მხოლოდ საქმის მასალების შესწავლასა და სამართლებრივი დასკვნის მომზადებას საკასაციო წარმოების პერსპექტიულობის შესახებ და არ მოიცავდა კლიენტის უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლობას. ეს მომსახურება ახალი შეთანხმების საფუძველი უნდა გამხდარიყო, ხოლო მეორე კლიენტს ადვოკატმა უარი უთხრა სასამართლო პრაქტიკის მოპოვებისა და მის საქმეში გამოყენებაზე, ვინაიდან ადვოკატის განმარტებით, მას არ აუღია ვალდებულება, მოეძიებინა მტკიცებულებები. ადვოკატის განმარტებით, კლიენტებს ხელშეკრულებები არ მოუთხოვიათ და ამის გამო არ გადასცა მათ ეგზემპლარები.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება უპირობოდ უნდა გადაეცეს კლიენტს, მიუხედავად იმისა, ითხოვს თუ არა იგი ამას. ხელშეკრულება ადვოკატმა კლიენტს უნდა გადასცეს დადებისთანავე, ან თუ არსებობს ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება, ამ გარემოების აღმოფხვრისთანავე. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გაეცნენ თუ არა მხარეები პირობებს ადვოკატის თანდასწრებით და მხოლოდ შემდეგ მოაწერეს ხელი. შეუძლებელია, კლიენტმა ზეპირად დაიმახსოვროს რამდენიმეგვერდიანი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს სტანდარტულ პირობებს. კომისიის განმარტებით, ხელშეკრულების პირობები ადვოკატის კლიენტისთვის არა მარტო ხელშეკრულების დადებისას, არამედ მისი მოქმედების განმავლობაშიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი. კლიენტისთვის ხელშეკრულების მიწოდების ვალდებულება კლიენტის ინფორმირების ვალდებულების შემადგენელი ელემენტია.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების მთელ პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება.

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტს შეუქმნა გონივრული ვარაუდი, რომ მას უზენაეს სასამართლოშიც დაიცავდა, მით უმეტეს მაშინ, როცა შეისწავლა საქმე, მოამზადა დასკვნა საკასაციო ინსტანციის სავარაუდო შედეგის შესახებ და საკასაციო საჩივრის შეტანამდე დარჩენილი იყო 3 დღე. ამ დროის განმავლობაში კლიენტი, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა სხვა ადვოკატთან შეთანხმებას, რომელიც მოასწრებდა საქმის გაცნობას და კვალიფიციურად დაწერდა საკასაციო საჩივარს. ადვოკატმა ისარგებლა ამ გარემოებით და უარი განაცხადა კლიენტის წარმომადგენლობაზე, თუ ის არ დათანხმებოდა მის მიერ შეთავაზებული პირობებით ახალი ხელშეკრულების დადებას. ამგვარი პირობის წამოყენება საკასაციო საჩივრის წარდგენის სანაცვლოდ კომისიამ შეაფასა, როგორც უარი საქმეზე ისეთ გარემოებებში, როცა კლიენტი უძლურია ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული მომსახურებით.

მეორე კლიენტის საქმეზე ადვოკატის არგუმენტი, რომ მან არ მოიპოვა სასამართლოს პრაქტიკა მტკიცებულების სახით, რადგან ამის ვალდებულება არ აუღია, ეთიკის კომისიამ ასე შეაფასა: საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია მის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის, მოამზადოს საქმე სასამართლოზე წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის. შესაბამისად, ადვოკატმა არ შეასრულა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები, ემოქმედა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მიემართა მტკიცებულებათა მოპოვების კანონით გათვალისწინებული საშუალებებისათვის.

8.6.2 ინფორმაციის „სათანადოდ“ მიწოდების ვალდებულება

საქმე №074/10, 2011 წლის 28 იანვარი[51]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს. კლიენტმა ადვოკატზე გააფორმა რწმუნებულება 6 თვის ვადით და გადაუხადა 500 ლარი, რომელიც მოიცავდა როგორც საადვოკატო მომსახურების ანაზღაურებას, ასევე სახელმწიფო ბაჟის თანხასაც. ადვოკატმა უმოქმედობით გაუშვა სარჩელის შეტანის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, კერძოდ, ადვოკატი კლიენტს თვეების განმავლობაში აწვდიდა ინფორმაციას, რომ სარჩელი უკვე შეტანილი ჰქონდა და ელოდებოდა სხდომის ჩანიშვნას. კლიენტმა დამოუკიდებლად გაარკვია სასამართლოში, რომ მისი სახელით შეტანილ სარჩელზე დადგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო. ადვოკატის განცხადების საფუძველზე სასამართლომ გააგრძელა ხარვეზის შევსების ვადა. მოცემული განჩინება ჩაბარდა ადვოკატს. მან არ შეავსო დადგენილი ხარვეზი, რის გამოც სარჩელი განუხილველი დარჩა. ამ დროისთვის ადვოკატზე გაცემულ რწმუნებულებას გასული ჰქონდა ვადა. ადვოკატს კლიენტისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია რწმუნებულების ვადის ამოწურვის, ასევე სამოქალაქო საქმის მიმდინარეობის შესახებ, ადვოკატს არ გადაუხდია სახელმწიფო ბაჟი, რომელიც კლიენტისგან საზღაურთან ერთად მიიღო.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატი არასწორ ინფორმაციას აწვდიდა კლიენტს, ამასთან, კლიენტი ვერ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას, რამაც შეუზღუდა საქმის მსვლელობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. ადვოკატს, რო-

[51] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c5a5346d2d.pdf

გორც წარმომადგენელს, უნდა განეხორციელებინა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საპროცესო ღონისძიება იმისთვის, რომ სარჩელი წარმოებაში ყოფილიყო მიღებული. მათ შორის, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სარჩელზე დადგენილი ხარვეზი შეევსო და თუ ასეთი ხარვეზის შევსება კლიენტის ჩართულობას მოითხოვდა, მაშინ კლიენტისთვის დროულად მიეწოდებინა ინფორმაცია ამ საჭიროების შესახებ.

ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ადვოკატმა იცოდა, როდის გასდიოდა მის რწმუნებულებას ვადა და აღნიშნული ინფორმაცია, ასევე რწმუნებულების ვადის გასვლის სამართლებრივი შედეგები დროულად უნდა ეცნობებინა კლიენტისთვის. ეს საშუალებას მისცემდა კლიენტს, მიეღო გადაწყვეტილება - ახალ რწმუნებულებას გასცემდა ადვოკატზე, თუ სხვა ადვოკატს მიმართავდა სამართლებრივი დახმარებისათვის. ამასთან, რადგან რწმუნებულებას ვადა ჰქონდა გასული, ადვოკატს არ უნდა ჩაებარებინა სასამართლოს განჩინება, სასამართლოსათვის დაებრუნებინა განჩინება იმ მოტივით, რომ იგი აღარ იყო მოსარჩელის წარმომადგენელი, ხოლო თუ ჩაიბარა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა კლიენტისთვის ხარვეზის დადგენის შესახებ. კომისიამ შენიშნა, რომ თუ ადვოკატი ასე მოიქცეოდა, კლიენტი სავარაუდოდ აირიდებდა იმ შედეგს, რაც გამოიწვია განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოუფხვრელობამ, კერძოდ, კლიენტის სარჩელის განუხილველად დატოვებამ.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი საქმის შედეგით დაინტერესებული პირია და მნიშვნელოვანია, რომ ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.

კომისიამ მიიჩნია, რომ საქმის მსვლელობაზე ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. ადვოკატმა კლიენტს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, კერძოდ, უთხრა, რომ მისი სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული და ელოდებოდა პროცესის ჩანიშვნას. კომისიამ განმარტა, რომ კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების „არაჯეროვანი“ შესრულება.

კომისიის პოზიციით, ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმიდან გამომდინარე ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდებისათვის, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას.[52]

[52] ეთიკის კომისიამ 2012 წლის 07 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N030/12 დაადგინა, რომ ადვოკატი და კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას. ასეთი ფორმა შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ თანამოსარჩელეების ან თანამოპასუხეების ინტერესების დაცვისას ერთ–ერთი კლიენტის ინფორმირებას, რომელიც ამ ინფორმაციას სხვა კლიენტებსაც გადასცემს. ბუნებრივია, კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს.

8.6.3 კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების შეწყვეტის თაობაზე

საქმე №052/13, 2014 წლის 23 ივნისი [53]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულებითა და მინდობილობით, ადვოკატს უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სამივე ინსტანციის სასამართლოში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, წარმომადგენელთა უფლებამოსილებების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, ადვოკატს შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება, რაც კლიენტმა არ იცოდა. ადვოკატის განმარტებით, არც მას ჰქონია ინფორმაცია წევრობის შეწყვეტაზე, თორემ სხდომაზე მისვლამდე აცნობებდა კლიენტს ამ გარემოების შესახებ და სხდომის გადადებაზე იშუამდგომლებდა.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის განმარტებით, პროფესიული ეთიკური ვალდებულება მოიცავს კლიენტისთვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევას. ადვოკატმა უნდა შეასრულოს მის პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება, მათ შორის, საწევრო გადასახადის გადახდა, რათა ხელი არ შეეშალოს კლიენტის წარმომადგენლობაში. კომისიის შეფასებით, ადვოკატს ეცოდინებოდა ერთიანი სიიდან კონკრეტული საფუძვლით ამოშლის შესახებ, რადგან ამას სპეციალური კანონი ადგენს. ადვოკატს ევალება საკუთარი სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობა, გადამოწმება, ამის თაობაზე კლიენტის დროული ინფორმირება. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად და თავიდან აირიდოს ადვოკატის გარეშე საქმისწარმოების რისკი. ადვოკატს წევრობის შეწყვეტიდან სააპელაციო სასამართლოში სხდომის ჩატარებამდე ჰქონდა გონივრული ვადა და ობიექტური შესაძლებლობა, რომ კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისი საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტაზე. აღნიშნული ინფორმაციის მიუწოდებლობით, ადვოკატმა კლიენტი დაუცველი დატოვა სააპელაციო სასამართლოში, რადგან მას არ ჰქონდა ობიექტური საშუალება, ესარგებლა სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

8.6.4 საადვოკატო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხელშეკრულების მხარისათვის (რომელიც არ არის კლიენტი)

საქმე №111/13, 2014 წლის 29 მარტი[54]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

სავარაუდო დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

---

[53] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c5c280109e1f.pdf/052_13_23.06.2014-%20gafrtkhileba.pdf

[54] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c47205baf953.pdf

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი იცავდა ბრალდებულის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე ყველა ინსტანციის სასამართლოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას, რამდენიმე პროცესზე კლიენტს მხოლოდ ერთი ადვოკატი იცავდა. კლიენტის ოჯახმა დამატებით მეორე ადვოკატი დაიქირავა, რაც არსებულ ადვოკატს წინასწარ არ აცნობეს. საქმეში ახალი ადვოკატის ჩართვის შესახებ მან თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სხდომის დაწყებამდე შეიტყო, როდესაც ახალმა ადვოკატმა აცნობა, რომ ბრალდებულის ოჯახის მხრიდან მოწვევის საფუძველზე ჩაერთო სისხლის სამართლის საქმეში და მისი მოსაზრებით, „საქმეს უჭირდა... საჭირო იყო სხვა ტაქტიკის შემუშავება". კოლეგასთან საუბრის შემდეგ, პირველმა ადვოკატმა საქმიდან გასვლა გადაწყვიტა, არ შევიდა სხდომაზე და საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა მასთან დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს. ადვოკატის შეფასებით, მას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ იმ პირის ინფორმირების ვალდებულება ჰქონდა, ვისთანაც ხელშეკრულება დადო. ამას კლიენტის პრეტენზია მოჰყვა, რადგან მას სურდა, ადვოკატებს ერთად გაეგრძელებინათ მისი დაცვა. ადვოკატის გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა კლიენტისთვის, მით უმეტეს, ადვოკატი არ შევიდა მასთან სასჯულაღსრულების დაწესებულებაში და არ განუმარტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. სსსსკ-ის 41–ე მუხლის მიხედვით, „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე." მოცემულ შემთხვევაში, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა კლიენტის და ადვოკატის საერთო მეგობარი.

ეთიკის კომისიამ გაიზიარა დისციპლინურ საქმეზე №029/1155 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება: „კლიენტი არის პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. თუ ადვოკატთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას დებს კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, ეს უკანასკნელი ხდება ხელშემკვრელი მხარე, რომელსაც ევალება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ ადვოკატს ვალდებულება უშუალოდ იმ პირის მიმართ წარმოეშვება, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა, უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე." ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ „პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული, უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს. განსაკუთრებით, ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ინფორმირებულია თავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე."

[55] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 https://gba.ge/uploads/publications/5c4c47fbd8450.pdf

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაცვის შეწყვეტის შესახებ მხოლოდ ხელშეკრულების მხარის ინფორმირებით დაარღვია კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია და განმარტა, რომ კლიენტად მიიჩნეოდა ბრალდებული და ადვოკატს პროფესიული ვალდებულებების დაცვა უშუალოდ მის წინაშე ეკისრებოდა. კომისიის შეფასებით, ადვოკატს ევალებოდა, შეხვედროდა კლიენტს და პირადად მისთვის განემარტა საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი. ადვოკატის გადაწყვეტილება უშუალოდ კლიენტის ინტერესებს ეხებოდა და მისი უპირველესი მოვალეობა სწორედ კლიენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედება გახლდათ.

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქცევაზე იმსჯელა საქმეზე უარის თქმის წესის ფარგლებშიც და განმარტა: ადვოკატის შერჩეული ტაქტიკისა და კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიისათვის შეიძლებოდა საფრთხე შეექმნა იმ ფაქტს, რომ მან პროცესის დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეიტყო საქმეში ჩართული მეორე ადვოკატისაგან, რომ „საქმეს უჭირდა... საჭირო იყო სხვა ტაქტიკის შემუშავება“. ადვოკატი მონაწილეობდა სააპელაციო სასამართლოს სამ სხდომაში და მიმდინარეობდა მოწმეთა დაკითხვა. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისიის შეფასებით, საქმეში ორი და მეტი ადვოკატის ჩართულობისას, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო პოზიციების წინასწარ შეთანხმება და შეჯერება. სასამართლო სხდომაზე კლიენტის წარმოდგენას მასთან კონსულტაციისა და პოზიციების ურთიერთშეჯერების გარეშე, შესაძლოა საფრთხე შეექმნა მისი ინტერესებისათვის. ამდენად, კლიენტის მომსახურების შეწყვეტის ფაქტზე კომისიამ საქმეზე უარის თქმის წესის დარღვევა არ დაადგინა.[56]

8.8; 8.9 ადვოკატის ჰონორარი; საქმისწარმოებაზე უარის თქმის წესი ჰონორარის გადაუხდელობისას

8. ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის (08.12.2012).

9. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე წინამდებარე თავის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით.

საქმე №032/17, 2017 წლის 20 ოქტომბერი[57]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

სავარაუდო დარღვევა: საქმისწარმოებაზე უარის თქმის წესი.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

კლიენტი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ადვოკატთან ზეპირი ხელშეკრულება დადო უფლებამოსილმა პირმა, კლიენტის დედამ. მხარეები შეთანხმდნენ როგორც საადვოკატო მომსახურების საზღაურის ოდენობაზე, ასევე სამგზავრო ხარჯებზე. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატი ქალაქ მარტვილში საქმიანობდა, საქმე განიხილებოდა გორის რაიონულ სასამართლოში,

[56] ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმეზე N109/12 ასევე დაადგინა კლიენტის ინფორმირების მოვალეობის დარღვევა, ვინაიდან ადვოკატმა კლიენტის მომსახურება შეწყვიტა კლიენტის ოჯახის წევრების მოთხოვნით, კლიენტის ინფორმირების გარეშე შეხვდა მათ და გადასცა კლიენტისგან მინდობილი თანხა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c472259c6728.pdf

[57] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c471847bf2b9.pdf

ხოლო ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირი იმყოფებოდა თბილისში მდებარე ერთ-ერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. შეთანხმების თანახმად, ყოველი სასამართლო პროცესის წინ ადვოკატს კლიენტის დედისთვის წინასწარ უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია სამგზავრო ხარჯებზე და ის მათ დასაფარად გარკვეულ თანხას გადაუხდიდა. მართლაც, ადვოკატი სასამართლო პროცესზე ყოველი წასვლის წინ ატყობინებდა კლიენტის დედას სამგზავრო ხარჯებს და ისიც წინასწარ აძლევდა აღნიშნულ თანხას.

შეთანხმების ფარგლებში, ადვოკატი მონაწილეობდა დაცვის ქვეშ მყოფი პირის სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ ცხრა სასამართლო სხდომაში და კლიენტის მოსანახულებლად პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა ხუთჯერ.

საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ერთ-ერთ ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა და მოსამართლემ პროცესი იმავე თვის სხვა დღეს გადადო. ადვოკატი კვლავ არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და შეწყვიტა კლიენტის მომსახურება. საჩივრის ავტორი ითხოვდა, იმავე ადვოკატს გაეგრძელებინა მისი დაცვა.

მოწმის სახით გამოკითხულმა კლიენტის დედამ განმარტა, რომ სასამართლო პროცესები გაჭიანურდა და ადვოკატს სასამართლო პროცესზე წასასვლელი სამგზავრო თანხა ორჯერ ვერ გადაუხადა. თან სთხოვა, თავისი ხარჯით ემგზავრა და შემდეგ აუნაზღაურებდა ტრანსპორტირების თანხებს, მაგრამ ადვოკატმა მას უარი უთხრა სასამართლო პროცესებზე საკუთარი ხარჯით წასვლაზე.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ, საჩივრის ავტორის პრეტენზიიდან გამომდინარე, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილის დარღვევაზე და არ დაადგინა საქმისწარმოებაზე უარის თქმის წესის დარღვევა.

კომისიის განმარტებით, ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სწორედ ორმხრივად გამოვლენილი ნებით, ურთიერთშეთანხმება ხდება საფუძველი ადვოკატ-კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების გაწევისა და ამ მომსახურებისთვის ანაზღაურების გადახდის. ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა, კლიენტს მისთვის გასაგები ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია ჰონორარის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, ასევე საქმისწარმოების მოსალოდნელ ხარჯებზე. ჰონორარის გადაუხდელობის შემთხვევაში, ეთიკურად ითვლება ადვოკატის უარი მომსახურებაზე იმ დათქმით, რომ კლიენტი ადვოკატმა არ უნდა დატოვოს უძლურ მდგომარეობაში, როდესაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას, დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი ფართოდ უნდა განიმარტოს: ჰონორარის გადაუხდელობის გამო საქმეზე უარის თქმის უფლება საქმისწარმოების ხარჯების გადაუხდელობის შემთხვევაზეც უნდა გავრცელდეს, თუ ადვოკატს კლიენტი წინასწარ ჰყავდა ინფორმირებული მოცემული ხარჯების გადახდის შესახებ.

ეთიკის კომისიამ დაასკვნა, რომ ადვოკატმა სასამართლო პროცესებზე წასვლა ვერ შეძლო, რადგან ბრალდებულის დედამ - ადვოკატთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფმა პირმა - სასამართლო პროცესებზე გასამგზავრებლად შეთანხმებული თანხა ვერ გადასცა მას. დადგინდა, რომ ადვოკატს ხელშეკრულების მხარესთან, დაცვის ქვეშ მყოფის დედასთან, თავიდანვე ჰქონდა შეთანხმებული როგორც საადვოკატო მომსახურების საზღაური, ასევე მომსახურების ხარჯები და გადახდის წესი, კერძოდ, გადაადგილების ხარჯი, ვინაიდან ადვოკატი საქმიანობდა მარტვილში, ხოლო კლიენტის საქმე იხილებოდა გორის რაიონულ სასამართლოში. შესაბამისად, კომისიამ არაეთიკურად არ შეაფასა ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა.

8.10, 8.11, ადვოკატის რეკომენდირებისთვის კომპენსაციის მიღების აკრძალვა, დავის მინიმალური დანახარჯებით წარმოების ვალდებულება

10. ადვოკატს არა აქვს უფლება, გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს (08.12.2012).

11.ადვოკატი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა (08.12.2012).

საქმე №047/11, 2011 წლის 18 ოქტომბერი[58]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

სავარაუდო დარღვევა: რეკომენდების გადასახადის გადახდის აკრძალვა, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის პრინციპი, დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმა.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

2009 წელს ადვოკატმა კლიენტს გაუწია საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეზე. კერძოდ, საქმე ეხებოდა უძრავ ქონებაზე არსებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას და მის სახელზე აღრიცხვას. ადვოკატმა მიიღო რა კლიენტისაგან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საბუთები 2005 წლის მდგომარეობით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს ისე, რომ არ განუახლებია საჯარო რეესტრის ამონაწერი. სასამართლო განჩინებით, ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გაუქმდა ყადაღა უძრავ ქონებაზე. თუმცა, საჩივრის ავტორს ყადაღის შეწყვეტის რეგისტრაციაზე უარი ეთქვა საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით, იმ საფუძვლით, რომ 2009 წლის ნოემბრის მდგომარეობით, უძრავ ქონებაზე ყადაღა არ იყო რეგისტრირებული. კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლოს სარჩელით მიმართა და მოითხოვა საადვოკატო მომსახურებაში გადახდილი საზღაურის დაბრუნება. კლიენტის სარჩელი დაკმაყოფილდა და მან მიმართა ადვოკატს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. ადვოკატმა შესთავაზა კლიენტს, რომ თუკი არსებობდა ადამიანი, ვისაც სამართლებრივი დახმარება სჭირდებოდა, მასთან მიეყვანა და მიღებული საზღაურის ნახევარს მას გადაუხდიდა, სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდის მიზნით.

ადვოკატს მოცემული კლიენტის მომსახურების პერიოდში შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, თუმცა, კლიენტის მიერ ეთიკის კომისიისადმი მომართვის დროს იგი მოქმედ ადვოკატს წარმოადგენდა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ რეკომენდების გადასახადის გადახდის აკრძალვის,

[58] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c54547df21.pdf

კვალიფიციური წარმომადგენლობისა და დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტის პრინციპების დარღვევაზე და დაადგინა მხოლოდ რეკომენდების გადასახადის გადახდის აკრძალვის დარღვევა.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის მხრიდან რეკომენდების გადასახადის გადახდის აკრძალვა ეხება არა მხოლოდ გადასახადის, საკომისიოს ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის გადახდას, არამედ აღნიშნულის დაპირებას და/ან შეთავაზებასაც. კომპენსაციის გადახდის აკრძალვა გულისხმობს, რომ რეკომენდატორ პირს ადვოკატი არ უნდა დაპირდეს არანაირ ქონებრივ სარგებელს. ამ შემთხვევაში ნორმა მოიცავს არა მარტო ქმედებას, არამედ ამ ქმედების დაპირებას, იმის მიუხედავად, შემდგომში შეასრულა თუ არა ადვოკატმა აღნიშნული ქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა ყოფილ კლიენტს შესთავაზა, რეკომენდაცია გაეწია მისთვის ისეთი ადამიანის წინაშე, ვისაც სამართლებრივი დახმარება ესაჭიროებოდა, თუკი ვინმე იყო ასეთი მის გარშემო. რეკომენდაციის სანაცვლოდ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს შესთავაზა მიყვანილი კლიენტისაგან საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ჰონორარიდან თანხა, რის დაბრუნებასაც სთხოვდა ყოფილი კლიენტი. კომისიის შეფასებით, ეს არის „ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაციის“ გადახდის შეპირება. მოცემული ქცევით ადვოკატმა დაარღვია რეკომენდების გადასახადის გადახდის აკრძალვის პრინციპი.

კომისიამ ასევე იმსჯელა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად უნდა დაკისრებოდა ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ პერიოდში ჩადენილ გადაცდომაზე, როდესაც მას შეწყვეტილი ჰქონდა წევრობა.

კომისიის მოსაზრებით, დისციპლინური წარმოებისათვის გადამწყვეტია ობიექტური ფაქტორი, კერძოდ, სადავო ქმედების განხორციელებისას ადვოკატი იყო თუ არა ადვოკატთა ასოციაციის წევრი. როგორც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ბრძანებით და ამავე ასოციაციის მიერ გაცემული ცნობით დადგინდა, სადავო ქმედების განხორციელებისას, მას შეწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, „ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე“. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, პირზე, რომელსაც სადავო მოქმედების დროს შეწყვეტილი აქვს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა, ვერ გავრცელდება ეთიკის კოდექსის მოქმედება. სადავო ქმედება არ იყო განგრძობადი, ადვოკატმა ეთიკის კოდექსის 8.10 მუხლი დაარღვია იმ დროს, როცა შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. კომისიამ დაადგინა გადაცდომა ადვოკატის მხრიდან, თუმცა, მას დისციპლინური პასუხისმგებლობა ვერ დააკისრა.

კომისიამ ასევე იმსჯელა ადვოკატის მიერ კვალიფიციური მომსახურების გაწევაზე და განმარტა, რომ კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულების შეფასებისას საყურადღებოა, ფლობს თუ არა ადვოკატი სერტიფიკატს საქმიანობის შესაბამის სფეროში და რამდენად კეთილსინდისიერად მოემსახურა კლიენტს. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა რეესტრის მონაცემებით, ადვოკატს საერთო სპეციალიზაცია ჰქონდა და ეძლეოდა უფლება, დაეცვა კლიენტის ინტერესები სამოქალაქო სამართლის საქმეზე. ადვოკატის არაკეთილსინდისიერება არ იკვეთებოდა, ვინაიდან იგი მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით: ადვოკატმა კლიენტს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, შეუდგინა განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე, წარმოადგინა სასამართლოში, რაც კლიენტისათვის სასურველი შედეგით დასრულდა - გაუქმდა კლიენტის უძრავ ქონებაზე დადებული სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიება. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მან არ გადაამოწმა საჯარო რეესტრში უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა და ისე მიმართა სასამართლოს, არ ჩაითვლება მის არაკეთილსინდისიერებად - თავის მხრივ, სასამართლომაც იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ისე დააკმაყოფილა განცხადება, რომ განმცხადებლისაგან არ მოუთხოვია საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის შეფასებით, ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი არ დაურღვევია.

კომისიამ იმსჯელა დავის მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტის პრინციპზეც და აღნიშნა, რომ ადვოკატის ვალდებულება, შეეცადოს საქმე მინიმალური დანახარჯით გადაწყვიტოს, ირღვევა იმ შემთხვევაში, თუ დავის მოგვარების ხარჯიან და ნაკლებ ხარჯიან გზას შორის ადვოკატი ხარჯიან გზას ირჩევს, კლიენტის ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის გარკვევა მანამ, სანამ სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე მიმართავდა, ნაკლებხარჯიანი გზა იქნებოდა - ასეთ შემთხვევაში არ დადგებოდა სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებლობა. საქმის ასეთი შედეგით დასრულების მიუხედავად, ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატს არ დაურღვევია დავის მინიმალური დანახარჯით გადაწყვეტის პრინციპი. კომისიის მოსაზრებით, კლიენტის მიწოდებული საბუთებით, ადვოკატმა იცოდა, რომ უძრავ ქონებას ყადაღა ედო. არც კლიენტს უთხოვია მისთვის აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება. ის, რომ ადვოკატი ენდო კლიენტის მიწოდებულ დოკუმენტაციას და დამოუკიდებლად არ გადაამოწმა, ვერ ჩაითვლება განხილული პრინციპის დარღვევად. ადვოკატის ქმედებაში არ ვლინდება განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც აღნიშნული პრინციპის დარღვევის წინაპირობაა. ამასთან, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ უძრავ ქონებაზე არსებული ყადაღის მოხსნის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრის დღეს არსებული სისტემით - „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ა) ქვეპუნქტის თანახმად - ხელმისაწვდომია მხოლოდ მათთვის, ვინც განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრს და მომსახურების შესაბამის საფასურს გადაიხდის ამონაწერის განახლების მიზნით. ვინაიდან სასამართლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით განცხადების მიღებისას, როგორც წესი, ითხოვს საჯარო რეესტრის განახლებულ ამონაწერს, საადვოკატო პრაქტიკაში გავრცელებულია ამონაწერის განახლება სასამართლოს მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში და არა წინასწარ. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სასამართლოს არ მოუთხოვია საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერი, ისე დააკმაყოფილა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე.

8.12. კლიენტის მიერ გადახდილი საქმისწარმოების ხარჯების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება

12. ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმისწარმოების ხარჯებთან დაკავშირებით.

საქმე №133/13, 2015 წლის 02 თებერვალი[59]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ადვოკატისთვის მინდობილი თანხის დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება, სასამართლოსთვის წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებუ-

[59] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484f79da0dd.pdf

ლების მიწოდების აკრძალვა, საქმისწარმოების ხარჯებისთვის კლიენტის მიერ გადახდილ თანხებზე სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი იცავდა ბრალდებულის ინტერესებს ადმინისტრაციულ დავაზე, ზეპირი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატმა კლიენტს არ შეუთანხმა ადმინისტრაციულ სარჩელში დაყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა; ადვოკატმა სასამართლოს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარმოადგენდა მოსარჩელეს, რის გამოც სასამართლომ მას არ ჩააბარა შეტყობინება სხდომის ჩანიშვნის შესახებ და სხდომა ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა; მან ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით განცხადება შეიტანა ნივთმტკიცებათა დართვის გარეშე; კლიენტს წინასწარ არ ურჩია, თუ რა ნივთმტკიცებები იქნებოდა საჭირო კონკრეტული ექსპერტიზის ჩატარებისათვის; არ შეაფასა კლიენტის ხელთ არსებული ნივთმტკიცებები და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი მათი წარუდგენლობის შემთხვევაში; ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად არ შეადგინა შეწყალების შესახებ განცხადება; მან წინასწარი შეცნობით ეთიკის კომისიას შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მიაწოდა; კლიენტის მოთხოვნაზე, წარედგინა მისთვის მის საქმეზე მიღებული თანხებისა და გაწული ხარჯის ანგარიშგება, ადვოკატი დაუკავშირდა კლიენტის საზღვარგარეთ მყოფ მეუღლეს და ანგარიშგების გასაკეთებლად სთხოვდა ეთქვა, რამდენი თანხა და როდის ჰქონდა გამოგზავნილი.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ კლიენტის ინფორმირების მოვალეობის დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ ადმინის-ტრაციულ სარჩელში დაყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ოდენობა შეთანხმებული არ იყო კლიენტთან.

კომისიამ არაკვალიფიციურ მომსახურებად შეაფასა ადვოკატის პროფესიული ქცევა, როცა მან სასამართლოს არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ წარმოადგენდა მოსარჩელეს, რის გამოც სასამართლომ არ შეატყობინა სხდომის ჩანიშვნა და იგი ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა.

კომისიის განმარტებით, საქმის მომზადების მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა, სამართლებრივად შეაფასოს და კლიენტთან ერთად გადაწყვიტოს ექსპერტიზისათვის დასართავი ნივთმტკიცებების საკითხი. ადვოკატის ვალდებულებაა, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, ურჩიოს კლიენტს, სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ექსპერტიზის ჩატარება სადავო საკითხისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინოს კონკრეტულ ექსპერტიზათა ჩატარების განცხადება, სათანადო ნივთმტკიცებათა დანართით. ადვოკატმა წინასწარ არ მიაწოდა იურიდიული რჩევა კლიენტს, თუ კონკრეტული ექსპერტიზის ჩატარებისათვის რა ნივთმტკიცებები იქნებოდა საჭირო, არ შეაფასა კლიენტის ხელთ არსებული ნივთმტკიცებები და მათი წარუდგენლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი. ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით მხოლოდ განცხადების შეტანა, ნივთმტკიცებათა დართვის გარეშე, ასევე კლიენტის არაინფორმირებულობა განცხადებაზე დასართავი ნივთმტკიცებების შესახებ შეფასდა არაკვალიფიციურ მომსახურებად.

არაკეთილსინდისიერ ქცევად შეფასდა ის გარემოება, რომ ადვოკატმა არ შეასრულა კლიენტის კანონიერი მითითება და არ შეადგინა შეწყალების შესახებ განცხადება.

ეთიკის კომისიამ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილზე დაყრდნობით განმარტა, რომ ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს

სასამართლოს მსგავს ფუნქციას. შესაბამისად, წინასწარი შეცნობით ყალბი ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა ვრცელდება ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებაზეც. იმის დასტურად, რომ შეიტანა განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ადვოკატმა ეთიკის კომისიას წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან დოკუმენტის რეგისტრაციაში გატარების საბუთი. ეთიკის კომისიამ გადაამოწმა ინფორმაცია და ეს არ აღმოჩნდა ადვოკატის მიერ მოცემული კლიენტის სახელზე შეტანილი განცხადება. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სხვა განცხადების მტკიცებულების სახით გამოყენებით, ადვოკატმა კომისია წინასწარი შეცნობით შეიყვანა შეცდომაში, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნები.

ეთიკის კომისიის განმარტებით, საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის აღრიცხვას. აღნიშნული ვალდებულება გულისხმობს კლიენტისთვის ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდებას ასეთი მოთხოვნისთანავე.

კომისიის შეფასებით, ადვოკატმა დაარღვია საქმისწარმოების ხარჯების სრული და ზუსტი აღრიცხვის ვალდებულება, რადგან თავად არ აწარმოებდა ჩანაწერებს კლიენტისგან მიღებული თანხებისა და საქმისწარმოების ხარჯის შესახებ. კომისიის შეფასებით, ადვოკატს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ ის აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას და კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია მისთვის გადაცემული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ადვოკატი ვალდებულია, ეთიკის კომისიას დაუდასტუროს კლიენტისთვის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნისთანავე მიწოდება. საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პერიოდში, ასევე ურთიერთობის დასრულებიდან დაახლოებით 2 თვის განმავლობაში ადვოკატს არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა. კლიენტმა ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიიღო არა მოთხოვნისთანავე ან მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში, არამედ დისციპლინური წარმოების პროცესში - ადვოკატმა კლიენტისგან მიღებული თანხებისა და გაწეული ხარჯის შესახებ ინფორმაცია მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური წარმოებიდან გამომდინარე მოიძია.

8.13. კლიენტის სახსრებისა და ქონების შენახვისა და განკარგვის წესი

13. ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს, უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (08.12.2012).

საქმე №098/17, 2018 წლის 31 მაისი[60]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, ადვოკატისთვის მინდობილი თანხის დამოუკიდებლად შენახვისა და კეთილსინდისიერად მართვის ვალდებულება, კლიენტის მიერ გადახდილი საქმისწარმოების ხარჯების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება, საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება.

[60] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c523d4574c.pdf

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატი კლიენტს უნდა დახმარებოდა უძრავი ქონების დაკანონებაში. მან საადვოკატო ჰონორარი სრულად აიღო, ასევე ხარჯის სახით კლიენტს გამოართვა გარკვეული ოდენობის თანხა, თუმცა, არ განუმარტა კონკრეტულად რისთვის იყო განკუთვნილი ეს თანხა, მოსალოდნელი ხარჯის საჭიროებაზე ადვოკატმა დეტალური ინფორმაცია წინასწარ არ მიაწოდა კლიენტს; ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად მოამზადა აზომვითი ნახაზი, ელ. ვერსია და ორთოფოტო; საჯარო რეესტრში კლიენტთან ერთად ორჯერ წარადგინა დოკუმენტაცია და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უფლების რეგისტრაცია; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისგან მოითხოვა უძრავი ნივთის შესახებ სრული ინფორმაციის დედანში გაცნობა. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატს კლიენტის წინაშე აღებული ვალდებულება - უძრავი ნივთის დაკანონება - არ ჰქონდა ბოლომდე შესრულებული. ადვოკატმა არ აწარმოა კლიენტისგან მინდობილი თანხების მოხმარების ხარჯთაღრიცხვა. ხელშეკრულების შეწყვეტისას საადვოკატო ჰონორარის ნაწილი, რომელიც შესრულებული სამუშაოს პროპორციული ოდენობის მიღმა დარჩა, ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს, მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6). ამ ნორმის არსი ისაა, რომ კლიენტს წინასწარ მიეცეს საშუალება, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მისი საქმისწარმოების შესახებ. კერძოდ, მოსალოდნელი ხარჯების წინასწარ ცოდნის შემთხვევაში, კლიენტი შეძლებს გადაწყვიტოს: 1) გააგრძელოს თუ არა საქმისწარმოება სასამართლოში, 2) მიმართოს თუ არა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს, 3) მოურიგდეს თუ არა მხარეს, რათა შეიმციროს საქმესთან დაკავშირებით გასაწევი ხარჯები, თუ მიმართოს სხვა კანონიერ საშუალებებს თავისი უფლებების დასაცავად. შესაბამისად, მოცემული ნორმის დაცვა ადვოკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური ვალდებულებაა, რომელიც როგორც საპროცესო ეკონომიურობიდან, ასევე კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ადვოკატმა კლიენტს წინასწარ არ მიაწოდა ინფორმაცია საქმისწარმოების მოსალოდნელ ხარჯებზე, რითაც მას არ მიეცა შესაძლებლობა, მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება საქმის სამართლებრივი ბედის შესახებ. ადვოკატმა კლიენტს ხარჯის სახით დამატებით გამოართვა 300 (სამასი) ლარი, თუმცა, არ განუმარტა კონკრეტულად რისთვის იყო განკუთვნილი ეს თანხა, იყო ეს სახელმწიფო ბაჟის სახით შესატანი თანხის ოდენობა, დოკუმენტების თარგმნის, ნოტარიულად დამოწმების, სატრანსპორტო თუ სხვა ხარჯი, რომელიც კლიენტის საქმისწარმოებას უკავშირდებოდა. ადვოკატმა განმარტა, რომ თანხა კლიენტს გამოართვა სამომავლო საჭიროებებიდან გამომდინარე. ეს იყო ზოგადი ხარჯი, რომელიც შესაძლოა საჭირო გამხდარიყო. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მიუხედავად ეთიკური ვალდებულებისა, ადვოკატმა მითითებული თანხის მიზნობრიობაზე დეტალური ინფორმაცია არ მიაწოდა კლიენტს, რითაც დაარღვია პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ მინდობილი თანხები კლიენტის საკუთრებაა და მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება მათი განკარგვა, რასაც აუცილებლად თან უნდა სდევდეს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული ხარჯთაღრიცხვა (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი). ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები ადვოკატს ავალდებულებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდოს კლიენტის მიერ გადაცემულ ფულად სახსრებს (მინდობილ ხარჯებს) და არ განათავსოს ეს მინდობილი თანხები პირად ფულად სახსრებთან ერთად (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი). ამავე ნორმაში მითითებულია ადვოკატის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც მინდობილი ხარჯების

კეთილსინდისიერად მართვას ითვალისწინებს. ამ ნორმის არსი ისაა, რომ ადვოკატის შესაძლო ფულადი ვალდებულებები არ გავრცელდეს კლიენტის თანხებზე (მინდობილ სახსრებზე), რადგან ეს არ არის ადვოკატის აქტივი.[61]

ადვოკატი არ აწარმოებდა მინდობილი თანხების ხარჯთაღრიცხვას, რის გამოც კლიენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა ინფორმაციას მისი კუთვნილი თანხების განკარგვასთან დაკავშირებით. კლიენტმა მოსთხოვა ადვოკატს ქვითრების წარმოდგენა იმის დასადგენად, თუ რაში დახარჯა მან გადაცემული თანხა, თუმცა, ადვოკატს ქვითრები არ წარუდგენია და მხოლოდ იუსტიციის სახლიდან ამოღებული საბუთები დაუბრუნა. შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი.

ადვოკატმა კლიენტის მიერ ხარჯის სახით გადაცემული თანხა არ განათავსა ცალკე, მისი ფულადი სახსრებისაგან დამოუკიდებლად, რითიც დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი.

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, გაწეული მომსახურებისა და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს, მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა, აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს პროპორციული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე. ნებისმიერი თანხის ოდენობის მხოლოდ ფორმალურად დაბრუნება არ შეიძლება ჩაითვალოს პროპორციულ ოდენობად და, შესაძლოა, კვლავ გამოიკვეთოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა ზუსტად განსაზღვროს, რა ოდენობა იქნება გაწეული მომსახურების პროპორციული სამართლებრივი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დარჩენილი თანხა კი დაუბრუნოს კლიენტს სხვა ფულად სახსრებსა და საქმის მასალებთან ერთად.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას უძრავი ნივთის დაკანონების საქმე არ იყო დასრულებული და საქმისწარმოება უნდა გაგრძელებულიყო მემკვიდრეობის მიღების გზით. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება, კლიენტისათვის დაებრუნებინა გამოუმუშავებელი ჰონორარი, სხვა ფულადი სახსრები და საქმის მასალები, რაც მან არ გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა არაერთი იურიდიული მოქმედება განახორციელა კლიენტის ინტერესების დასაცავად და სურდა, კვლავ გაეგრძელებინა მისი მომსახურება, კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატს მიღებული საადვოკატო მომსახურების საზღაურიდან უნდა გამოექვითა გაწეული სამუშაოს სავარაუდო ეკვივალენტური თანხა, ხოლო ჰონორარის

[61] კომისია გადაწყვეტილების დასაბუთებისას დაეყრდნო 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებას საქმეზე N003/12, სადაც არაეთიკურად შეფასდა ადვოკატის ქცევა, როდესაც მან არ დაუბრუნა კლიენტს მიღებული სახელმწიფო ბაჟის თანხა, რომლის გადახდაც აღარ გახდა საჭირო და განმარტა, რომ თანხა მასთან ინახებოდა და კლიენტს ნებისმიერ დროს შეეძლო მისი დაბრუნება. კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ვალდებულება, კლიენტისათვის გადასაცემი თანხა საკუთარი ფულადი სახსრებისა ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შეინახოს, კეთილსინდისიერად მართოს და კლიენტს დაუბრუნოს. კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც მის ქონებას არ შეადგენს. მას შემდეგ, რაც კლიენტი ადვოკატს ფულად თანხას მიანდობს, მას უჩნდება ვალდებულება, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. თუ თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო - მნიშვნელობა არ აქვს, სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო - პროფესიული ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ადვოკატი პასუხისმგებელია, შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის, თუ სხვა ქონების უკლებლივ დაბრუნების შესახებ და პირველივე შესაძლებლობისთანავე გააკეთოს ეს, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, ასევე თავიდან აირიდოს მინდობილი ქონების სხვა ქმედების გასახორციელებლად გადამისამართება. ადვოკატმა სახელმწიფო ბაჟის სახით მიღებული თანხა კლიენტს ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ დაუბრუნა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c472298b5467.pdf

დარჩენილი ნაწილი დაებრუნებინა კლიენტისთვის, ვინაიდან იგი ვეღარ წარმოადგენდა კლიენტს, მისივე ნების შესაბამისად. ამასთან, ადვოკატს კლიენტისათვის უნდა დაებრუნებინა მინდობილი თანხების ის ნაწილი, რომელიც ვეღარ დახარჯა კლიენტის საქმისწარმოებაზე, ურთიერთობის შეწყვეტის გამო. ვინაიდან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა ფულადი სახსრები და გამოუმუშვებელი ჰონორარი, მან დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით დადგენილი რეგულაცია.

8.15. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის ვალდებულებები და უფლება ჰონორარზე

8.15. კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (08.12.2012).

8.15.1 საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება

საქმე №038/16, 2016 წლის 16 სექტემბერი[62]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე გაფორმდა 2014 წლის 03 იანვარს, შეთანხმების საგანი: სასამართლოში წარმომადგენელობა ბავშვების მეურვეობასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდებოდა მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა კლიენტს უკან არ დაუბრუნდებოდა. ადვოკატმა შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საზღაური სრული სახით მიიღო. კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატმა გარკვეული იურიდიული მოქმედებები განახორციელა, მაგრამ ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, რომ საქმისწარმოება დროებით უნდა შეჩერებულიყო. ადვოკატი სასამართლოს მიმართავდა მაშინ, როდესაც კლიენტის საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდებოდა და მას საქმის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა ექნებოდა. კლიენტის პირობები არ გაუმჯობესდა და მან ადვოკატს 2016 წელს ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა თანხა, ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით, იმ საფუძვლით, რომ კლიენტთან დადებული

[62] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c34c26ffa7.pdf

ხელშეკრულების პირობის თანახმად, საადვოკატო მომსახურების კლიენტის მხრიდან შეწყვეტის შემთხვევაში მას წარმომადგენლობაში გადახდილი თანხა არ დაუბრუნდებოდა.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. თუ ადვოკატს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად აქვს მიღებული, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, მას უფლება აქვს, მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ადვოკატს შეთანხმებით გათვალისწინებული სამუშაო ბოლომდე არ შეუსრულებია. კომისიის პოზიციით, მართალია, საქმისწარმოების გადადებაზე მხარეები 2014 წელს შეთანხმდნენ და ეს ადვოკატის სტრატეგია იყო, მაგრამ კლიენტმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება 2016 წელს ცალმხრივად შეწყვიტა. ადვოკატმა, მიუხედავად სურვილისა, საქმისწარმოება ვერ გააგრძელა. ამდენად, იგი ვალდებული იყო, კლიენტისათვის დაებრუნებინა გადახდილი თანხა, გაწეული მომსახურების საზღაურის გამოქვითვით, ვინაიდან სრულად ვერ შეასრულა დაკისრებული მომსახურება კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო. მან კი ეს არ გააკეთა, რაც კოლეგიის შეფასებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულების დარღვევაა.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დს-მ/7-16 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.[63]

---

[63] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე დს-მ/17-16; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c0b441f6a5.pdf

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის არგუმენტზე, რომელსაც მისი საჩივარი ეფუძნებოდა. კერძოდ, ადვოკატი უთითებდა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლთან. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ადვოკატი კლიენტთან დადებულ ხელშეკრულებაში უთითებდა, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდებოდა მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა მას უკან არ დაუბრუნდებოდა.

სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთან, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი), მათ შორის, წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისთვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. ... განიხილება არა გადახდილი თანხის დაბრუნების, არამედ ადვოკატის მიერ პროფესიული ქცევის სტანდარტის დაცულობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის საგანს შეადგენს ადვოკატის მიერ კორპორაციული წესების დაცვის, სადისციპლინო ნორმის გამოყენების მართლზომიერების და არა ადვოკატისთვის გადახდილი საადვოკატო მომსახურების საფასურის, გადახდილი თანხის დაბრუნების საკითხი. ეს უკანასკნელი განეკუთვნება ▶

საქმე №057/17, 2018 წლის 22 თებერვალი[64]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია

სავარაუდო დარღვევა: საზღაურის სახით მიღებული ფულადი თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით დარჩენილი ფულადი თანხის კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატს ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დაეცვა კლიენტის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიების ეტაპზე. ადვოკატმა გამოწერა ორდერი, რომლის მოქმედების ვადას წარმოადგენდა 2 თვე. ადვოკატს შეთანხმებული საზღაური სრული ოდენობით გადაეცა. შეთანხმებული მომსახურების ფარგლებში, ადვოკატმა კლიენტს შეუდგინა და პროკურატურაში წარადგინა საჩივარი, ასევე ერთხელ შეხვდა აღმასრულებელს. კლიენტმა მომსახურების დაწყებიდან ორ კვირაში უარი უთხრა ადვოკატს მომსახურების გაგრძელებაზე და მოსთხოვა გადაცემული საზღაურის ნაწილის დაბრუნება, ვინაიდან ადვოკატს სრულად არ შეესრულებინა შეთანხმებული მომსახურება. ადვოკატმა თავიდან უარი განაცხადა კლიენტისათვის თანხის ნაწილის დაბრუნებაზე, თუმცა ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის შემდეგ საზღაურის სახით მიღებული 500 (ხუთასი) ლარიდან ჩაურიცხა მას 100 (ასი) ლარი. მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა, კლიენტმა მოითხოვა საქმის გამოკვლევა და ეთიკის კომისიას გადაწყვეტილებისთვის მიმართა.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ გამოუმუშავებელი საზღაურის კლიენტისათვის დაბრუნების წესის შესაძლო დარღვევაზე და გადაწყვიტა, უარი ეთქვა დისციპლინური დევნის აღძვრაზე.

კომისიამ პრაქტიკაზე დაყრდნობით გაიზიარა განმარტება იმის შესახებ, რომ საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. თუ ადვოკატმა შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად მიიღო, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, მას უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უკან დაუბრუნოს კლიენტს.

ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას. რაც შეეხება ადვოკატის ქმედების ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას, აღნიშნული წარმოადგენს სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობის საგანს, სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით.“

[64] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c3892281250b.pdf

კლიენტსა და ადვოკატს სადავოდ არ გაუხდიათ ის ფაქტი, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის შემდეგ ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა 100 (ასი) ლარი.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს, საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა. მხარეები თანხმდებიან, რომ ადვოკატს კლიენტის ინტერესები ორდერით უნდა დაეცვა საქმის გამოძიების ეტაპზე, რისთვისაც მიიღო გარკვეული გასამრჯელო. იმ მოცემულობით, რომ მან კლიენტის ინტერესების დაცვა საგამოძიებო ეტაპზე სრულად ვერ შეძლო - ორდერით განისაზღვრა 2 თვის ვადა და მხარეთა ურთიერთობა შეწყდა 2 კვირაში - ადვოკატმა თავად განსაზღვრა შრომის ღირებულება და მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხიდან კლიენტს დაუბრუნა 100 (ასი) ლარი. ადვოკატმა განახორციელა იურიდიული მოქმედებები, რომლის ფასს ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვერ დაადგენს და, აქედან გამომდინარე, ვერ იმსჯელებს ამ კუთხით ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმის დარღვევაზე.

განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები იძლეოდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს, ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის თანახმად. განსხვავებული აზრის ავტორი იზიარებს მიდგომას, რომ თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, იგი ვალდებულია, კლიენტს დაუბრუნოს საადვოკატო ჰონორარის ნაწილი, გაწეული მომსახურების და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს, მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა, აღნიშნული გაანგარიშება უნდა იყოს შესრულებული სამუშაოს პროპორციული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე. გადაწყვეტილებით დადგენილი მიდგომის გაზიარების შემთხვევაში ადვოკატის მიერ ნებისმიერი თანხის დაბრუნება, თუნდაც სიმბოლურის, ფორმალურად 8.15 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაა, რაც აზრს აცლის თავად მუხლის შინაარსს და მისი მეშვეობით დაცულ პროფესიულ სტანდარტს, რომლის მნიშვნელობას ეთიკის კომისიამ არაერთხელ გაუსვა ხაზი. ამიტომ სწორედ ადვოკატის პროფესიისთვის ნდობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის კომისიის პრაქტიკაში 8.15 მუხლის დანაწესისადმი იყოს შინაარსობრივი და შეფასებითი მიდგომა. სწორედ ეთიკის კომისიის შესაფასებელია, დაიცვა თუ არა ადვოკატმა სავარაუდო და ეკვივალენტური ანაზღაურების მიღების სტანდარტი, რაც კომისიას უფლებამოსილს ხდის იმსჯელოს ადვოკატის მიერ დატოვებული ანაზღაურების ოდენობასა და განხორციელებული მომსახურების ეკვივალენტობაზე.

განსხვავებული აზრის მიხედვით, ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესაფასებლად უნდა განისაზღვროს, რა მოცულობის სამუშაოს გაწევასა და ანაზღაურების გადახდის რა წესზე შეთანხმდნენ მხარეები, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას რა მოცულობის სამუშაო იყო გაწეული და ასევე დადგინდეს, ვის აქვს ზემოაღნიშნულის მტკიცების ტვირთი, კერძოდ, ვინ უნდა ამტკიცოს, თუ რამდენია გაწეული მომსახურების მოცულობის ეკვივალენტური ანაზღაურება. ეთიკის კომისიის ჩამოყალიბებული პრაქტიკით, კლიენტისგან მინდობილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის წარდგენაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება ადვოკატს, იხ. გადაწყვეტილება N007/16, 25.10.2016, პუნქტი 6.15.[65] არ არსებობს არგუმენტი, რომელიც მტკიცების ტვირთის სხვანაირად განაწილების საფუძველს მისცემდა კომისიას კლიენტისთვის თანხის დაბრუნების მოცულობასთან დაკავშირებით.

[65] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 08.02.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4ab641e8fd7.PDF

განსხვავებულ აზრში კომისიის წევრმა განმარტა, რომ ადვოკატმა მიღებული ფიქსირებული ანაზღაურებიდან (500 ლარიდან) დაიტოვა 80% (400 ლარი). ადვოკატის მიერ დატოვებული თანხა ვერ იქნება ეკვივალენტური და კლიენტისთვის ობიექტურად სავარაუდო ოდენობა, რადგან მომსახურება შეწყდა საკმაოდ მალე, მისი დაწყებიდან 2 კვირის ვადაში და სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში ადვოკატის მონაწილეობა შემოიფარგლა ერთი განცხადების დაწერით.

8.15.2 დოკუმენტების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება

საქმე №074/11, 2012 წლის 09 იანვარი[66]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

სავარაუდო დარღვევა: კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეებმა.

ბრალდებულის მშობლებთან ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ადვოკატი იცავდა ბრალდებულის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებისა და სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე. ადვოკატმა კლიენტის მშობლებს მოსთხოვა სააპელაციო სასამართლოში პროცესზე გამოუცხადებლობის გამო დაკისრებული ჯარიმის - 300 ლარის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარს ამბობდა, გადაეცა მათთვის საქმის მასალები: სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, სხდომის ოქმი და გაეგრძელებინა ბრალდებულის დაცვა. მშობლებმა მიიჩნიეს, რომ ადვოკატის პროცესზე გამოუცხადებლობა არ იყო გამოწვეული მათი ბრალეულობით და უარი უთხრეს ადვოკატს ჯარიმის გადახდაზე, შესაბამისად, ადვოკატმაც არ გადასცა მათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია და აღარ მიაწოდა ინფორმაცია, რომ შეწყვიტა ბრალდებულის დაცვა. იმის გამო, რომ ადვოკატმა ხელშეკრულების მხარეს დროულად არ გადასცა დოკუმენტები და არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის დადგენით წყვეტდა კლიენტის დაცვას, მათ შეექმნათ ვარაუდი, რომ იგი უზენაეს სასამართლოშიც გაუწევდა საადვოკატო მომსახურებას. შედეგად, ბრალდებულის მშობლებმა ვერ მოახერხეს მიემართათ სხვა ადვოკატისათვის საკასაციო საჩივრის შეტანის მიზნით.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მოცემულ გადაწყვეტილებაში განმარტა, თუ რა ეთიკური ვალდებულებები აქვს ადვოკატს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მხარესთან. ასევე იმსჯელა და დაადგინა დარღვევა ადვოკატის პროფესიულ ქცევაში იმ საფუძვლით, რომ მან არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტსა და ხელშემკვრელ მხარეს სისხლის სამართლის საქმეზე მომსახურების შეწყვეტის შესახებ და არ გადასცა დოკუმენტები.

კომისიის განმარტებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41–ე მუხლის თანახმად, „ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან,

[66] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4722373507e.pdf

ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. ... ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახლო ნათესავად ითვლება მშობელი.

ეთიკის კომისია დაეყრდნო 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებას (დისციპლინური საქმე N029/11): „კლიენტი წარმოადგენს პირს, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. როცა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას დებს ადვოკატთან, აღნიშნული პირი ხდება ხელშემკვრელი მხარე...“[67]

კომისიის პოზიციით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკური სტანდარტებიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულებები კლიენტის მიმართ - მაგალითად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება - ვრცელდება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის მიმართაც, რომელიც კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირია და მისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე კლიენტი თანახმაა. მოცემულ შემთხვევაში საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდნენ ბრალდებულის მშობლები და ადვოკატს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მათ მიმართაც გააჩნდა.

კომისიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის ვალდებულებაზე, დროულად მიეწოდებინა საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია - ამ შემთხვევაში ეს პირდაპირ უკავშირდებოდა კლიენტის მიერ საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას. კომისიამ განმარტა, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს არა მხოლოდ ცნობების მიწოდებას საქმის შესახებ, არამედ საქმესთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის მიწოდების ვალდებულებასაც.

ადვოკატმა თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს არ გადასცა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და სხდომის ოქმი. კომისიის შეფასებით, ადვოკატს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გირავნობის უფლება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილ დოკუმენტებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის შესაბამისად, ესეც იმ პირობით, რომ დოკუმენტების დაკავებით კლიენტს არ მიადგება მნიშვნელოვანი ზიანი და გირავნობის უფლების გამოყენებაზე კლიენტისგან მიღებულია წინასწარი წერილობითი თანხმობა, ამავე კოდექსის 713-ე მუხლის შესაბამისად, თუ ურთიერთობა რეგულირდება დავალების წესით. ამასთან, აღნიშნული უფლება ვერ გავრცელდება ზოგადად ყველა სახის დოკუმენტზე, რომელიც საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის განკარგულებაში ექცევა, როგორიცაა სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება, სხდომის ოქმი და სხვა.

ეთიკის კომისიამ ასევე იმსჯელა ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტაზე. კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა იყოს უპირობო, ნათელი და დროული, რომ არ დაირღვეს უწყვეტი დაცვის პრინციპი ან კლიენტს არ დარჩეს იმედი, რომ ადვოკატი გააგრძელებს მის მომსახურებას და მას არ დასჭირდება სხვა ადვოკატის აყვანა. განხილულ შემთხვევაში ადვოკატი მზად იყო გაეგრძელებინა კლიენტის დაცვა, თუ მისი მშობლები სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაკისრებული ჯარიმის თანხას გადაუხდიდნენ. კომისიის შეფასებით, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გარეშე, პირობის დათქმით ხელშეკრულების გაუქმება ვერ ჩაითვლება სათანადოდ. ეთიკის კომისიამ ადვოკატის კომუნიკაცია შეაფასა, როგორც კლიენტისთვის დამატებითი ვადის მიცემა დაცვის შეწყვეტამდე.

[67] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 https://gba.ge/uploads/publications/5c4c47fbd8450.pdf

კლიენტს აღკვეთილი ჰქონდა თავისუფლება, შესაბამისად, მას ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა, გავლენა მოეხდინა მშობლებზე ადვოკატისთვის თანხის გადახდის კუთხით, ან თვითონ გადაეხადა თანხა. გარდა ამისა, კლიენტს ურთულდებოდა ინფორმაციის მიღებაც კი ადვოკატისთვის ჯარიმის გადახდის ფაქტზე, თუმცა, ადვოკატმა ის დააიმედა, რომ ასეთი გარემოების შემთხვევაში, ადვოკატი გააგრძელებდა დაცვას. ამ მომენტისათვის საკმარისი დრო იყო დარჩენილი საკასაციო საჩივრის შეტანისთვის. თუმცა, როდესაც ადვოკატისთვის ნათელი გახდა, რომ მას არ უხდიდნენ ჯარიმის თანხას, ხოლო საკასაციო ვადა იწურებოდა, იგი აღარ შეხვდა კლიენტს და არ აცნობა უპირობოდ დაცვის შეწყვეტის შესახებ. ეთიკის კომისიამ აღნიშნული შეფასებისას გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ადვოკატმა დაცვის შეწყვეტისას არ შეუწყო ხელი კლიენტს, რომ მისი წარმომადგენლობა სხვა ადვოკატს გაეგრძელებინა, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი კლიენტის ნდობით აღჭურვილ პირებს არ გადასცა გასასაჩივრებელი სასამართლო გადაწყვეტილება.

კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია, რომ ადვოკატის უფლება–მოვალეობები სრულდება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული მოქმედების შესრულებისთანავე და მას არ ევალება კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია მისი, როგორც ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. კომისიის შეფასებით, ადვოკატს კლიენტისთვის და ხელშეკრულების მხარისთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მომსახურების შეწყვეტის შესახებ. [68]

მუხლი 9. ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

1. ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

2. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს ან შეხვდეს მოსამართლეს კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან შეთანხმების გარეშე, გარდა საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევებისა.

3. ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება.

4. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟსა და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (08.12.2012).

---

[68] ეთიკის კომისიამ 2014 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე N103/13 განმარტა, რომ: „კლიენტისათვის დოკუმენტის დაბრუნებაზე უარს არ გააჩნია მიზეზი, რადგან ისინი და მასში მოცემული ინფორმაცია კლიენტის საკითხია და მას ეკუთვნის, დოკუმენტები კლიენტის მიერ მოწოდებული, ადვოკატის მიერ მოპოვებული ან ადვოკატის მიერ დამუშავებული საკითხის იურიდიული სახე ან ფორმაა, რომლის დანიშნულება ან ღირებულება კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484add02177.pdf

ეთიკის კომისიამ 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე N065/14 განმარტა, რომ კლიენტის კანონიერი მითითებების შესრულებისა და კლიენტისთვის სასამართლოდან მიღებული დოკუმენტების დაბრუნების ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი, რომ კოდექსის მოცემული მოთხოვნები შეასრულა ადვოკატმა, ეკისრება ადვოკატს.

9.1.1 სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება

საქმე №010/10, 2010 წლის 22 ივლისი [69]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

სასამართლო პროცესზე ადვოკატმა რამდენჯერმე მოითხოვა სასამართლოს სხდომის ოქმში პრეტენ-ზიის დაფიქსირება მოსამართლის ქმედებათა გამო. პროცესის მსვლელობისას მოსამართლემ ადვო-კატს მისცა შენიშვნები, ეს უკანასკნელი კი არ ემორჩილებოდა მოსამართლის მითითებებს და იგი მანდატურის დახმარებით გააძევეს სხდომის დარბაზიდან.

ადვოკატის განმარტებით, სასამართლოზე მისი შენიშვნები მიზნად ისახავდა უშუალოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვას და მისი მიზანი არ ყოფილა სასამართლოს მიმართ უპატივცემუ-ლობის გამოხატვა.

სასამართლო დარბაზიდან გაძევების შემდეგ, ადვოკატმა არ გაასაჩივრა სასამართლო სხდომის ოქმი.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა არ დაიცვა სასამართლო დარბაზში წესრიგი და არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს. ადვოკატის მსგავსი ქმედებები მაშინაც კი არ არის გამართლებული, როდესაც იგი ადვოკატისათვის მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელებას ისახავს მიზნად. კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების განხორციელება არ ამართლებს ადვოკატის მხრიდან სასამართლო დარბაზში მოსამართლის მითითებისადმი დაუმორჩილებლობას. ადვოკატი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის თაობაზე და თუ გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია, გამოიყენოს კანონით დადგენილი საპროცესო საშუალებები (გადაწყვეტილების გასაჩივრების, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების და სხვა კანონიერი მექანიზმები).

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. კომისიის აზრით, კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები, მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. კლიენტის ინტერესი არ არის აბსოლუტური და არ გულისხმობს მისი დაცვისას კანონის მოთხოვნათა

[69] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c3f3e2027e.pdf

უგულებელყოფას ადვოკატის მხრიდან, პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. კომისიის პოზიციით, სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს მითითებებისადმი დაუმორჩილებლობას ვერ გაამართლებს კლიენტის ინტერესების დაცვა, თუნდაც ადვოკატი დარწმუნებული იყოს, რომ მისი ქმედება შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობასთან. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვაც ასევე მისი ვალდებულებაა.

საქმე №158/13, 2014 წლის 21 ოქტომბერი[70]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მიმდინარე სასამართლო პროცესზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისა და გადაწყვეტილების შესახებ სასამართლოს განმარტებისას, მოსარჩელის ადვოკატმა სხდომაზე დამსწრე სხვა პირებთან ერთად უნებართვოდ დატოვა სხდომის დარბაზი, ამასთან, სასამართლოს შემადგენლობას მიმართა სიტყვებით - „როგორ არ გრცხვენიათ“, „თქვენი დროც მოვა“. ადვოკატმა მარჯვენა ხელით, საჩვენებელი თითის ჟესტიკულაციით მოახდინა ამ სიტყვათა დემონსტრირება. ხელი სხდომის მოსამართლეთა კათედ-რისკენ მიმართა.

აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატი დაჯარიმდა სასამართლოს უპატივცემულობისა და მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარე) განკარგულების შეუსრულებლობის გამო.

ადვოკატის დისციპლინური წარმოებისას გაკეთებული განმარტებით, საქმე მოსამართლეთა აღნიშნულ კოლეგიას არ უნდა განეხილა, ვინაიდან მოსამართლეები საქმისთვის სათანადოდ არ იყვნენ მომზადებულნი. სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადებისას სხდომის დარბაზში დამსწრეთა შორის კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშვა, რის გამოც მან სცადა დამსწრეთა დამშვიდება და მოსამართლემ აღნიშნულის გამო დააჯარიმა იგი. ადვოკატის განმარტებით, მას დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის დარბაზში არ გაუგია და არც შესაბამისი დოკუმენტი ჩაბარებია. ამ არეულობაში მისთვის უცნობმა პიროვნებამ იგი კარისკენ მისწია და ხალხის ტალღამ გარეთ გამოიყვანა. ადვოკატის განცხადებით, მას მოსამართლისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ყველამ ჩათვალა, რომ პროცესი დასრულებული იყო, ადვოკატიც ადგა და გავიდა დარბაზიდან. მოსამართლე კვლავ განაგრძობდა განმარტებებს, თუმცა არავინ აღარ უსმენდა. მოსამართლეს შეეძლო განემარტა დამსწრეთათვის, რომ სხდომა გრძელდებოდა, თუმცა ეს არ გაუკეთებია.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა პატივი არ სცა სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს, რითაც მან დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი, ასევე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ” ქვეპუნქტები.

---

[70] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4720732e191.pdf

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებასა და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას, ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

კომისიის შეფასებით, ადვოკატის სასამართლო პროცესზე მოქმედება, ასევე რეპლიკა, როდესაც იგი დგება სასამართლო პროცესის დასრულებამდე და მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - „როგორ არ გრცხვენიათ“, „თქვენი დროც მოვა“ მუქარანარევ გაფრთხილებად აღიქმება. ვიდეო ჩანაწერში კი ცხადად, თვალნათლივ ჩანდა, რომ ამ სიტყვებს ადვოკატი მუქარისთვის დამახასიათებელ ჟესტიკულაციას (თითის ქნევას) ურთავს და დემონსტრაციულად გადის.

კომისიის განმარტებით, ადვოკატის სასამართლო სხდომამდე მდგომარეობა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რასაც ის აღწერს, ვერ იქნება საპატიო მიზეზი მისი პროფესიული უმართლობისთვის. პროფესიული ქცევა რეგულირებულია როგორც სასამართლოში, ისე სასამართლოს გარე ურთიერთობებში და ხშირად არსებობს პროფესიული ქცევის წესების დარღვევის საფრთხე.

კომისიის შეფასებით, ზემოთ ნახსენებ დროს ადვოკატის სიტყვიერი და ფიზიკური მოქმედებები ეწინააღმდეგებოდა ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, რომელიც იცავს წესრიგს სასამართლო წარმოებისას და განსაზღვრავს ადვოკატის პროფესიულ დამოკიდებულებას სასამართლოსადმი. აღნიშნულს ასევე არეგულირებს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომლებიც მოითხოვს ადვოკატის პატივისცემას სასამართლოში მოქმედი წესებისადმი. ეს გულისხმობს ასევე, რომ ადვოკატმა თავისი მოქმედებები და ემოცია უნდა გააკონტროლოს სხდომაზე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების პროცესში, რასაც სხვა პირებთან ერთად ხელი არ უნდა შეუშალოს. ადვოკატმა არ უნდა დატოვოს სასამართლო დარბაზი სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე, მაშინაც კი, როდესაც გადაწყვეტილება ცხადდება. ადვოკატს შეუძლია არ დაესწროს მოცემულ სხდომას, ანუ არ შევიდეს სასამართლოს სხდომის დარბაზში.

კომისიამ გაითვალისწინა ადვოკატის დამოკიდებულება პროფესიული ქცევისადმი სასამართლოში და არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ მოსამართლემ უნდა განაცხადოს სხდომის გაგრძელების შესახებ, თუ მხარეები და დამსწრე პირები სხდომის დარბაზს ტოვებენ.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. სასამართლომ 2015 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით, საქმე Nდს-მ/3-15 კომისიის გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება გაიზიარა, თუმცა, არ დაეთანხმა კომისიას ადვოკატისთვის დაკისრებულ პასუხისმგებლობის ფორმაში და სახდელის ნაცვლად ადვოკატის მიმართ ზემოქმედების ღონისძიება გამოიყენა.[71]

[71] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c08271112a.pdf

9.1.2 პროფესიული კრიტიკის ფარგლები

საქმე №2317/12/06, 2006 წლის 03 დეკემბერი[72]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარი.

სავარაუდო დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

სასამართლოს თავმჯდომარის მოსაზრებით, გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებები შეურაცხყოფდა სასამართლო ხელისუფლებას და პირდაპირი, მოურიდებელი იერიში მიჰქონდა სასამართლო სისტემაზე. ინტერვიუში რამდენიმე ადვოკატმა შემდეგი სახის მოსაზრებები გამოთქვა: „ხელისუფლებისა და პროკურატურის დაკვეთებს მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებს. ერთ-ერთ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო არაობიექტური, მიკერძოებული, ხელისუფლების დაკვეთით შესრულებული გადაწყვეტილება და უდანაშაულო ადამიანი ციხეში გაუშვა. ასეთი მიდგომა ყოვლად გაუმართლებელია პროფესიულ საქმიანობაში"; „ზოგიერთი მოსამართლე გასაჭირის დროს პროკურატურის ფუნქციასაც ითავსებს და თავად ცდილობს განსასჯელთა ბრალეულობის დამტკიცებას. ყველა სიკეთესთან ერთად, მოსამართლეთა არაობიექტურობის მიზეზი მათი არაპროფესიონალიზმიცაა;" „მოსამართლეთა 99% დაკვეთებს ასრულებს: ზოგი ხელისუფლების და ზოგიც პროკურატურის;" „თითქოს ხელისუფლების შეკვეთების შესრულებით, ყოველთვის გამოირჩეოდნენ ესა თუ ის მოსამართლეები და ახლაც გამოირჩევიან. ეს მოსამართლეები არაკანონიერ, ტენდენციურ გადაწყვეტილებებს იღებენ."

ადვოკატების მტკიცებით, მათ თავიანთი პოზიცია გამოხატეს არსებული სისტემის გამოსწორების მიზნით და არ განიზრახავდნენ სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის განმარტებით, სასამართლო სისტემა ხელისუფლების ერთ-ერთი რგოლია, რომელიც თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე ექცევა საჯარო ინტერესების სფეროში. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დატვირთვის გამო, მას განსაკუთრებული თმენის ვალდებულება აქვს საზოგადოების წევრებისა და, მათ შორის, ადვოკატების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. საზოგადოებრივი აზრის შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი, რაც არ შეიძლება იყოს ცალკეული მოსამართლის გრძნობების შეურაცხყოფა. სასამართლო შეზღუდვას საფუძვლად შეიძლება დაედოს სასამართლო სისტემის დისკრედიტაცია განხრაზ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით.

ეთიკის კომისიამ ადვოკატების მოსაზრებები შეაფასა, როგორც სასამართლოს მძაფრი და ემოციური კრიტიკა, რაც უკავშირდებოდა კონკრეტული საქმის გარემოებებს და მიმართული იყო კლიენტის ინტერესების დაცვისკენ. ვინაიდან ადვოკატების ქმედებაში არ შეიმჩნეოდა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა, კომისიამ ამგვარი მოქმედება შეაფასა სასამართლოს მართლზომიერ კრიტიკად, რომელიც არ გასცდა პროცესუალური პაექრობის ფარგლებს, მიზნად არ ისახავდა სასამართლოს (მოსამართლის) უპატივცემულობასა და ემსახურებოდა კლიენტის ინტერესებს. ეთიკის კომისიამ

[72] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 https://gba.ge/pdf/5c5c2a0e5b09b.pdf/2317-12-06%20%2003.12.2006%20gamartleba.pdf

შეაფასა სწორედ ადვოკატის მიერ გამოთქმული კრიტიკის ზომიერების ფარგლები და მისი გამოხატვის ფორმა, რაც არ ჩაითვალა სასამართლოს მიმართ ადვოკატის ქცევის სტანდარტის დარღვევად.

საქმე №076/10, 2010 წლის 29 ოქტომბერი[73]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

სავარაუდო დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

ადვოკატმა მოსამართლეს წერილობითი ფორმით მიმართა აცილების შუამდგომლობით. მასში გამოყენებული გარკვეული ფრაზები მოსამართლემ ადვოკატის მხრიდან მის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვად მიიჩნია. კერძოდ, მოსამართლის აცილების შუამდგომლობაში გამოყენებული იყო შემდეგი სახის მიმართვები: „თქვენ არღვევთ ადამიანის უფლებების ფიცს და სასამართლო გგონიათ სავაჭრო დაწესებულება“, „არ გაითვალისწინეთ მხარის მატერიალური მდგომარეობა და ყველა თქვენსავით მდიდარი გგონიათ,“ „მიიღეთ უუნარო გადაწყვეტილება და დაარღვიეთ კანონი განზრახ, საზოგადოებაში დამკვიდრებული რაღაც საცოდავი მოსაზრებების გამო.“ შუამდგომლობის დასკვნით ნაწილში ეწერა: „მსურს გაითვალისწინოთ, რომ სამი წელია სისხლის სამართლის სპეციალობით ვეწევი საადვოკატო საქმიანობას და მსგავსი მასშტაბის უსამართლო და დარდიმანდული დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ არ მახსოვს არცერთი მოსამართლისგან.“

ადვოკატის განმარტებით, შუამდგომლობის საფუძველი გახდა სასამართლოს განჩინება, რომლითაც სარჩელი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის აღსრულების შეჩერების შესახებ განუხილველი დარჩა. წარდგენილი შუამდგომლობის მიზანი არ ყოფილა სასამართლო ხელისუფლებისა და კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფა; მოსამართლის კრიტიკა გამომდინარეობდა მისი მარწმუნებლის ინტერესებიდან, რადგან გამოტანილი განჩინება მისი კლიენტისათვის ფინანსურად ძალიან მძიმე იყო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მის კლიენტს არ ჰქონდა ჯარიმის გადახდის ან განჩინების გასაჩივრების ფინანსური შესაძლებლობა, ხოლო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ფინანასურ სირთულეებთან.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ არ დააკმაყოფილა სასამართლოს მიმართვა და არ დაიწყო დევნა ადვოკატის მიმართ. კომისიის განმარტებით, ადვოკატის შუამდგომლობაში მოცემული მიმართვები - ადვოკატის პოზიცია მოსამართლის განხორციელებული სამართალწარმოების მიმართ და ამ სამართალწარმოების საფუძველზე ჩამოყალიბებული შეხედულება უშუალოდ მოსამართლეზე - ხვდებოდა ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და არ არღვევდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმად, ადვოკატმა პატივი უნდა სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს... კომისიის შეფასებით, ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების“ გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებათა დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს,

[73] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c43dfc6c4d.pdf

მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული ისინი და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი. მით უფრო, რომ მოსამართლეებს, როგორც საჯარო მოხელეებს, გააჩნიათ „თმენის ვალდებულება“ მათ მიმართ გამოთქმული შეხედულებების მიმართ.

კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, თუმცა, აღნიშნული ნორმა არ გულისხმობს ადვოკატისათვის შეუზღუდავი დაცვის გარანტიის მინიჭებას. ადვოკატისათვის კანონმდებლობით მინიჭებული იმუნიტეტი ექვემდებარება შეზღუდვას იმ შემთხვევაში, თუ მისი განცხადებები შეურაცხმყოფელია სასამართლო ხელისუფლების ან მოსამართლისადმი, ან სხვაგვარად აყენებს ზიანს სამართალწარმოების ინტერესს.

კომისიამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება ემსახურებოდა სამართალწარმოებაში არსებული პრობლემების აქცენტირებას და კლიენტის ინტერესების დაცვას, კონკრეტული ადვოკატის შეხედულების შესაბამისად. ამდენად, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზიანს მიაყენებდა მის ინტერესს, თავისუფლად მიეღო მონაწილეობა სამართალწარმოების პროცესში და გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები შესაძლო ხარვეზების თაობაზე, რასაც შესაბამისად ექნებოდა „შემზღუდველი ეფექტი“. მართალია, შუამდგომლობა შეიცავდა მწვავე და კრიტიკულ განცხადებებს, რაც ეგებ არც მოეწონათ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს და მიუღებლად მიიჩნიეს, მაგრამ მათი მიზანი არ ყოფილა მოსამართლის შეურაცხყოფა და მისი ღირსების შელახვა. ადვოკატის მიერ შუამდგომლობაში გაკეთებული განცხადებები სარგებლობდა სამართლებრივი დაცვით, გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე.[74]

საქმე №030/14, 2014 წლის 20 აპრილი[75]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

სავარაუდო დარღვევა: სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას მიმართა სასამართლომ.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში, ბრალდებულთა ადვოკატმა სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის შესახებ განაცხადა: „რაც შეეხება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას, ეს არის არა მარტო უსამართლო, არამედ უსინდისო გადაწყვეტილება და მე ვიტყოდი, რომ სასამართლომ ამით ხელი დააფარა იმ ბოროტმოქმედებს, რომლებმაც ჩადეს ეს იარაღი.“

სასამართლომ მომართვაში აღნიშნა, რომ ადვოკატის კომენტარი შეურაცხმყოფელია, ემსახურება სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვას და იწვევს მოსამართლის დისკრედიტაციას. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულს ამძაფრებს ის, რომ ადვოკატი ცნობილი პიროვნებაა და მის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაკეთებული შეფასება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ადვოკატის განცხადებები სცილდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. ადვოკატი არ დაელოდა

[74] ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს შემდეგ გადაწყვეტილებებში: Handyside v UK (განაცხადი n5493/72; 1976 წლის 7 დეკემბერი); Skalka v Poland (განაცხადი n43425/98; 2003 წლის 27 აგვისტო); Kyprianou V Cyprus (განაცხადი n73797/01, 2005 წლის 15 დეკემბერი).

[75] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c435907775.pdf

დასაბუთებული განაჩენის მიღებას, გააკეთა შეურაცხმყოფელი განცხადებები და მოსამართლე დანაშაულის თანამონაწილედ წარმოაჩინა. ადვოკატს ჰქონდა საშუალება, გამოეხატა უკმაყოფილება სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ფორმით.

ადვოკატის განმარტებით, მან განცხადება გააკეთა იმის გამო, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ შეუსაბამო გადაწყვეტილება მიიღო, მოსამართლემ ბრალდებულებს შეუზღუდა ზარის განხორციელების უფლება იმ ოდენობით, რაც მათ ეკუთვნოდათ, მიზეზად კი მათი უცხო ქვეყნის მოქალაქეობა და მძიმე დანაშაულში ბრალდება დაასახელა. ეს არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას. ადვოკატის განმარტებით, სიტყვა „უსინდისო“ მიმართული იყო განაჩენის მიმართ.

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიამ ადვოკატის მოქმედება ეთიკურად შეაფასა.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირის ვალდებულებაა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა. ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

კომისიის შეფასებით, ადვოკატის კომენტარი ეფუძნებოდა მის სუბიექტურ შეფასებას და მოსაზრებას სისხლის სამართლის საქმეზე. კომენტარი მიზნად არ ისახავდა სასამართლოს შეურაცხყოფას. ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის ფარგლებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებები მიაწოდა. ადვოკატმა პოზიცია დააფიქსირა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად. ეს გახლდათ შეფასებითი მსჯელობა კონკრეტულ საკითხზე და მისი შინაარსის სისწორე/მცდარობა მთლიანად დამოკიდებული იყო გამონათქვამების ავტორის შეხედულებებზე.

9.1.3 სასამართლო შენობის გარეთ ადვოკატის ქცევა

საქმე №075/11, 2011 წლის 24 იანვარი[76]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემა.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა პროცესის მონაწილემ.

სისხლის სამართლის საქმეზე პროცესის დასრულების შემდეგ, სასამართლოს ეზოში დაზარალებულსა და ადვოკატს შორის მოხდა კონფლიქტი. კერძოდ, დამდგარი განაჩენით გაბრაზებულმა დაზარალებულმა უკმაყოფილება გამოთქვა საქმის განხილვის შედეგით, რასაც ადვოკატმა სტვენით უპასუხა. ადვოკატს დაზარალებულის თანმხლებმა პირებმა შენიშვნა მისცეს, ხოლო ადვოკატმა საპასუხოდ დაზარალებულ მხარეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

[76] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c4ebcbad090c.pdf

სამართლებრივი შეფასება
ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის ქმედებები სასამართლო დარბაზში, თუ მის გარეთ, დაკავშირებული მის პროფესიულ საქმიანობასთან, უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ქცევის სტანდარტებს.

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარეს.

კომისიამ მიიჩნია, რომ პროცესის მონაწილისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს და არღვევს ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. ამგვარი ქმედება ეწინააღმდეგება ადვოკატის ვალდებულებას, ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

9.1.4 კომუნიკაციის სტანდარტი სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებთან

საქმე №114/13, 2014 წლის 02 ივნისი[77]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: პროცესის მონაწილის პატივისცემა.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა პროცესის მონაწილემ - მოწინააღმდეგე მხარემ.

ადვოკატმა სასამართლოში საქმის განხილვისას პროცესუალურ მოწინააღმდეგეს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „როდესაც ნარკოტიკის გაკეთებას დავიწყებ, მოვალ და ნარკოტიკს შენგან ვიყიდი“.

ადვოკატის განცხადებით, მომჩივანი 2006-2008 წლებში ნასამართლევი იყო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 თუ მე-3 ნაწილებით და მან აღნიშნული ფრაზით პროცესუალურ მოწინააღმდეგეს მას შემდეგ მიმართა, რაც მან პროცესის მსვლელობისას თავად უწოდა ადვოკატს არაკაცი.

სამართლებრივი შეფასება
კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესზე ნათქვამი სიტყვები: „როდესაც ნარკოტიკის გაკეთებას დავიწყებ, მოვალ და ნარკოტიკს შენგან ვიყიდი“, შეურაცხმყოფელია და ლახავს პროცესის მონაწილის - მოპასუხე მხარის პირად ღირსებას. კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტი განცხადების გაკეთების საფუძველზე. პროცესის მონაწილე პირის მხრიდან ადვოკატის მისამართით გამოხატული აგრესია და შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენება არ აძლევს ადვოკატს უფლებას, ასევე შეურაცხმყოფელი განცხადებით უპასუხოს აღნიშნულს. თავისუფალი პროფესიის მიუხედავად, ადვოკატს გარკვეული თმენის ვალდებულება აკისრია.

კომისიის განმარტებით, ადვოკატის მიერ მოწინააღმდეგე მხარის სიტყვიერი შეურაცხყოფა სცდება პროფესიული ქცევის ფარგლებს. ადოკატმა ნებისმიერ მდგომარეობაში უნდა შეინარჩუნოს პრო-

[77] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c484af833479.pdf

ფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება მის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. კომისიის შეფასებით, ის საკითხები, რომლებიც პირის პირად ცხოვრებას ეხება და კავშირში არ არის საქმესთან, არ უნდა გახდეს ადვოკატის მხრიდან მართლმსაჯულებისა და მხარის შეურაცხყოფის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მხარის ნარკოდამოკიდებულებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მიმდინარე დავასთან და ადვოკატს შეეძლო თავისი კლიენტის ინტერესები კანონიერი გზით დაეცვა. ადვოკატის განცხადება არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და, შესაბამისად, არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.[78]

9.4 ეთიკის კომისიაში დისციპლინური წარმოებისას ქცევის სტანდარტი

საქმე №083/14, 2017 წლის 02 თებერვალი[79]

გადაწყვეტილების მიმღები: ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობა.

დარღვევა: ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევა, ეთიკის კომისიის უპატივცემულობა.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიის წევრმა.

2014 წლის 07 ივლისს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე განიხილებოდა კლიენტის მიერ ადვოკატის წინააღმდეგ შემოტანილი საჩივარი. ეთიკის კომისიაში დისციპლინური სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატმა საჩივრის ავტორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა - შეაგინა. ადვოკატის ქცევას წინ უძღოდა საჩივრის ავტორის მხრიდან ადვოკატის დაწყევლა. სხდომაზე შექმნილი კონფლიქტური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ შეწყვიტა შეწყვიტა სხდომა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია ეთიკის კომისიაში ქცევის წესები და კოლეგიის მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა, ვინაიდან მის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური წარმოების ფარგლებში განხილვის კოლეგიის სხდომაზე ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილები.

---

[78] ეთიკის კომისიამ 2014 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე 043/14 განმარტა, რომ ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებსა თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, სხვა პირთა მსგავსად, ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს - როგორც პროფესიის წარმომადგენელს - ავალდებულებს, ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც მისი კლიენტის წინააღმდეგ იხილება საქმე სასამართლოსა თუ სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოში. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება. ეთიკურ ვალდებულებათა მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის განმტკიცებაც. კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ადვოკატის მიერ პირის მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რა შეხედულება ჰქონდა ადვოკატის კლიენტს საჩივრის ავტორისადმი, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა პროფესიული ღირსების შენარჩუნება და თავის შეკავება მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4720d8e6405.pdf

[79] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c58291f1a683.pdf/5c58291f1a683.pdf

ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი. ადვოკატი ვალდებულია არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს სცეს პატივი, არამედ იგივე ვალდებულება აქვს ადვოკატს საქმის განხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც. საქმის განმხილველი ორგანო მოცემულ შემთხვევაში გახლდათ ეთიკის კომისია, რომელიც როგორც კვაზი სასამართლო, დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებდა.

ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევა და კოლეგიისადმი უპატივცემულობა არღვევს როგორც საჯარო წესრიგს, ასევე პროფესიულ სტანდარტსა და ადვოკატის პროფესიისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას. ეთიკის კომისია არის დამოუკიდებელი, თვითმმართველი დისციპლინური დევნის ორგანო, რომელსაც ადვოკატთა კორპუსი აკომპლექტებს და მისი საქმიანობის ამოცანაა საადვოკატო პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება და ადვოკატთა მხრიდან აღნიშნული ქცევის წესების დაცვაზე კონტროლი. საქმის განხილვით ეთიკის კომისია ეხმარება ადვოკატს, შეაფასოს თავისი ქმედებები პროფესიული ქცევის სტანდარტების კუთხით და გაარკვიოს კლიენტის პრეტენზიათა საფუძვლიანობა, ხოლო ეთიკის კომისიის მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა ადვოკატმა სამომავლო მოქმედებებისთვის.

კომისიის შეფასებით, დისციპლინური წარმოება სპეციფიკურია იმ მხრივ, რომ წარმოების დაწყების საფუძველი ხდება კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მომსახურების მიმართ. ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად, საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ემოციური ფონი დაძაბულია. მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე, ადვოკატს ევალება, პროფესიის სახე ღირსეულად წარმოაჩინოს ყველა ვითარებაში და საკუთარი ინტერესები დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის (ყოფილი კლიენტის) უფლებების შელახვის გარეშე. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფორმების შერჩევას, რომ პროფესიული ქცევის წესები არ დაირღვეს.

ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იგი არაეთიკურად მოიქცა იმ სხდომაზე, რომელზეც კომისიას მისი სხვა მოქმედებათა ეთიკურობა უნდა შეეფასებინა. ადვოკატის თავშეუკავებელი ქცევა ეთიკის კომისიის წინაშე ცალსახად ადასტურებდა მის გაუწონასწორებლობასა და უპატივცემულობას არა მარტო კლიენტის, არამედ ეთიკის კომისიის მიმართ.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-17, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ადვოკატის ეთიკური გადაცდომა, თუმცა, მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის ნაწილში შეიცვალა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და ადვოკატს, 12 თვის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ნაცვლად, სახდელის სახით გაფრთხილება განესაზღვრა.[80]

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/3-17; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c0ecdbc63c.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „ადვოკატს აქვს თმენის ვალდებულება და იგი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები), დაიცვას და პატივი სცეს მოქმედ ქცევის წესებს, ამასთან, ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟსა და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი).“

საქმე №014/13, 2013 წლის 26 ივლისი[81]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევა, მოწინააღმდეგე მხარის პატივისცემის ვალდებულება.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას, კლიენტის საჩივრის საპასუხო წერილობით განმარტებაში, ასევე საქმის ზეპირი განხილვისას ადვოკატმა კლიენტი შემდეგი ფრაზით მოიხსენია: „საჩივრის ავტორი არის მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი."

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა არ დაიცვა ეთიკის კომისიაში ქცევის წესები და უპატივცემულობა გამოხატა ყოფილი კლიენტის, დისციპლინური წარმოების ფარგლებში მოწინააღმდეგე მხარის მიმართ.

კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით, რომელიც განმარტავს, რომ „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟსა და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას." შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დაცვა ასევე სავალდებულოა ადვოკატისათვის სასამართლოს მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელ ორგანოში საქმისწარმოებისას. ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა შეიძლება ეთიკის კომისიის შეურაცხყოფად შეფასდეს იმის ანალოგიურად, როგორც სასამართლოში შეუფერებელი ქცევა და მხარის შეურაცხყოფა მიიჩნევა სასამართლოს შეურაცხყოფად და სწორედ ამიტომ იღებს სასამართლო შესაბამის ზომებს წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ.[82]

კომისიამ მიიჩნია, რომ დისციპლინური წარმოების პროცესში მას უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა ადვოკატის მხრიდან მოწინააღმდეგე მხარის მიმართ გამოყენებული ფრაზები. კომისიის შეფასებით, ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოდგენილ განმარტებაში და საქმის ზეპირი განხილვისას საჩივრის ავტორის მოხსენიება შემდეგი სიტყვებით: „მატყუარა, ინტრიგანი, უნამუსო ქალი, უწიგნური და ავანტიურისტი" არის შეურაცხმყოფელი, რადგან ლახავს ადამიანის ღირსებას. წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენისას ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიციის დაფიქსირება აღნიშნული შეფასების გარეშე, ასევე საჩივრის ავტორის პრეტენზიებზე პასუხი სხვა ფორმით, მით უმეტეს, რომ მისი მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ადვოკატს არ სჭირდებოდა დაცვის პოზიციის წარმოსადგენად და დასასაბუთებლად.

---

[81] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c50738c086.pdf

[82] ეთიკის კომისიამ გაიზიარა 2012 წლის 03 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე №025/12 გაკეთებული განმარტება, რომ: „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, რო-გორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დის-ციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია, არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის ავტორი პოზიციას ემოციურად გამოხატავს."

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c4837467feb9.pdf

მუხლი 10. ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

1. ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.

2. პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა, დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

3. ადვოკატმა სხვა ადვოკატისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან არ უნდა მოითხოვოს ან მიიღოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია კლიენტისათვის სხვა ადვოკატის რეკომენდირების ან რჩევისათვის.

4. ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება (08.12.2012).

10.1.1 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები

საქმე №062/17, 2017 წლის 17 ოქტომბერი[83]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

ადვოკატმა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად შეაფასა პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატის მიერ 2017 წლის 23 მაისის სააპელაციო შესაგებელში მის მიმართ გამოთქმული შემდეგი ფრაზები: „აპელანტის წარმომადგენელი ზედმეტად ვრცლად და ნაკლებად შინაარსობრივად საუბრობს“; „მსგავსი დაბალი სტანდარტის მსჯელობას ძალზედ იშვიათად თუ შევხვდებით სასამართლო პრაქტიკაში“; „ბევრჯერ ვცადე მოწინააღმდეგე მხარისთვის გასაგებ ენაზე და ფორმით ამეხსნა ის, რასაც ახსნა ისედაც არ სჭირდება“; „ერთადერთი ხელჩასაჭიდი გარემოება, რომელიც აპელანტმა მხარემ აღმოაჩინა, არის ის, რომ ექსპერტის დასკვნაში ადგილი მექანიკური შეცდომაა“; „ერთი სიტყვით, ყველაფერი თანხვედრაშია, მისამართის გარდა, რაც მე პირადად მახსენებს ქართულ ანდაზას წყალწაღებულსა და ხავსზე“; „მოპასუხე ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ მას არ დაუდასტურებია სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლების მიერ ქონების არ დათვალიერება პოლისის გაცემამდე“; „ღიმილისმომგვრელია იმის წაკითხვა, რომ სასამართლოსთვის რთულია გააანალიზოს და იმსჯელოს ამ საკითხებზე და მხოლოდ აპელანტისთვის არის ეს შესაძლებელი“; „საბედნიეროდ, ჩვენ მყარი შეხება გვაქვს დაზღვევის ბაზარზე რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიებთან“; „სააპელაციო საჩივარი შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აპელანტმა ახლა გამოიღვიძა“; „მსგავს ტექნიკურ შეცდომებზე გამოკიდება, როგორც ჩანს, აპელანტის წარმომადგენლის ჩვეული

[83] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c482bd6eef8f.pdf

სტილია“; „აპელანტის წარმომადგენლის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სადაზღვევო კომპანია უნისონს ჩვენი მხარისთვის რაიმე ზიანი აქვს ანაზღაურებული, არის მორიგი ტყუილი, რომელიც ისევ არაფერს არ ემსახურება, სასამართლოს შეცდომაში შეყვანის გარდა“; „ფაქტობრივი უსწორობები არასტრუქტურირებულად არის შევსებული“; „სახელიანი და რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიები ასეთ მიდგომებს არ იყენებენ, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში აქვს ადგილი“.

სამართლებრივი შეფასება

საჩივრის ავტორის პრეტენზიიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის თაობაზე და არ დაადგინა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა.

კომისიის განმარტებით, კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. კოლეგიალობა ნიშნავს საერთო საქმიანობას და გამოიხატება საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) სწრაფვაში, პროფესიულ ურთიერთპატივისცემაში. ამავე დროს, ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ.[84]

კომისიის განმარტებით, არსებობს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც შეფასებისას გამოიყენება. მომჩივანმა გამოიყენა სუბიექტური შეფასების კრიტერიუმი. ეთიკის კომისია არ არის ინდივიდუალური პასუხისმგებლობით დატვირთული. ეს არის გუნდი, რომელიც იცავს ადვოკატის პროფესიას, ადვოკატთა მთელ კორპუსს ცალკეულ ადვოკატთა არაეთიკური, არაპროფესიონალური ქცევისაგან. ამ პროცესში კომისიამ მუდმივად უნდა ეძებოს ბალანსი, მათ შორის, ისეთი უფლების ქვაკუთხედთან, როგორიცაა სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება. ადვოკატის პროფესია რთული და კომპლექსურია, რადგან მისკენ მიმართულია საზოგადოების დიდი ინტერესი. ამ პროფესიის არჩევისას ადამიანი მზად უნდა იყოს მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკისათვის. ხშირად ეს არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ეთიკის კომისიამ შეაფასა სადავო ფრაზები და მიიჩნია, რომ აღნიშნული წინადადებები აკრიტიკებდა აპელანტის წარმომადგენელსა და სააპელაციო საჩივარს, უკავშირდებოდა კონკრეტულ საქმეს და ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას. აღნიშნული წინადადებები არ შეიცავდა

---

[84] გადაწყვეტილების დასაბუთებისას ეთიკის კომისია დაეყრდნო 2012 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებაში საქმეზე №100/12 გაკეთებულ განმარტებას: „საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა. ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ქმედებების განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/uploads/publications/5c4eca0a01dcd.pdf

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c5c2a0e5b09b.pdf/2317-12-06%20%2003.12.2006%20gamartleba.pdf

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N099/14 განმარტა: „უხამსობა სიტყვათა შეურაცხყოფითი ბუნებაა, რაც განსხვავდება სარკაზმისა და რიტორიკისაგან. ასევე ყურადსაღებია დამკვიდრებული მორალური ნორმების ფარგლებში შესაფასებელი წინადადებების მოქცევა. ამ კუთხით ქართულ რეალობაში არსებობს საყოველთაოდ ცნობილი „ნიშნის მოგებით“ საუბარიც, რომელიც არ არის უხამსი და არც პირდაპირ, სიტყვასიტყვით განიმარტება, თუმცა, მისი მოსმენა შეიძლება არამც თუ სასიამოვნო, არამედ მიუღებელიც კი იყოს მეორე მხარისათვის.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c42a5c9dc1.pdf

უხამს გამონათქვამებს ან ისეთ ენას, რომ მათი გამოყენება არაეთიკურ ქცევად ჩათვლილიყო. დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ადვოკატს არ შეეზღუდებოდა „მსგავსი ხელწერით“ საუბარი. არ არსებობს რაიმე კონკრეტული „რეცეპტი“, თუ რა სიტყვები და წინადადებები უნდა გამოიყენოს ადვოკატმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სააპელაციო შესაგებელში მითითებული ფრაზები სარგებლობს სამართლებრივი დაცვით, რადგან არ არის უხამსი, არ არღვევს საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს და მიზნად არ ისახავს კოლეგის ღირსების შელახვას. ადვოკატის გამოთქმული მოსაზრებების შინაარსიდან და წინაპირობებიდან გამომდინარე, კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მოცემული ფორმით საკუთარი აზრის გამოხატვისას ადვოკატი განიზრახავდა საქმის გამოკვლევისა თუ გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე საუბარს და არა კოლეგის შეურაცხყოფას. ადვოკატმა თავადაც განმარტა, რომ მას აქვს კოლეგიური პატივისცემის გრძნობა, არ აპირებდა კოლეგის შეურაცხყოფას და პროფესიული კრიტიკის ფარგლებში მოქმედებდა. შესაძლებელია გამოყენებული ტერმინოლოგია კოლეგას შეურაცხმყოფელად აღექვა, თუმცა, ეს აღქმა არ აკმაყოფილებს არც ობიექტურ და არც სუბიექტურ სტანდარტს. მაშასადამე, კომისიამ მიიჩნია, რომ მსგავსი ფრაზების გამოყენება არ შეიძლება მოექცეს არაეთიკური ქცევის ფარგლებში და ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად.

10.1.2 კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპების თანხვედრა

საქმე №088/12, 2012 წლის 20 აგვისტო[85]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

ადვოკატმა საჩივარში კოლეგების მიმართ პრეტენზია გამოხატა იმის გამო, რომ ისინი უპატივცემულოდ მოეპყრნენ. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეში 28 (ოცდარვა) ბრალდებულის მიმართ, ბრალდებულთა დიდი ნაწილი აღიარებდა შერაცხულ ბრალს, ხოლო საჩივრის ავტორის დაცვის ქვეშ მყოფი პირები აპროტესტებდნენ ბრალდების პოზიციას. საჩივრის ავტორის განცხადებით, დაცვის სტრატეგიას წარმოადგენდა სრულყოფილი სასამართლო გამოძიების ჩატარებით ბრალდების მხარის მიერ ფალსიფიცირებული მტკიცებულების მხილება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში მოწმეთა დაკითხვისას მოსამართლის გადაწყვეტილებით საჩივრის ავტორი გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. მომდევნო სასამართლო სხდომაზე მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დააყენა შუამდგომლობა ადვოკატის სასამართლოს სხდომის დარბაზში დაბრუნების, მოსამართლის აცილებისა და სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთების თაობაზე. საქმის განხილვაში მონაწილე კოლეგებმა მხარი არ დაუჭირეს ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი პირის შუამდგომლობებს, რაც საჩივრის ავტორმა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად შეაფასა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა

[85] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c4166eece9.pdf

იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგას. კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და გადაწყვეტილებების მიღება არ მიიჩნევა კოლეგისადმი უპატივცემულობად, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ადვოკატის გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვას და არა კოლეგა ადვოკატის შეურაცხყოფას.

ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც იღებს გადაწყვეტილებას სხვა ადვოკატის პოზიციის გაზიარების ან მხარდაჭერის თაობაზე.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატებს შორის ურთიერთანამშრომლობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კლიენტის ინტერესების დაცვას. კოლეგის ქმედებები და გადაწყვეტილებები განპირობებული იყო კლიენტის ინტერესებით და მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორი ადვოკატის შეურაცხყოფას. საჩივრის ავტორი ადვოკატის მიმართ უპატივცემულობად ვერ შეფასდება ის, რომ ადვოკატმა მხარი არ დაუჭირა მისი კლიენტის მიერ სასამართლოს წინაშე წარდგენილ შუამდგომლობებს, რადგან განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი მოქმედებდა თავისი შემუშავებული დაცვის სტრატეგიის შესაბამისად და არ ეთანხმებოდა კოლეგის პოზიციას, საკუთარი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.[86]

საქმე №037/13, 2015 წლის 25 დეკემბერი[87]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

ადვოკატმა საჩივარში კოლეგის მიმართ პრეტენზია გამოიხატა იმის გამო, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მან წარადგინა აპელანტების დამატებითი მოსაზრებები, სადაც საჩივრის ავტორსა და მის კლიენტებს ბრალი დასდო, თითქოს ისინი ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და წინასწარი შეთანხმებით, თაღლითობაში თანამონაწილეობდნენ. დამატებით მოსაზრებას ხელს მოპასუხე ადვოკატი აწერდა. მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შესაბამისად და გამოთქვა კლიენტის ვარაუდი.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის განმარტებით, კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეულ დამოკიდებულებას და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთა საერთო კორპორატიული ინტერესებიდან, იზრუნონ პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას, შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

---

[86] გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისია დაეყრდნო 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებას საქმეზე N044/10, რომლის მიხედვით: „კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
https://gba.ge/pdf/5c582e0e25af5.pdf/5c582e0e25af5.pdf

[87] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4720b5ab172.pdf

ადვოკატის მიერ მისი კოლეგის მისამართით გამოთქმული ისეთი განცხადებები, რომლებიც ლახავს მის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს.

კომისიის შეფასებით, მოპასუხე ადვოკატის კლიენტების - აპელანტების - დამატებით მოსაზრებებში გამოთქმული განცხადებები შეიცავდა დანაშაულის ბრალდებას, კერძოდ, თაღლითობის მცდელობას ორგანიზებული ჯგუფის მიერ. გამოძიების დაწყების ფაქტი ადვოკატს არ აძლევდა იმის საფუძველს, რომ მიეთითებინა დასრულებულ დანაშაულზე და საჩივრის ავტორი ადვოკატი ან პროცესის მონაწილე რომელიმე მხარე მოეხსენიებია თაღლითობის თანამონაწილედ. ვინაიდან არ არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, ადვოკატი ითვლება უდანაშაულოდ. ამდენად, მოპასუხე ადვოკატის მიერ მისი თაღლითობის თანამონაწილედ მოხსენიება შეიძლება ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. ამასთან, კომისიის შეფასებით, განცხადებაზე ხელის მოწერა მისი შინაარსის გაცნობის გარეშე არ ათავისუფლებდა ადვოკატს მასში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებლობისგან.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომლებიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.“ აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლში არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ამ იმუნიტეტის შეზღუდვის შემთხვევა. თუმცა, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს: „ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

კომისიის შეფასებით, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იწვევს პიროვნული და პროფესიული პატივისა და ღირსების შელახვას. შესაბამისად, დამატებითი მოსაზრებების ტექსტში საჩივრის ავტორი ადვოკატი მოხსენიებულია ისეთ კონტექსტში, რომ ილახება მისი როგორც პირადი, ასევე საქმიანი რეპუტაცია, პატივი და ღირსება. ეს კი კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაა.

10.1.3 კოლეგიალობის პრინციპი და პროფესიული კრიტიკის ფარგლები; ადვოკატის მიერ კოლეგების შეფასება სატელევიზიო გადაცემაში

საქმე №069/11, 2011 წლის 05 სექტემბერი[88]

გადაწყვეტილების მიმღები: საპროცესო კოლეგია.

სავარაუდო დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი.

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარი.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა.

ადვოკატების პრეტენზია ეხებოდა კოლეგის მიერ სატელევიზიო ინტერვიუში მათ მიმართ გაკეთებულ განცხადებას, კერძოდ: ადვოკატმა სატელევიზიო ინტერვიუში საჩივრის ავტორებს ბრალი დასდო

[88] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c40ae554a0.pdf

ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევაში. საჩივრის ავტორებმა ხელი არ მოაწერეს შუამდგომლობას მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ საპროცესო შეთანხმების დადებაზე იმ მოტივით, რომ საპროცესო შეთანხმება ზეწოლით და იძულებით იდებოდა. ეს გადაწყვეტილება ადვოკატმა შეაფასა, როგორც „პოლიტიკური საქმიანობა და მოღვაწეობა“.

საჩივრის ავტორებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო განცხადებების გაკეთებისას ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის სისწორე. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი არ ავალდებულებს ადვოკატს, გახდეს იძულებით დადებული საპროცესო გარიგების მონაწილე - ეს აშკარად უკანონო ქმედება იქნება. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა ისე გააკრიტიკა კოლეგების გადაწყვეტილება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში, რომ მას ამ საქმესთან შეხება არ ჰქონია - მხოლოდ ტელევიზიით გადაცემულ ინფორმაციას ფლობდა. იგი საქმეში არ მონაწილეობდა როგორც ადვოკატი, არ იცნობდა კონკრეტულ გარემოებებს და არც რომელიმე კოლეგასთან უსაუბრია საკითხში გარკვევის მიზნით. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ისინი სწორედ კლიენტის ინტერესების დასაცავად მოქმედებდნენ, რომელიც ამბობდა, რომ წარდგენილი დანაშაული არ ჩაუდენია. ადვოკატები ხედავდნენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირს საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმებას აიძულებდნენ. ამდენად, კომენტარის ავტორ ადვოკატს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ეს კონკრეტული გარემოებები. ვითარების არცოდნის ფონზე მსგავსი შეფასება საჯაროდ და, ფაქტობრივად, კოლეგების დადანაშაულება კლიენტის ინტერესების დარღვევაში, არაკორექტული და არაეთიკური საქციელია.

მოგვიანებით ადვოკატმა სატელეფონო კომენტარში კვლავ ახსენა „პოლიტიკური ინტერესი“ და მეტი არაეთიკურობა გამოიჩინა, როდესაც თქვა: „ვთვლი, რომ ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის ფაქტი ზუსტად იმავე ტენდენციას გამოხატავს, რომ მისთვის პრიორიტეტულია პოლიტიკა და სხვა ინტერესები და არა საადვოკატო საქმიანობა“. ამ კომენტარით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რა არაკორექტული და შეურაცხმყოფელი იყო ადვოკატის მიერ კოლეგების მიმართ საკუთარი აზრის გამოხატვის ფორმა. ადვოკატის საჯარო განცხადებები ეხმიანებოდა „იმ სიუჟეტების პათოსს, რომლებიც მომზადდა ნაციონალურ არხებზე და აშკარად ატარებდა ხელისუფლების მხრიდან მათი კრიტიკის და გაკიცხვის სურვილს“.

ადვოკატებმა განმარტეს, რომ ეთიკის კომისიაში საჩივარი პროფესიული ღირსების დაცვის მიზნით შეიტანეს, რაც ყველა ადვოკატის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.

კომენტარის ავტორის თქმით, აღნიშნულ საკითხზე რეაგირება მისი ინიციატივა არ ყოფილა. მას ჟურნალისტები დაუკავშირდნენ და სთხოვეს ინტერვიუს ჩაწერა. ამასთან, მისი მტკიცებით, კომენტარის გაკეთებისას მიზნად არ ჰქონია კოლეგების შეურაცხყოფა ან მათი დამოძღვრა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კლიენტთან ურთიერთობისას ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპები. ვინაიდან მოცემული შემთხვევა არ ეხება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის დარღვევაზე: „პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება“.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რასაც მათ პროფესია აკისრებს.[89]

[89] ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე N076/10 აღნიშნა, რომ: „გამოხატვის თავისუფლების

ეთიკის კომისიამ განიხილა ადვოკატის შემდეგი კომენტარები: „ადვოკატთა განცხადებები და მოქმედებები მათი პროფესიული საქმიანობისას რეალურად უფრო პოლიტიკური საქმიანობისა და მოღვაწეობის ჭრილში შეიძლება შეფასდეს. ადვოკატების ეთიკის კოდექსის მთავარი ფუძემდებლური პრინციპი არის კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, რაც, ჩემი მოკრძალებული აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენიმე ადვოკატმა დაარღვია“; „ვთვლი, რომ ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის ფაქტი წინასწარ ახმაურებს ამ ამბავს და ზუსტად იმავე ტენდენციას გამოხატავს, რომ მისთვის პრიორიტეტულია პოლიტიკა და სხვა ინტერესები და არა კლიენტის ინტერესები“. კომისიის შეფასებით, აღნიშნული კომენტარები მოიცავს ადვოკატის მოსაზრებებს კოლეგების ქმედებებზე კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა იმ სიუჟეტთა შინაარსი, რომლითაც გავრცელდა ადვოკატის კომენტარები და აღნიშნა, რომ ტელემედია საშუალებათა თავისუფლების პირობებში, სიუჟეტები მიკერძოებულია. ამ მხრივ, კომისიამ გაიზიარა საჩივრის ავტორ ადვოკატთა პოზიცია, რომ მათი კოლეგის საჯარო განცხადებები ეხმიანებოდა „იმ სიუჟეტების პათოსს, რომლებიც მომზადდა ნაციონალურ არხებზე და აშკარად ატარებდა ხელისუფლების მხრიდან მათი კრიტიკის და გაკიცხვის სურვილს“. თუმცა, ეთიკის კომისიამ კომენტარები სიუჟეტებისაგან დამოუკიდებლად შეაფასა, ვინაიდან ადვოკატი პასუხს აგებს თავის საჯარო განცხადებებზე და არა იმ სიუჟეტის შინაარსზე, რომლითაც მისი კომენტარები გავრცელდა.

ადვოკატმა საჯარო განცხადებების გაკეთებისას უნდა დაიცვას ინფორმაციის სისწორე, თუმცა, ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს არასწორი ინფორმაცია არ გაუვრცელებია. კომენტარებში მან წარმოადგინა შეფასებითი მსჯელობა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად ავტორის შეხედულებებზეა დამოკიდებული.

ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმე ეხებოდა გახმაურებულ საქმეს. მისი თქმით, საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ინტერესის საქმეების შემთხვევაში აზრის თავისუფლება მომეტებულ მნიშვნელობას იძენს, ხოლო მისი შეზღუდვისთვის უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი და არსებითი საფუძველი.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ სატელევიზიო კომენტარებში ადვოკატთა მიმართ გამოთქმული განცხადებები, შესაძლოა, არ იყოს მოსაწონი და მისაღები მათთვის, მაგრამეს განცხადებები არ არის შეურაცხმყოფელი შინაარსის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას. საჩივრის ავტორმა ხაზი გაუსვა კომენტარების შეურაცხმყოფელ ხასიათს იმ საფუძვლით, რომ ადვოკატის საჯარო განცხადებების შედეგად, „საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა აღიქვა ისე, თითქოს ბრალდებულის ადვოკატები მოქმედებდნენ არა ადვოკატის მოვალეობის შეგნებით, არამედ პოლიტიკური მიზნების გამო.“ ამასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ეს პრეტენზია მართებული იქნებოდა, თუ ერთი ადვოკატის გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოუდგენელია.

განსხვავებული აზრი

განსხვავებული აზრის ავტორი კომისიის წევრის შეფასებით, საკმაოდ ავტორიტეტულმა და კვალიფიციურმა ადვოკატმა განცხადება გააკეთა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან შეთანხმებით, რათა

ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“.

საზოგადოებისთვის ეცნობებინათ, რომ ბრალდებული განიცდიდა უდიდეს ზეწოლას პროკურატურის მხრიდან და მას აიძულებდნენ საპროცესო შეთანხმებაზე ხელის მოწერას. ეს არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ განცხადებად. ამ ფონზე ტელევიზიამ ასევე გაავრცელა დისციპლინური წარმოების ფარგლებში მოპასუხე ადვოკატის კომენტარი, რომელმაც საჩივრის ავტორი ადვოკატების პროფესიული ქცევა პოლიტიკურ საქმიანობად შეაფასა.

განსხვავებული აზრის ავტორმა არ გაიზიარა კოლეგიის მიდგომა, როდესაც მან ადვოკატის კომენტარი სიუჟეტისაგან დამოუკიდებლად შეაფასა. ადვოკატის განცხადება კონკრეტულ სიუჟეტს მოჰყვა, ანუ საჩივრის ავტორების მიერ გაკეთებული განცხადების შემცველ სიუჟეტს. ამიტომ მისი განხილვა სიუჟეტის გარეშე, კონტექსტისაგან დამოუკიდებლად, არასწორია. დისციპლინური წარმოების ფარგლებში მოპასუხე ადვოკატის კომენტარი საჩივრის ავტორი ადვოკატების მიერ მანამდე გაკეთებული კომენტარის შეპასუხება იყო და მოცემული ქცევით ადვოკატმა მართლაც რომ დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი.

10.1.4 ადვოკატის მიერ სოციალურ ქსელში კოლეგის შეფასება

საქმე №034/14, 2014 წლის 25 ნოემბერი[90]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: კოლეგიალობის პრინციპი.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

ეთიკის კომისიამ განიხილა სოციალურ ქსელში საკუთარ Facebook გვერდზე ადვოკატის კომენტარი სხვა ადვოკატის მიმართ. სტატია ეხებოდა მოწმის სტატუსსა და დაკითხვის წესს, რაზეც თავისი მოსაზრება დააფიქსირა ერთ-ერთმა ადვოკატმა კომენტარით: „(ადვოკატის ვინაობა) შიგ ხომ არ აქვს, ამას რომ ამბობს?“ ადვოკატის არაეთიკური განცხადება გავრცელდა საჯაროდ და მისი ნახვის შესაძლებლობა ჰქონდათ კოლეგებს, ოჯახის წევრებს, მეგობრებს და კლიენტებს. საჩივრის ავტორმა კომისიაში საჩივრის შეტანის მიზანი განმარტა, როგორც ადვოკატის პროფესიული ღირსების დაცვა, რომელიც ყველა ადვოკატის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.

მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, ინტერნეტგამოცემის სტატიაში არ იყო მითითებული რომ გამოთქმული მოსაზრება ადვოკატთა ასოციაციის წევრს ეკუთვნოდა და არც თავად სტატია ეხებოდა საადვოკატო საქმიანობის პროცესს. ვინაიდან მას საჩივრის ავტორთან პირადი ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთიერთობა არ აკავშირებდა, არ იცოდა, რომ მისი კომენტარი ადვოკატს მიემართებოდა. საჩივრის ავტორი ადვოკატი ბოლო პერიოდში ხშირად აკეთებდა განცხადებებს თბილისის მერიასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამიტომ მოპასუხე ადვოკატს ეგონა, რომ საჩივრის ავტორი მერიის თანამშრომელი ან წარმომადგენელი იყო.

ადვოკატის შეფასებით, პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატს კოლეგიალობის დაცვის ვალდებულებას საადვოკატო საქმიანობის პროცესში ავალდებულებს, ის სიტუაცია კი, რაშიც მან განცხადება გააკეთა, არ იყო საადვოკატო საქმიანობის პროცესი. ადვოკატის შეფასებით, მისი კომენტარი არ არის სწორი და ეთიკური, თუმცა ამით ეთიკის კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

[90] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019
http://www.gba.ge/uploads/publications/5c4849d57c68b.pdf

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატები გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ იმ „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის“ გათვალისწინებით, რომელსაც მათ პროფესია აკისრებს. ადვოკატის კომენტარმა - „(ადვოკატის ვინაობა) შიგ ხომ არ აქვს, ამას რომ ამბობს?“ - შეურაცხყო ადვოკატი, რომელზეც განაცხადა, რომ არ იცოდა მისი პროფესიის შესახებ, თუმცა მას რამდენიმე თვე ჰქონდა საორიენტაციოდ. აქვე მან დაადასტურა, რომ იცოდა, განცხადების ადრესატი იურისტი იყო. შეიძლებოდა ევარაუდა, რომ ეს იურისტი ადვოკატი იქნებოდა. ადვოკატმა მოცემული სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა თავის პროფესიას, რომელიც აკადემიური და ზნეობრივი ბუნებისაა. გაჟღერებული სიტყვები პირდაპირ სცილდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას და კატეგორიულად მიუღებელია, როგორც ადვოკატისათვის, ისე არაადვოკატისთვისაც. ადვოკატის მხრიდან მსგავსი საჯარო განცხადებები კატეგორიულად მიუღებელია პროფესიისათვის და ჩრდილს აყენებს მისდამი ნდობას, მის მისიასა და როლს. არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოებამ ამ სიტყვებით შეაფასოს არა მხოლოდ კონკრეტულად ეს ადვოკატი, არამედ ზოგადად პროფესიაც.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსებები და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“ ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს თავის კოლეგას.“ ხსენებული დებულებები არ განსაზღვრავს მხოლოდ ადვოკატი კოლეგების მიმართ პატივისცემას და კომისიას მიაჩნია, რომ სიტყვა „კოლეგა“-ში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მოიაზრებს იურისტ კოლეგებსაც, ვინაიდან დაკონკრეტებული არ არის, რა ტიპის კოლეგაზეა საუბარი. შესაბამისად, მოპასუხე ადვოკატს რომც არ სცოდნოდა, რომ მომჩივანი პირი იყო ადვოკატი, მას მაინც ევალებოდა პროფესიული ღირებულებების დაცვა.

ეთიკის კომისიის პრაქტიკა ადასტურებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტისადმი სწრაფვას, რაც ნაკარნახევია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადვოკატთა განსაკუთრებული როლით მართლმსაჯულების სისტემაში.

მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები

1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან (08.12.2012).

2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა (08.12.2012).

3. (ამოღებულია 08.12.2012).

11.1.1 ეთიკის კოდექსის გავრცელების ფარგლები ადვოკატზე, რომელიც დავაში მხარეა და არ ახორციელებს წარმომადგენლობით საქმიანობას

საქმე №164/13, 2014 წლის 16 ივლისი[91]

გადაწყვეტილების მიმღები: განხილვის კოლეგია.

დარღვევა: სასამართლოში ქცევის წესების დაცვა, კოლეგიალობის პრინციპი.

შედეგი: ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება.

ფაქტები: ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა.

სამოქალაქო საქმეზე ადვოკატი წარმოადგენდა მოსარჩელეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, დავის საგანი - მოპასუხისთვის თანხის დაკისრება. მოპასუხე მხარე - ადვოკატი - მოცემულ დავაში საკუთარ ინტერესებს წარმოადგენდა.

სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში ადვოკატსა და მოსარჩელის წარმომადგენელს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ: მოსარჩელის წარმომადგენელი იქნევდა მის ხელთ არსებულ ჩანაწერებს, ხოლო ადვოკატმა, სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად, მოიქნია ფეხი, რომელიც მოსარჩელის ადვოკატს მოხვდა.

მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ ის აღნიშნულ საქმეში მონაწილეობდა არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც მოპასუხე მხარე, ეს იყო მისი პირადი საქმე, ის არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას და მასზე ეთიკის კოდექსი არ ვრცელდებოდა, რაც გულისხმობდა მის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტას.

სამართლებრივი შეფასება

კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტი, რომ მასზე არ ვრცელდებოდა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რადგან სამოქალაქო დავაში ის მოპასუხე მხარე იყო და არა ადვოკატი. სწორედ მისი პროფესიიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარე ვალდებული იყო, რომ სასამართლო დარბაზში ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება არ გასცდენოდა ადვოკატის პროფესიულ ღირსებას თუ პროფესიული ეთიკის სტანდარტებს. მათ შენარჩუნებაზე ადვოკატი უნდა ზრუნავდეს მიუხედავად იმისა, წარმოადგენს კლიენტს თუ თავად არის მხარე სამართალწარმოების პროცესში. მისი სტატუსიდან გამომდინარე, ადვოკატს ევალება პატივი სცეს სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს და არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები. ადვოკატის პროფესიის შესახებ იცოდნენ მოსარჩელე მხარემაც და სასამართლოს წარმომადგენლებმაც. ამდენად, მისი ქმედება აუცილებლად აღიქმებოდა როგორც არა ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის.

კომისიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის ადვოკატის მიმართ სასამართლო სხდომის დარბაზში ფეხის მოქნევით, ადვოკატი არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, ღირსებას და საზოგადოების წინაშე ნდობას. მისი ქცევა არაეთიკური იყო და ეწინააღმდეგებოდა სასამართლოში მოქცევის წესებს.

შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილებით დს-შ/5-15, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.[92]

---

[91] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c484b14b0d66.pdf

[92] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, საქმე დს-შ/5-15; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია 25.01.2019 http://www.gba.ge/uploads/publications/5c4c0852ee38b.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „მართალია, ადვოკატი მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებისას, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ადვოკატი 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ ადვოკატი გამოდიოდა მხარედ და არა წარმომადგენლად, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ეთიკის კოდექსის მე-7, მე-9, მე-10 მუხლები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში. როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ... ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.“